ბალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 მარტი **სამშაბათი** 2011
№066 (13363) ფასი 60 თეთრი

ემოცია

ერთად დავუხვდეთ ხორვატიას

ავავსოთ ეროვნული, ავივსოთ ეროვნულით!

გუშინ „ბასაზე“ თემურ ქეცბაიამ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პრესკონფერენცია

მიხარია, რომ საქართველო ხორვატიასთან თამაშით ცხოვრობს

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ჯენოას წერილი: ფრთხილად, კალაძეს კუნთის პრობლემა აქვს

ანანიძე: ან-ან თუ უფრო არ?

კახა კალაძე

ჯანო ანანიძე

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. პრესკონფერენცია



თემურ ქეცბაია (მარჯვნივ) და აკაკი ხუბუტია — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კარგი შედეგი მოგებაა, მაგრამ არც ქულა იქნება ცუდი

ასათიანს ველაპარაკე და ვუთხარი, ჩამოსულიყო...

გუშინ ეროვნული ნაკრების განახლებულ ტენიკურ ცენტრში პირველი პრესკონფერენცია ჩატარდა. ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან ერთად მედიასთან შეხვედრაზე გამოცხადდა რუმინულ "გაზ-მეთანში" მოთამაშე აკაკი ხუბუტიაც, იმ დროისთვის ბაზაზე მყოფი ერთადერთი ფეხბურთელი.

- ხორვატიასთან შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. რამდენად განსაკუთრებული იქნება ამ შეხვედრისთვის მზადება?

თემურ ქეცბაია: - სასიხარულოა, რომ ეროვნული ნაკრები საკუთარ ბაზას დაუბრუნდა. ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, რომელმაც მის რეაბილიტაციაში წვლილი შეიტანა – "ქართუს", "სოკარს" და ფეხბურთის ფედერაციას. ეს ხალხი 24 საათი მუშაობდა, ნაკრებს საკუთარი კეთილმოწყობილი სახლი რომ ჰქონოდა.

თამაში მართლაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ჯგუფის ლიდერს ვხვდებით. ხორვატია არა მხოლოდ ჩვენი ჯგუფის, არამედ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. თუმცა ჩვენს ნაკრებშიც საკმაოდ მაღალი კლასის მოთამაშეები არიან. რაც მთავარია, გამოძახებულები თავიანთ კლუბებში თამაშობენ. ყველანაირად ვეცდებით, მატჩს საუკეთესო ფორმაში შევხვდეთ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ წარმატების მისაღწევად და გულშემატკივართა გასახარებლად ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ. მიხარია, საქართველო ამ თამაშით რომ ცხოვრობს და იმედია, ერთი ნაბიჯით წავიწევთ. სრული შემადგენლობით კი ხვალ შევიკრიბებით.

აკაკი ხუბუტია: ძალიან სერიოზული თამაში გველის და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, საქართველო რომ ვასახელოთ. ბოლო შეხვედრებში გამოჩნდა, რომ ამის უნარი შეგვწევს. ამ ბაზის მშენებლობისთვის კი ყველას მადლობა უნდა გადავუხადო, მშვენივრად არის მოწყობილი.

- ასათიანი ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია. მისი სრულფასოვანი შემცვლელის მოძებნა მოხერხდება?

თემურ ქეცბაია: - გეთანხმებით, ასათიანი ჩვენთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ რა ვქნათ, ვინც ვერ ჩამოვა, შემცვლელი უნდა მოვუძებნოთ. არ დავმალავ, ასათიანს ველაპარაკე და ვუთხარი, ჩამოსულიყო, მაგრამ პრობლემები ჰქონდა. მთავარია, ვინც იქნება, მოსაგებად ყველაფერი გააკეთოს. არის სხვა პრობლემებიც, მაგრამ ყველაფერი ბიჭების ჩამოსვლის შემდეგ გაირკვევა. ძნელი თამაში იქნება, მაგრამ არანაკლებ თამაშებსა და სირთულეებს გავართვით თავი.

- ჯანო ანანიძე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს?

- ველაპარაკე და მითხრა, რომ ფეხი სტკივა. მე ექიმი არ ვარ და ვერ ვიტყვი, ზუსტად რა სჭირს.

- როგორც ამბობენ, ჯანომ "აიაქსთან" მატჩის წინა დღეს ივარჯიშა, რაც კოჭის მყესის გაწყვეტისას წარმოუდგენელია. იქნებ, მოსკოვის "სპარტაკი" არ უშვებს?

- მხოლოდ ის გვითხრეს, რომ "სპარტაკმა" დაასვენა.

- ანანიძე თუ მართლაც ვერ დაგვეხმარა, მას ვინ ჩაანაცვლებს? საერთოდ, ორი რთული მატჩი გველის და სარეზერვო ფეხბურთელები თუ შეიგულეთ?

- გელაშვილი დაგვემატება და ეს იქნება ცვლილება.

- ვანაძე რა პრობლემის გამო ვერ ჩამოდის?

- ეს გუნდის არასწორი მიდგომის ბრალია. მათეს ვერ გავამტყუნებთ, რადგან თამაში უნდოდა, მაგრამ წარმოიქმნა პრობლემა: რუსეთიდან გასული, შესაძლოა, უკან აღარ შეუშვან ახალი ვიზის აღებამდე. ასე ვანაძის ჩამოსვლას რა აზრი ექნება, თუ საკონსულოში დრო დაკარგა და გუნდში ვერ ითამაშა?! ეს პრობლემა გუნდს დროულად უნდა მოეგვარებინა, რას ჰქვია, ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი აქვს და ქვეყანაში ვერ შედის? ჩვენ კი არ გვინდა მათეს ხელი შევუშალოთ, მას თავის გამოჩენის შანსი კიდევ მივცემა.

- ხორვატიასთან ქულა კარგი შედეგი იქნება?

- კარგი შედეგი მოგება იქნება, მაგრამ ქულაც არ იქნება ცუდი. მთავარია, სტადიონი შეივსოს. აღარც მახსოვს, ეროვნულ სტადიონზე ეს ბოლოს როდის მოხდა.

- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?

- ინფორმაციებს ვფლობთ, თამაშებიც ვნახეთ, ყველა რგოლი ისეთი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ძლიერ გუნდებში თამაშობენ. გამორჩეული ნაკრებია, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ თამაში არ შეიძლება. ჩვენზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედებს გულშემატკივართა თანადგომა და მატჩისთვის საკუთარ ბაზაზე, საკუთარ სახლში მომზადება. იმედია, წარმატებას მივაღწევთ.

- გვაზავასა და გრიგალავას გამოძახებაზე რას ფიქრობთ?

- უცხოეთში ათასობით ქართველი თამაშობს. შევეცდები, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მივცეთ ჩვენთვის საინტერესო ყველა იმ ფეხბურთელს, ვისაც ნაკრებში თამაში სურს. თუმცა ჯერ საამისოდ საკუთარ კლუბებში უნდა ივარგონ.

- ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში თამაშობენ, სადაც სეზონი დიდი ხანია დაწყებულია. ჩვენი ბევრი ფეხბურთელი კი რუსეთ-უკრაინიდან მოდის, სადაც სეზონი ახლა დაიწყო. ეს თქვენ გარკვეულ დისკომფორტს არ გიქმნით?

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობაც კლუბების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ერთი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება კი ყველას შეუძლია. მთავარი კარგი ფსიქოლოგიური მომზადებაა. 2010 წელს ევროპაში ორადორი ნაკრები იყო წაუგებელი, ჩვენ და ხორვატია. იმედია, 26 მარტს ჩვენი უშუალო შეხვედრის შემდეგ წაუგებელი მხოლოდ საქართველო დარჩება.

- ხორვატიასთან ქულა კარგი შედეგი იქნება?

- კარგი შედეგი მოგება იქნება, მაგრამ ქულაც არ იქნება ცუდი. მთავარია, სტადიონი შეივსოს. აღარც მახსოვს, ეროვნულ სტადიონზე ეს ბოლოს როდის მოხდა.

- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?

- ინფორმაციებს ვფლობთ, თამაშებიც ვნახეთ, ყველა რგოლი ისეთი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ძლიერ გუნდებში თამაშობენ. გამორჩეული ნაკრებია, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ თამაში არ შეიძლება. ჩვენზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედებს გულშემატკივართა თანადგომა და მატჩისთვის საკუთარ ბაზაზე, საკუთარ სახლში მომზადება. იმედია, წარმატებას მივაღწევთ.

- გვაზავასა და გრიგალავას გამოძახებაზე რას ფიქრობთ?

- უცხოეთში ათასობით ქართველი თამაშობს. შევეცდები, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მივცეთ ჩვენთვის საინტერესო ყველა იმ ფეხბურთელს, ვისაც ნაკრებში თამაში სურს. თუმცა ჯერ საამისოდ საკუთარ კლუბებში უნდა ივარგონ.

- ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში თამაშობენ, სადაც სეზონი დიდი ხანია დაწყებულია. ჩვენი ბევრი ფეხბურთელი კი რუსეთ-უკრაინიდან მოდის, სადაც სეზონი ახლა დაიწყო. ეს თქვენ გარკვეულ დისკომფორტს არ გიქმნით?

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობაც კლუბების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს, ერთი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება კი ყველას შეუძლია. მთავარი კარგი ფსიქოლოგიური მომზადებაა. 2010 წელს ევროპაში ორადორი ნაკრები იყო წაუგებელი, ჩვენ და ხორვატია. იმედია, 26 მარტს ჩვენი უშუალო შეხვედრის შემდეგ წაუგებელი მხოლოდ საქართველო დარჩება.

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

ფეხბურთში, როგორც ცხოვრებაში: არასოდეს თქვა არასოდეს

ხორვატია ერთად უნდა გადავიტანოთ

"კარლსრუეს" კაპიტანი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე იაშვილი გველაპარაკა ხორვატიასთან მატჩზე, რამდენად რეალურია თბილისის "დინამოში" მისი დაბრუნება და სხვა საინტერესო თემებზე.

- მოახლოვდა სანაკრებო მატჩები და, ცხადია, გვაინტერესებს, როგორ ფორმაში ხვდები 26 მარტს?

- საბედნიეროდ, ჯანმრთელად ვარ და ვფიქრობ, თამაშს ნორმალურ ფორმაში ვხვდები. კარგი განწყობითაც ჩამოვედი, რადგან ბოლო დროს "კარლსრუე" შედარებით უკეთ ათამაშდა. თუმცა ბოლო ტურში დიდი ანგარიშით წავაგეთ. მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი სანაკრებო შეხვედრებია, ორი მნიშვნელოვანი მატჩი გველის.

- კვლავ დაიწყო ის სანაკრებო აჟიოტაჟი, რაც ბოლო ორ ციკლში ჩამცხრალი იყო. გულშემატკივარი მხოლოდ მოგებას ითხოვს. ეს ფეხბურთელებზე უარყოფით გავლენას ხომ არ მოახდენს?

- არა მგონია. მედიისა და გულშემატკივართა ამბავი გასაგებია, მაგრამ მთავარი მაინც ჩვენი ფსიქოლოგიური განწყობა იქნება. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ხორვატებს ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ, ევროპის ცნობილ კლუბებში თამაშობენ და მათი ნაკრების შედეგებიდან გამომდინარე ადვილია დაასკვნა, რომ უმძიმესი შეხვედრა გველის. თუმცა ჩვენი ბოლო შეხვედრებიდან გამოჩნდა, უშანსოდ არც ჩვენ ვართ. იმიტომ, რომ ჩვენ მართლა ერთი გუნდი ვიყავით, ერთი რომ ცდებოდა, მეორე შეცდომას ასწორებდა. ეს იყო ჩვენი უდიდესი პლუსი და თუ ხორვატიასთანაც ასე ვითამაშებთ, ჩვენი დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა, ვიმეორებ, სერიოზული მეტოქეა და ბავშვური ლაპარაკი იქნება, რომ აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

- ხორვატია-ისრაელთან დადებით შედეგად რას მიიჩნევ?

- მთავარია, წარმატებას ხორვატიასთან მივაღწიოთ და ისრაელზე მერე ვილაპარაკოთ. 29 მარტის მატჩზე ჯერ არც ვფიქრობ. ისე, მოედანზე ყველა მოწინააღმდეგესთან წარმატების მისაღწევად გავდივართ. ვნახოთ, ახლა რა გამოვა.

- თამაშისას ყველა ნიუანსს მნიშვნელობა აქვს. ეროვნული სტადიონის საფარი კი მომჯობინდა, მაგრამ ხავერდოვანიც არ არის. შენი აზრით, ეს ჩვენთვის უფრო იქნება ხელშემწყობი ფაქტორი თუ ხორვატებისთვის?

- როგორც მითხრეს, ეროვნული სტადიონის საფარი ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე გასულ წელს იყო. ეს უკვე კარგია, რადგან კარგი საფარი უკეთესი ფეხბურთის ჩვენებაში ორივეს დაგვეხმარება.

- მაგრამ სწრაფი ხორვატებისთვისაც მისწრება იქნება.

- ხორვატებს ეს პლუსი ნამდვილად აქვთ, მაგრამ თამაშისას გამოჩნდება, მოედანი ვის უფრო შეუწყობს ხელს. მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ. თანაც, ეროვნულ სტადიონზე მხოლოდ მოედნის ფაქტორი არ იმოქმედებს, გასათვალისწინებელია მაყურებლის რაოდენობაც. 26 მარტს სტადიონი თუ შეივსება, ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება.

- ყველა სტადიონი გავსებას ელის.

- სხვათა შორის, ჩვენი მიზანი თავიდანვე სტადიონის გავსება იყო. თემურ ქეცბაიაც სულ ამას ამბობდა, ხალხი სტადიონზე უნდა დავაბრუნოთო. ეს ურთულესი შეხვედრა სწორედ ქართველი გულშემატკივრის მხარდაჭერით უნდა გადავიტანოთ. რაც უნდა ძლიერი ნაკრები ჩამოვიდეს, სავსე ეროვნულ სტადიონზე თამაში ყველას გაუჭირდება.

- ხორვატიის ნაკრებში რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდი?

- ბევრი ძლიერი და ცნობილი ფეხბურთელი ჰყავთ, მლადენ პეტრიჩი "ჰამბურგიდან", ლუკა მოდრიჩი და ნიკო კრანჩარი "ტოტენჰემიდან", რომელი ერთი ჩამოვთვალო. მარტო ბუნდესლიგაში შვიდი ხორვატი თამაშობს. კარგი ისაა, რომ ოლიჩი ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი განწყობა და თამაში იქნება.

- საკლუბო კარიერაზეც გკითხავ. "კარლსრუეში" როდემდე რჩები?

- კონტრაქტი ორი სეზონის შემდეგ მიმთავრდება.

- კარიერის დასრულების შემდეგ გერმანიაში აპირებ საქმიანობას?

- გერმანიაში დასახლებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ. როგორც კი თამაშს დავასრულებ, საქართველოში დავბრუნდები. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

- მაგრამ შენი სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ კარიერის დასრულებას გერმანიაში აპირებ.

- ალბათ, ასეც იქნება.

- ცოტა ხნის წინ თბილისის "დინამოს" დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გვითხრა, რომ სიამოვნებით იხილავდა გუნდში იაშვილს, კობიაშვილს, ასათიანს...

- სიმართლე გითხრათ, არასდროს მიფიქრია, რომ საქართველოს ჩემპიონატში დავბრუნდებოდი...

- "დინამოს" ახალი ხელმძღვანელები სწორედ შენნაირი გამოცდილი და ავტორიტეტული ლეგიონერების ჩამოყვანაზე ფიქრობენ. კარგი პირობები რომ შემოგთავაზონ, მაინც არ დაბრუნდები?

- "დინამოში" გამოცდილი ფეხბურთელის დაბრუნება კარგი იქნება. არც ვიცი, დაბრუნება რომ შემომთავაზონ, რა პასუხს გავცემ, მაგრამ ფეხბურთში და ცხოვრებაში არასოდეს უნდა თქვა - არასოდეს. დაბრუნებაზე არც მიფიქრია, მაგრამ ახლა არც ვიცი, რა გითხრათ. ახლა ჩემი საფიქრალი ეროვნული ნაკრების შეხვედრებია.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ახალსახლობა

ნაკრები ყანაში აღარ ცხოვრობს

ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასას" კარი მედიისთვის გაიღო და ფეხბურთის ფედერაციას თავის მოწონების საფუძველი მიეცა: რეაბილიტირებული საწვრთნელი ბაზა მართლაც კარგი სანახავია. შენობა საფუძვლიანად განახლდა და რაც მთავარია (ეს კი ნამდვილი კურიოზია), 2002 წელს აშენებულ ბაზას ნორმალური საფარი მხოლოდ 9 წლის შემდეგ ეღირსა.

საინტერესო შეთანხმება გაფორმდა ფედერაციასა და მის გენერალურ სპონსორ "სოკარს" შორის – აზერბაიჯანულმა საბანკო კომპანიამ, სასპონსორო თანხის გადახდის ნაცვლად, ყოველწლიურად ორი მოედნის გაკეთება ივალდებულა. პირველი მოედანი "ბასაზე" გაკეთდა, რიგში კი ფედერაციის საკუთრებაში გადასული მიხეილ მესხის სახელობის სტადიონია.

სხვათა შორის, კომპანიამ, რომელმაც ტექნიკურ ცენტრში საფარი დააგო, ასეთივე დაკვეთა თბილისის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზეც მიიღო. როდესაც ქეცბაიას საფრის ხარისხზე ვკითხეთ, ლაკონიურად, მაგრამ კმაყოფილმა გვიპასუხა, რომ მოეწონა. ქეცბაიას "ყანა" ყველას კარგად გვახსოვს, ასე რომ, მისი შეფასება ობიექტური უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ბაზისა და საავტომობილო კომპანია "აუდის" წარმომადგენლობის ტერიტორიათა მიჯნაზე მალე მეორე ბალახისაფრიანი მოედანი მოეწყობა, რომელიც 90/65 მეტრი იქნება და მართალია, მინიმალურ სტანდარტებში ჯდება, მაგრამ სავარჯიშოდ სავსებით საკმარისი იქნება. ამდენად, ეროვნული ნაკრების განკარგულებაში სამი მოედანი იქნება – ორი ბალახის საფრით, ერთიც - ხალიჩით. ამას გარდა, ფედერაციის ხარჯით ცენტრალური მოედნისა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის დარჩენილ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ორი მინიმოედანი მოეწყობა, მათგან ერთი – ქვიშის, აგრეთვე საჩოგბურთო კორტი.

ცნობილი იყო, რომ ცენტრალურ მოედანზე აშენდებოდა 3000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა. სიახლე ისაა, რომ ტრიბუნა გადახურული იქნება და განათების სისტემაც დამონტაჟდება. მოედნებს შემოერტყა დამცავი ბადეები, ბაზის შენობის გაშიშვლებული კედლები კი ძველი და ახალი თაობის ფეხბურთელთა ბანერებით "შეიმოსა" – ეს "ბასას" გარკვეულ ხიბლს მატებს და იმ საფეხბურთო გარემოს ქმნის, რომელიც ასეთი ნიუანსებით ყალიბდება.

ახლა საცხოვრებელ კორპუსში "შევიხედოთ", რომლის რეაბილიტაციაც კომპანია "ქართუმ" დააფინანსა: გარემონტდა გასახდელები, სამედიცინო და მასაჟის კაბინეტები, ფეხბურთელთა ოთახებში შეიყვანეს ინტერნეტი, ავეჯი ახალია, ჰოლშია ინტერნეტის კუთხე. საპრესკონფერენციო დარბაზში მცირე კინოთეატრია, რომელიც მთავარ მწვრთნელს მატჩის ჩანაწერის გარჩევის საშუალებას მისცემს, ახალ სასადილოს კი პროდუქტებით ემჯგუფი მოამარაგებს. მალე მზად იქნება აუზი და ტრენაჟორების ორი დარბაზი. მოკლედ, ფეხბურთელებს ის კომფორტული გარემო დახვდათ, რაზეც ისინი დიდი ხანია, ოცნებობდნენ.

"როგორც იქნა, სრულყოფილი ბაზა გვეღირსა. ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ ბაზიდან სხვა მოედანზე ავტობუსით არ მოგვიწევს სიარული და როცა მოგვინდება და რამდენი ხანიც, მაშინ და იმდენს ვივარჯიშებთ. ეს დიდი პლუსია და, იმედია, წაგვადგება. სხვათა შორის, ფეხბურთელისთვის მთავარია არა მხოლოდ ვარჯიში, არამედ მის შემდეგ ინდივიდუალურად მომზადება. სხვაგან მოედანზე ამის საშუალება არ გვქონდა. გუნდი რომ მიდის, ავტობუსში სხვებს ვერ ალოდინებ, ცალკე ვერ ივლი და ათასი ნიუანსია, რომელიც ყველა ჩვენგანს დისკომფორტს უქმნიდა. საბედნიეროდ, ახლა ეს პრობლემა მოგვარდა" - გვითხრა ლევან კობიაშვილმა.

... ამასობაში "ბასას" ახალდაგებული ბალახის საფარი გუშინ პირველად გაითელა. ეროვნული ნაკრების წევრები ნელ-ნელა იკრიბებიან. გუშინ შემდეგმა ფეხბურთელებმა ივარჯიშეს:



მეკარეები: **გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე.**

მცველები: **კახა ალადაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გურამ კაშია, აკაკი ხუბუტია, ალექსანდრე ამისულაშვილი.**

ნახევარმცველები: **ზურაბ ხიზანიშვილი, მურთაზ დაუშვილი, ჯაბა კანკავა, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე გურული.**

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი, დავით სირაძე, ლადო დვალიშვილი, ნიკა გელაშვილი, ირაკლი მოდებაძე.**

საღამოს ჩამოფრინდა **კახა კალაძე**, თუმცა "ჯენოამ" ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალური წერილით სთხოვა, კალაძეს კუნთი აქვს გაჭიმული და იქნებ, მძიმე დატვირთვები აარიდოთო.

დღეს დილით კი გუნდს უნდა შეუერთდნენ რუსეთის პრემიერლიგის ის ფეხბურთელები, რომლებიც 21 მარტის მატჩებში მონაწილეობდნენ: "ანჟის" მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, "ვოლგას" ფეხბურთელები **ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა** და **ოთარ მარცვალაძე**, აგრეთვე ბერძნული "პანიონიოსის" მცველი **დავით კვირკველია** და მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე**.

ნაკრების მწვრთნელებს განსაკუთრებით ჯანოს ამბავი აფიქრებთ. რუსულ მედიაში გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ანანიძეს კოჭის მყესი ჰქონდა გაწყვეტილი, ამ დროს კი ამსტერდამის "აიაქსთან" 18-კაციან განაცხადში მოხვდა და ნაკრების მწვრთნელთა ინფორმაციით, მატჩის წინა დღეს ივარჯიშა კიდეც. კოჭის მყესის გაწყვეტის შემთხვევაში კი ფეხბურთელი ვერ ივარჯიშებდა. ვითარებაში უკეთ გასარკვევად მის ჩამოსვლას ელიან.

თემურ ქეცბაიას თქმით, ხორვატიასთან მატჩამდე მოთამაშეებს დღეში მხოლოდ ერთხელ ავარჯიშებს, 25 მარტს ეროვნულ სტადიონზე ხორვატიასთან მატჩისთვის "გენერალურ რეპეტიციას" გაივლიან, 26 მარტს კი მატჩი 21 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლეგიონი

ზოგი ჩემპიონატისთვის, ზოგიც გადარჩენისთვის

ეროვნული ლიგა

აზერბაიჯანული პრემიერლიგის მორიგი ტური პარასკევს იყო, ამიტომ მასზე დიდად აღარ შევჩერდებით, რადგან ადრე მოკლედ გამცნეთ. ყველაზე ქართული გუნდი „ინტერი", რომელსაც **კახა ცხადაძე** წვრთნის, 41 ქულით მე-4 ადგილზეა და ლიდერ „ნეფთჩის" 11 ქულით ჩამორჩება. ამ ტურში ერთადერთი ქართული გოლი გავიდა, რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლის, **გიორგი ადამიას** ანგარიშზეა. „ყარაბახის" ფორვარდმა მეორე ეტაპზე მეორე გოლი გაიტანა, სულ კი სეზონში 12 გოლი დაუგროვდა, ბომბარდირთა დავაში ის მეორეა და სამი გოლით ჩამორჩება „ნეფთჩის" შემტევ **ნასიმოვს**.

სომხეთში მე-2 ტური გაიმართა. „იმპულსი" „შირაქს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. წაგებულთა ერთადერთი გოლი 45-ე წუთზე **გაგა თიბილაშვილმა** გაიტანა, 26 წლის ნახევარმცველმა, რომელიც შარშან „ულისის" ღირსებას იცავდა (23 თამაში, 3 გოლი), პირველად მორიგო დილიჯანური გუნდის მაისურა და დებიუტშივე გოლით გამოირჩა. მასპინძელთა ქართველი მეკარე **გელა ძამუნაშვილი** სათადარიგო იყო, თიბილაშვილი 66-ე წუთზე შეცვალეს. „იმპულსს" ჯერ ქულა არა აქვს.

მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილის** „განძასარი" „პუნიკს" ესტუმრა და მოულოდნელად ქულა მოიპოვა - 1:1. სტუმართა კარს ბუბუტეიშვილი იცავდა. „ულისმა" სტუმრად იძალა „ბანანცზე" - 3:1. თამაშის ბოლო გოლი ქართულია - 87-ე წუთზე **გიორგი კრასოვსკიმ** შეაგდო. მის გარდა „ულისის" სასტარტოში ითამაშა **თენგიზ უგრეხელიძემ**, მეორე ტაიმში შევიდა **შოთა ჯიქია**, ხოლო **ლევან აკობია** სათადარიგო იყო. ეს „ულისის" პირველი მატჩი იყო ჩემპიონატში.

კვიპროსში ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და 14 გუნდი სამ 4-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდა (2 გავარდა). კუნძულზე სულ ორი ჩვენებური ლეგიონერია და ორივეს გუნდს უმაღლესში დასარჩენად ბრძოლა მოუწევს. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსს" „ანორთოსისთან" ქულა მაინც, რომ აეღო, ბ ჯგუფში ითამაშებდა, ახლა კი ჩამოქვეითებისგან თავის დასაღწევად უნდა იბრძოლოს, რადგან 0:2 ნაგო. ჩვენებურს არ უთამაშია. „ერმისმა" სტუმრად ბოლოადგილოსანი აპოპი დაამარცხა - 3:1. **ლევან მაღრაძემ** შეუცვლელად ითამაშა გამარჯვებულთა შორის. ახლა „ეთნიკოსი" (33 ქულა) და „ერმისი" (30) 4-გუნდიან ტურნირში ჩაერთვებიან, საიდანაც უკანასკნელი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობება. რეგულარულ სეზონში ორივე ჩვენებურს ერთნაირი სტატისტიკა აქვს - 23 თამაში, 2 გოლი.

დანიის ვიასატდივიზიონის ლიდერ „ორჰუსის" ლიდერი **დავით დევდარიანია**, რომელმაც სეზონში მე-8 გოლი გაიტანა. „ორჰუსი" 42 ქულით პირველია და თუ სასწაული არ მოხდა, უმაღლესში გადავა, რადგან იქ ორი გუნდი გადადის, მესამეადგილოსანს კი ქართველის გუნდი 10 ქულით უსწრებს. „ჰობროს" დევდარიანმა 33-ე წუთზე გაუტანა, „ორჰუსმა" ეს მატჩი 2:0 მოიგო.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში ლიდერი შეიცვალა, ჩემპიონმა „შერიფმა" ისარგებლა „დაჩიას" წაფორხილებით და ქულებით გაუთანაბრდა მას, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით პირველ ადგილზე დამკვიდრდა. „შერიფმა" ქვა ქვაზე არ დატოვა „სფინტულ გეორგესგან" - 6:0. ტირასპოლელთა ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

და რა შეემთხვა ქართველთა „დაჩიას"? კიშინიოველებმა სტუმრად ორჰეის „მისლამის" ვერ მოუგეს - 0:0. „მისლამისთან" **დავით გამეზარდაშვილმაც** ითამაშა და **ლევან კორღალიძემაც** (78-ე წუთზე შეცვალეს). ისე, ლევანი 11 გოლით ბომბარდირთა დავაში მე-5 ადგილზეა. **დავით კაკულიას** „ოლიმპიამ" 4:2 მოუგო „გაგაუზიას". „ისკრა-სტალისა" და „ნისტრუს" შეხვედრაში ქართული დუელი ვიხილეთ - მასპინძელთა შემადგენლობაში 77-ე წუთამდე ითამაშა **სანდრო შუღლაძემ**, სტუმრებში **გიორგი ტუხაშვილი** 64-ე წუთზე შეცვალეს, მასპინძლებმა კი ეს თამაში 2:1 მოიგეს. **ვასილ ღუჭაშვილის** „ზიმბრუმ" 2:1 აჯობა „კოსტულენს". ქართველმა ფორვარდმა 90 წუთი ითამაშა, მისი დარტყმული ერთხელ მეკარემ მოიგერია, ერთხელ კი მეტოქე მცველმა ხელით, თუმცა პენალტი არ დანიშნულა. ქართველთა გუნდები დივიზიონში ასე განლაგდნენ: „ისკრა-სტალი" მესამეა, „ოლიმპია" - მე-4, „ზიმბრუ" - მე-6, „ნისტრუ" - მე-11.

ისევ „ფლორა II-ში" ათამაშებენ 20 წლის **ზაქარია ბეგლარიშვილს**. ქართველი ლეგიონერისთვის შეუფერებლად დაბალი რანგის ლიგაში (ესილიგა) ზაქარიამ მე-2 თამაშში მე-2 გოლი გაიტანა. „ფლორას" რეზერვისტებმა „ტალინა ინფონეტს" 2:1 მოუგეს, გამარჯვების გოლი ბეგლარიშვილმა 82-ე წუთზე გაიტანა.

ისრაელის ლეუმითლიგას **გაგა ჩხეტიანის** ქფარ საბას „ჰაპოელი" ლიდერობს. ბოლო ტურში ამ გუნდმა სტუმრად 1:0 დაამარცხა ჰერცლიას „მაქაბი". გაგა 55-ე წუთზე შეცვალეს. მასპინძელთა გუნდში სათადარიგო იყო **ირაკლი გეფერიძე**. ამ ტურში ბნეი ლოდელთა რიგებში არ გამოჩენილან **აკაკი მიკუჩაძე** და **გიორგი გაბიდაური**.

საფრანგეთის რანგით მესამე ლიგაში „ბასტიამ" შინ 3:0 გაანადგურა „პარიზი". **ამირან სანაიამ** მასპინძელთა რიგებში 73-ე წუთამდე ითამაშა. „ბასტია" 67 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ლატვიაში სეზონი ეროვნული თასის მეოთხედფინალური მატჩებით განახლდა. „სკონტომ" და „დაუგავამ" გამარჯვებული ვერ გამოავლინეს - 0:0. სტუმრებმა ნახევარფინალის საგზური პენალტების სერიაში მოიპოვეს. „დაუგავას" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ჩიხრაძემ, ბიძინა ცინცაძე** კი სათადარიგო იყო. ლიტვის A ლიგაში, რომელიც ახლახან დაიწყო, ერთადერთი ჩვენებურია, **გოჩა ტვილდიანი**, რომელსაც არ უთამაშია მე-2 ტურის მატჩში „კრუოიას" წინააღმდეგ (2:1).

ნიკოლოზ ნეფარიძე

U17

ძალიან ცუდი ამბავი, მაგრამ არა შოკი

ელიტრაუნდში არაგულის გარეშე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში **ბაჩანა არაბულის** გარეშე ითამაშებს. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ იგი ჩვენი გუნდის წამყვანი თავდამსხმელი და ლიდერია – პირველი შესარჩევი ეტაპის 3 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

არაბული ვარჯიშზე, ყოვლად უწყინარ სიტუაციაში დაშავდა – მკერდით ბურთი მიიღო, ბრუნი გააკეთა და თანაგუნდელთან კონტაქტის გარეშე მუხლი დაიშავა.

"საბედნიეროდ, დაზიანება მძიმე არ აღმოჩნდა, მაგრამ უახლოეს ათ დღეში განმავლობაში დატვირთა *მის კარიერას რისკის ქვეშ დააყენებდა* და ცხადია, *ასეთი რისკი გაუმართლებელია. ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა, მაგრამ ჩვენი მიზანი უცვლელია – ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ვიბრძოლებთ და ამ კონტინგენტითაც ეს სავსებით შესაძლებელია"*, - გვითხრა ნაკრების თავკაცმა **კობა ყორჟიკაშვილმა**.

რაღა თქმა უნდა, ასეთი მოთამაშის ასეთ მნიშვნელოვან მომენტში გამოკლება ნაკრებს საქმეს ურთულებს, მაგრამ კარგია, რომ სამწვრთნელო შტაბი სიტუაციას გამოუვალად არ მიიჩნევს და გუნდშიც საბრძოლო სულისკვეთება შენარჩუნდა.

ფეხბურთელთა განწყობასა და საკუთარი ძალების რწმენას უთუოდ აამაღლებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან გუშინდელი სტუმრობა. **ილია მეორემ** გუნდი დალოცა და გამარჯვებები უსურვა.

არაბულს ნაკრების 18-კაციან განაცხადში 35-ე საფეხბურთო სკოლის თავდამსხმელი **ბუდუ ზივზივაძე** შეცვლის, რომელიც ნაკრებს სომხურ და ურეკულ შეკრებებზე ახლდა და მის შესაძლებლობებს მწვრთნელები კარგაც იცნობენ.

ძირითად შემადგენლობაში კი არაბულს რამდენიმე ალტერნატივა ჰყავს – **ფანცულაია, ტარყაშვილი, მარკოზაშვილი...**

ლევან ჯანეზაშვილი

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

საინტერესო პაუზა

საქართველოს ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენებაა და უმაღლეს ლიგაში თამაშები აპრილის დასაწყისში განახლდება. ჰოდა, ვიდრე შესვენება დაიწყებოდა, ბოლოს ჩატარებულმა ტურმა მართლაც დიდი ინტრიგა დაგვიტოვა; თანაც, დამაინტრიგებელი იქნება საჩემპიონო დავაც და არანაკლებ ინტერესს იწვევს ცხრილის ქვედა ნაწილში განვითარებული მოვლენებიც. სხვათა შორის, დღესდღეობით სატურნირო ცხრილი ისე უნდა განვიხილოთ, როგორც „სამგუნდიანი ჯგუფების ტურნირი“: ჩემპიონობისათვის სამი გუნდი („ზესტაფონი“, „ოლიმპი“, „დინამო“) იბრძოლებს, მეოთხე ადგილისთვისაც სამი გუნდი („ვიტ ჯორჯია“, „ბაია“, „ტორპედო“) აცხადებს პრეტენზიას და გასავარდნ ზონაშიც სამი გუნდია („სიონი“, „კოლხეთი“, „სპარტაკი“). ანუ, დღესდღეობით, ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ უმაღლესი ლიგის ათი გუნდიდან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (კონკრეტულად, ცხრა გუნდი) სატურნირო მოტივაციის ნაკლებობას არ უნდა უჩიოდეს. აი, იმ „დარჩენილ“ ერთადერთ გუნდზე კი მართლაც გვიმძიმს საუბარი, მაგრამ „სამტრედიის“ ბედი რომ, ფაქტობრივად გარკვეულია, ამას, ალბათ, ამ გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებიც შეგუებულნი არიან. არადა, ორი წლის წინ ყველას გაგვიხარდა, როცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეს დიდი ტრადიციების მქონე გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. ახლა კი, „სამტრედია“ თამაშს-თამაშზე აგებს და მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, ფინანსური და ყველანაირი პრობლემებით „დახუნძლულმა“ გუნდმა აშკარად მოლონიერებულ-მოყოჩაღებულ კონკურენტებს გადაასწროს...

XXI ტურის სიმბოლური ნაკრები

ახალი მწვრთნელის ფაქტორი

ვერაფერს ვიტყვით - მართლაც არაპროგნოზირებადი ჩემპიონატი გვაქვს; ფაქტობრივად, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ყოველ ტურში, სულ მცირე, ერთი „ხმაურიანი“ სენსაცია მაინც უნდა მოხდეს. ასე იყო ახლაც: „ზესტაფონმა“ ამ თვეში მეორედ დაკარგა უძვირფასესი ქულები და იმის ნაცვლად, რომ სააპრილოდ კონკურენტებთან სოლიდური ჰანდიკაპი ჰქონოდა, ახლა „ოლიმპს“ ერთი ქულითღა უსწრებს და „დინამოს“ ფაქტორზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. შეგახსენებთ, რომ **კახა კაჭარავას** გუნდს ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და ორივე შეხვედრაში გამარჯვების შემთხვევაში „ზესტაფონსა“ და „დინამოს“ შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულა იქნება. ამჯერად „ზესტაფონი“ ბოლნისის „სიონმა“ დაამუხრუჭა და ამ შეხვედრის თვითმხილველთა თქმით, ქვემოქართლელები ლიდერთან შეხვედრაში მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდნენ. თანაც, „სიონი“ მთელი გუნდით დაცვაში არ „ჩამჯდარა“, პირიქით, — დროდადრო მწვავე კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ და რამდენჯერმე სახიფათო იერიშიც მიიტანეს მასპინძელთა კართან. სხვათა შორის, „სიონს“ ამ შეხვედრის წინ სერიოზულზე სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა: სხვადასხვა მიზეზის გამო გუნდს წამყვანი ფეხბურთელები (**მირზა მერლანი, მინდია ბობლიაშვილი, გივი დიდავა, მიხეილ კობაური**) აკლდა; თუმცა, ამის მიუხედავად, „სიონის“ ახალმა თავკაცმა ამ მომენტისათვის ოპტიმალური შემადგენლობა დააყენა და, რაც მთავარია, ასეთ ძლიერ მეტოქესთან მართლაც საპატიო და, სასურველ შედეგს მიაღწია; საერთოდაც, ფეხბურთში ახალი მწვრთნელის ფაქტორს, ხშირ შემთხვევაში, დადებითი ეფექტი მოაქვს და ასე მოხდა ამ ტურშიც: ლიდერთან მატჩამდე ერთი დღით ადრე „სიონის“ თავკაცად **ხვიჩა ქასრაშვილი** დაინიშნა! ასეთ მოკლე დროში ქასრაშვილს რა უნდა მოეხერხებინა, მაგრამ შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუა შეუცვალა (**ნიკა კვასხვაძე** მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესა, ახალგაზრდა **საბა ადამაშვილს** ძირითადში ანდო ადგილი და ასე შემდეგ) და „სიონში“... მესამე დაბრუნება ასეთი ხმაურიანი სენსაციური შედეგით „აღნიშნა“. შეგახსენებთ, რომ ქასრაშვილი 2005-06 წლების სეზონის პირველ წრეში თავკაცობდა „სიონს“, მეორედ 2009-10 წლების სეზონში დაბრუნდა ბოლნისში, როცა გუნდი მეორე ეტაპის დასაწყისიდან ჩაიბარა. და აი, მესამე დაბრუნებაც, ოღონდ, ისიც სათქმელია, რომ წინა ორი შემთხვევისგან განსხვავებით, ბოლნისის „სიონს“ ამჯერად აშკარად განსხვავებული და მოკრძალებული მიზანი აქვს — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება...

სპარტაკი-ტორპედო 2:2 ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

გოლეები და საპატიო სტუმრები

„ოლიმპი“-„სამტრედიის“ მატჩის მთავარი ინტრიგა ის იყო, თუ რამდენი გოლის გატანას შეძლებდა მასპინძელთა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **ირაკლი მოდებაძე**; საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებში გამოძახებულმა ფორვარდმა საკუთარ მონაგარს მხოლოდ ერთი ბურთი მიუმატა, თუმცა მისმა პარტნიორებმა იყოჩაღეს: **დავით ბოლქვაძემ** „დუბლი“ შეასრულა, ხოლო **ილია პავლიაშვილმა** „ოლიმპის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, პავლიაშვილი პირველ ეტაპზე... „სამტრედიაში“ თამაშობდა და ამ გუნდის შემადგენლობაშიც აქვს გოლი გატანილი. სულ კი, ჩემპიონატის დაწყებიდან პავლიაშვილის გარდა, ორი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში გოლი გატანილი აქვს კიდევ ხუთ ფეხბურთელს: **გიორგი მეგრელაძეს, ვახტანგ კვარაცხელიას, ლაშა ქეშაძეს, რევაზ ჯიქიასა** და **გიგა კვერენჩხილაძეს.**

...დავით ბოლქვაძის „დუბლი“ ვახსენეთ და ამ გამოცდილი ნახევარმცველის მსგავსად გასულ ტურში კიდევ ორმა ფეხბურთელმა შეძლო ერთ მაიტჩში ორი გოლის გატანა: **ნიკა საბანაძემ** და **ზვიად მეტრეველმა.** თანაც, ორივე ფორვარდმა თავი ერთ მატჩში გამოიჩინა: „სპარტაკი“ მეტრეველის „დუბლით“ ამარცხებდა „ტორპედოს“, მაგრამ მატჩის მიწურულს ქუთათურთა გუნდის ახალგაზრდა თავდამსხმელმა საბანაძემ თავის გუნდს ქულა გადაურჩინა. სხვათა შორის, საბანაძემ ამ შეხვედრის საბოლოო ანგარიში რომ დაფიქსირა, უკვე მსაჯის მიერ დამატებული წუთები ინურებოდა; შეგახსენებთ, რომ ამ მეტოქეების მეორე წრის მატჩში, 5 დეკემბერს რომ ჩატარდა, „ტორპედომ“ გამარჯვების მომტანი ერთადერთი გოლის გატანა მაშინაც მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიტანა (**თენგიზ ჩიკვილაძის** მართლაც ზღაპრული დარტყმით). და კიდევ ერთი დეტალიც: გასულ ტურში, ყველაზე მეტი „საპატიო სტუმარი“ სწორედ „სპარტაკი“-„ტორპედოს“ მატჩს ჰყავდა. თავად განსაჯეთ: გორში ჩატარებულ შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია,** მისი ასისტენტი **სოსო ჭედია,** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია,** მისი თანაშემწე **ზაურ სვანაძე** და... ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** და ამ გუნდის მეორე მწვრთნელი **გიორგი ჩიხრაძე** ესწრებოდნენ...

გია ტუხაშვილი

პირველი ლიგა, XXII ტური

ჭიათურა-ბათუმი 1:0

18.03. ჭიათურა. 500 მაყურებელი

1:0 გოჩა ცუცქირიძე (14)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, გოჩა ცუცქირიძე, ბ. ჭუმბურიძე, ლ. ქურდაძე, ზ. ნოზაძე, ლ. კობახიძე, გია ცუცქირიძე (68. ვ. ჯელაძე), დ. სევასტოპულო (89. თემურ მიშველიძე)

სათადარიგოები: დ. ტაბატაძე, გ. ზაბახიძე, თ. კურტანიძე, გ. მეცხოვრიშვილი, ა. დარბაიძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან სევასტოპულო

ბათუმი: რ. თევდორაძე, დ. სამსეიშვილი, ნ. ხუხია, ა. ბაჯელიძე, ლ. რამიშვილი, ზ. ლობჟანიძე (54. კ. მაკარიანი), გ. მანნკავა, ე. გრიგალაშვილი (80. ვ. თევდორაძე), თ. ბერიძე, მ. ჯორბენაძე (52. ა. ბაციკაძე), მ. კაკალაძე.

სათადარიგოები: გ. გოგიტიძე, ლ. კალანდაძე, შ. მამინაშვილი, მ. ყვანია

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ლ. ქურდაძე; ე. გრიგალაშვილი

არბიტრი: ხვიჩა გაგნიძე (გორი)

მერცხალი-გაგრა 0:2

18.03. ოზურგეთი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

0:1 დ. ციცხვაია (50), 0:2 გ. ტყეშელაშვილი (60).

მერცხალი: ს. ვერულიძე, ვ. რამიშვილი, ვ. ტუტოიანი, გ. ხამაშურიძე, სერგო ვ. ჩიგოგიძე, გ. მაკასარაშვილი, ზ ტულუში (73. ნ. ხინთიბიძე), რ. ჭეიშვილი, სერგო გ. ჩიგოგიძე (58. კ. ნაკაიძე), ლ. ათუაშვილი (58. ი. ბაჯელიძე), ლ. ჩხაიძე

სათადარიგოები: თ. ჩხატარაშვილი, ი. მურუსიძე.

მთავარი მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, ნ. ჭკუასელი, გ. ტყეშელაშვილი, ნ. ჯიბუკარიანი, ი. ხუციძე, ზ. ჩხეტიანი, ლ. შარიქაძე, მ. კობერიძე (35. ვ. ორდინსკი), ა. ოვონიკოკო (46. დ. ციცხვაია), შ. კვანტალიანი (76. დ. გიგაური).

სათადარიგოები: ბ. ქართველიშვილი, გ. გაბედავა, გ. ყურულაშვილი. ლ. ნადირაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: ი. ბაჯელიძე, ვ. ტუტოიანი; ლ. კალანდაძე, ნ. ჯიბუკარიანი

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

ნორჩი დინამოელი-იმერეთი 3:1

18.03. თბილისი. „შატილი“. 200 მაყურებელი

0:1 რ. კვერნაძე (11), 1:1 გ. ქვარაია (33), 2:1 გ. მაისურაძე (45), 3:1 ზ. კვარაცხელია (89).

ნ. დინამო: ა. ბილიხოძე, გ. ბერიშვილი, ა. ხვთისავრიშვილი, ზ. ძაგანია, ო. გაგნიძე, ლ. ელიზბარაშვილი (65. გ. შუშანაშვილი), გ. ქვარაია, გ. თანიაშვილი, ლ. ლაბარტყავა (87. თ. ნემსიწვერიძე), ზ. კვარაცხელია, გ. მაისურაძე.

სათადარიგოები: დ. გლოველი, დ. ქიმერიძე, ფ. ზირაქაძე, ნ. ბინკინაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

იმერეთი: ი. შენგელია (46. ვ. კახეთელიძე), დ. ფესტვენიძე (38. ბ. ბიბილაშვილი), თ. ხარებავა, ბ. ხაჭიპერაძე, ვ. ბრეგვაძე, რ. გვანცელაძე, ა. მეტონიძე, მ. ჩხარტიშვილი (65. ი. ასათიანი), ლ. კირკიტაძე, გ. გოდერიძე, რ. კვერნაძე

სათადარიგოები: რ. კაშია, ი. ვეკუა, დ. ხაბურძანია, გ. უგლავა

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გაფრთხილება: ლ. ლაბარტყავა, ზ. ძაგანია; გ. გოდერიძე

გაძევება: რ. გვანცელაძე

არბიტრი: გიორგი ვადაჭკორია (თბილისი)

ჩიხურა-ბურია 3:0

18.03. საჩხერე. ხელოვნური. 200 მაყურებელი

1:0. დ. ქამუშაძე (6), 2:0 დ. ქამუშაძე (48), 3:0 მ. მიქაძე

ჩიხურა: გ. ბეგაშვილი, ნ. მაჭარაშვილი (80. გ. გიორბელიძე), ე. ზიგზიგაძე, ი. გვეტაძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე (80. ლ. ჩაგელიშვილი), ი. ტყებუჩავა, დ. ქამუშაძე, ბ. პეტრიაშვილი, მ. მიქაძე, დ. ჩაგელიშვილი (65. ა. ალავიძე)

სათადარიგოები: თ. მუმლაძე, მ. ქიმაძე, ა. ივანიშვილი, შ. დოღაძე

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

ბურია: ი. ხვედელიძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ი. კილაძე, ს. ფირცხალაიშვილი, გ. თოლორდავა (55. ბ. წერეთელი), ლ. რუსიეშვილი, ნ. ტოროლაძე (67. გ. კუკულაძე), გ. შეწირული. ზ. რაზმაძე (58. თ. სივსივე), ი. დეისაძე.

სათადარიგოები: თ. ლომიძე, რ. იმნაძე

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

გაფრთხილება: ბ. პეტრიაშვილი, ი. გვეტაძე; ჯ. გოგობერიძე

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

სქური-მარგველი 0:2

18.03. სენაკი. „ს. ალავერდელი“. 300 მაყურებელი

0:1. გ. ამროლაძე (31), 0:2 გ. ამროლაძე (79)

სქური: ტ. ხარჩილავა, ი. ნაჭყებია, ე. ფარცვანია, ზ. მოლაშხია, გ. ჭკუასელი, ლ. გაბუნია, გ. კვირკვია (46. ბ. გუჯეჯიანი), ბ. სვანიძე, ა. მიქენაია (63. ქ. ქანთარია), გ. შელია (46. დ. ჩახაია), თ. გერგედავა.

სათადარიგოები: ვ. ჯომდავა, დ. რაფავა, ბ. გვილია, გ. აკობია

მთავარი მწვრთნელი: ვასილ გულორდავა

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, გ. ჟვანია, ა. სუხიაშვილი, თ. კაკუშაძე, გ. ილურიძე (83. ჟ. იატრო), გ. წოწორია (55. ლ. ჩალაძე), დ. ბერუაშვილი, გ. ამბროლაძე, ლ. კუჭუხიძე (68. ო. ტორაძე), გ. თოდუა.

სათადარიგოები: ლ. გორდეზიანი, მ. ტაპე, ი. ფაცაცია, კ. მელიავა

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გ. კვირკვია

არბიტრი: არსენ ნონიკაშვილი (თბილისი)

დილა-მეშახტე 1:0

18.03. გორი. „თ. გურჯანაძე“. 500 მაყურებელი

1:0 ნ. ნოზაძე (25).

დილა: ბ. შეყრილაძე, დ. ჭითანავა, დ. ბაქრაძე, ი. ლომიძე (63. თ. შათირიშვილი), გ. ქარქუზაშვილი, ნ. სადაღაშვილი, ნ. ნოზაძე (63. ა. კვარაცხელია), ვ. ჯოჯუა, ა. სირბილაძე (46. ი. ცნობილაძე), ვ. ნემსაძე, რ. ახალკაცი.

სათადარიგოები: ბ. კეჩხუაშვილი, ო. ცარიელაშვილი, გ. იჩქითი, დ. ტლაშაძე

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე

მეშახტე: დ. ოდიშარია, თ. ღვინიაშვილი, ბ. ბერაია, გ. ჯიშიაშვილი, ა. გუბელაძე, გ. აბურჯანია, ვ. ჭაჭიაშვილი, ა. ნოზაძე, ვ. აფციაური, დ. გოგოლაძე, გ. ბოხუა.

სათადარიგოები: ი. ორბელიძე, ბ. ჯიშიაშვილი, ა. სახელაშვილი

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ბ. ბერაია, თ. ღვინიშვილი

არბიტრი: ჯუმბერ ბუიშვილი (ჭიათურა).

ჩხერიმელა-ქოლხეთი (ხოლი) 0:2

18.03. ხარაგაული. „ს. აბაშიძე“. 300 მაყურებელი

0:1 ო. ფიფია (37), 0:2 გ. ლომაია (71)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ც. ხარაბაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ლ. მახარაძე (46. გ. კუხიანიძე), ვ. ტაბატაძე, გ. თურმანიძე, ა. ლაბაძე (55. დ. კოსტავა), რ. ჩიხლაძე, ჯ. ავალიშვილი, კ. ძაგანია.

სათადარიგოები: გ. ხეცურიანი, მ. ლომსაძე, თ. კიკნაძე

მთავარი მწვრთნელი: მამუკა ხუნდაძე

ქოლხეთი: დ. ხარძეიშვილი ვ. ფირცხალავა, გ. ფარფალია, გ. გოგენია, ო. ფიფია, ი. კუტალია (72. ლ. ჩაჩიბაია), ც. ბუკია, მ. ბესარაშვილი, ბ. ბუკია (64. კ. ალანია), გ. ლომაია, მ. ჭკადუა (75. მ. შონია)

სათადარიგოები: ზ, გელაშვილი, კ. გეგენია

მთავარი მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა

გაფრთხილება: ვ. ფირცხალავა, მ. ჭკადუა, გ. ლომაია, მ. შონია

არბიტრი: ზურაბ ანიაშვილი (გორი)

ლოკომოტივი-სამგურალი 4:0

18.03. საბურაბმოს საფეხბურთო კომპლექსი. 100 მაყურებელი

1:0 გ. კაპანაძე (3), 2:0 ა. შენგელია (7), 3:0 გ. შარანგია (19), 4:0 გ. ჭოველიძე (85).

ლოკომოტივი: თ. ნიორაძე, გ. ჭოველიძე, ზ. გვაძაბია, გ. ხატიაშვილი, დ. საჯაია (88. გ. მჭედლიშვილი), გ. ბოჭორმელი, თ. ჩარგეიშვილი, გ. კაპანაძე, ა. შენგელია, გ. შარანგია (55. ა. ძიძიგური), ნ. შერაზადიშვილი (76. დ. ვაშაკიძე).

სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, დ. მიქავა, დ. ბაქრაძე, დ. გაბელია

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

სამგურალი: დ. ხურცილავა, ზ. კუხალაშვილი, ლ. ცხადაძე, ნ. უგრეხელიძე, ნ. ბაბუნიძე (54. გ. ჩიხლაძე), ხ. უგრეხელიძე, ი. შალიკაშვილი, გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე, ლ. ნავერიანი (46. მ. მესხი), გ. ბუხაიძე (21. ზ. ჩიხლაძე)

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, ზ. სალინაძე

მწვრთნელი: ტრისტან მანგაძე

გაფრთხილება: გ. ჩიხლაძე

არბიტრი: ალეკო გუნთაძე (ლანჩხუთი)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მარტვილი	21	15	4	2	44-10	49
2. დილა	21	13	6	2	39-17	45
3. გაგრა	20	13	5	2	45-13	44
4. დინამო (ბთ)	20	11	6	3	42-10	39
5. ჩიხურა	19	11	4	4	35-18	37
6. გურია	21	11	1	9	40-39	34
7. კოლხეთი (ხ)	20	7	9	4	19-16	30
8. ლოკომოტივი	20	6	5	9	24-28	23
9. სამგურალი	21	6	5	10	25-43	23
10. ნ/დინამოელი	20	7	1	12	26-41	22
11. მერცხალი	21	6	4	11	33-51	22
12. იმერეთი	20	6	2	12	21-31	20
13. ჭიათურა	21	5	5	11	20-50	20
14. ჩხერიმელა	20	4	8	8	24-35	20
15. მეშახტე	19	5	4	10	24-33	19
16. სადილი	20	5	2	13	24-34	17
17. სქური	20	4	3	13	19-35	15

ექსკლუზივი — წერილი მეექვსე

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე



დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში

1989 წლის ნოემბრის ბოლოს ფეხბურთის სამმართველოში შევხვდით მე და გივი ნოდია. ბატონმა გივიმ მითხრა: საკამათოა უმაღლეს და პირველ ლიგებში მოთამაშე 5 გუნდის საკითხი, რაც შეეხება მეორე ლიგის 8 გუნდს, მათზე შევთანხმდეთ, რომ აუცილებლად საქართველოს პირველობაზე უნდა გადმოვიდნენო. მე ამ წინადადებას მაშინ დავთანხმდი. ვფიქრობდი, ამ 8 გუნდის გადმოყვანაც მნიშვნელოვანი გამარჯვებაა-მეთქი, მაგრამ ბატონ ჯონი ჯანელიძესთან შეხვედრამ და მისმა არგუმენტებმა საწინააღმდეგოში დამარწმუნა.

1989 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ თბილისის სპორტის სასახლეში ჩაატარა მიხეილ მესხის სახელობის პრიზის გათამაშება მინიფეხბურთში ვეტერანებს შორის. ჩამოვიდნენ რუსი, თურქი, გერმანელი და სომეხი ფეხბურთელები. სწორედ ამ ტურნირზე შევხვდი ჯონი ჯანელიძეს, რომელიც იმ პერიოდში ფოთის „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი იყო. მან მითხრა, გავიგე, მეორე ლიგის გუნდების საქართველოს პირველობაზე გადმოყვანას ეთანხმები, მეორე ლიგის რვავე გუნდის აზრი კი ასეთია: ან ყველა გუნდი გადმოვიდეს საქართველოს პირველობაზე, ან ყველა დარჩეს საკავშიროზე. იცოდეთ, ეროვნული ჩემპიონატის მომხრეები საკითხს ასე თუ დააყენებთ, მეორე ლიგის გუნდები თქვენი მოკავშირეები ვიქნებითო. ბუნებრივია, იმ წუთიდან ყველა გუნდის გადმოსვლაზე დავიწყეთ ლაპარაკი და საორგანიზაციო კომიტეტის პირველივე სხდომაზე გავაგებინეთ საკავშირო პირველობის მომხრეებს, რომ ჩვენ მხოლოდ ყველა გუნდის საქართველოს ჩემპიონატში გადმოსვლისთვის ვიბრძვით. ამასთან, მოწინააღმდეგენი აცნობიერებდნენ, რომ ეროვნული მოძრაობაც და საზოგადოდ ერიც ჩვენს მხარეზე იყო. პირადად მე ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე თამამად ლაპარაკის უფლებას მაძლევდა ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობის მაღალი დონე. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1962 წლიდან 1965 წლამდე სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებში 13 ჩვენი ფეხბურთელი თამაშობდა: გივი ჩოხელი, ზაურ კალოევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, რამაზ ურუშაძე, სერგო კოტრიკაძე, გიორგი სიჭინავა, ანზორ კავაზაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე, გურამ ცხოვრებოვი, სერგო კუტივაძე და მურთაზ ხურცილავა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო 70-80-იან წლებშიც, როდესაც კახი ასათიანი, რეზო ძოძუაშვილი, გივი ნოდია, ალექსანდრე ჩივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, თამაზ კოსტავა, ვახტანგ ქორიძე, შოთა ხინჩაგაშვილი და რვეაზ ჩელებაძე თამაშობდნენ საკავშირო ნაკრებში. ამ წონიანი არგუმენტის გარდა, მე ქართული ფეხბურთის დამოუკიდებელი განვითარების რწმენას ჩვენი სამოყვარულო ფეხბურთის მაღალი დონეც მაძლევდა.

ჩვენი არ უარვყოფდით მათ არგუმენტს, ვინც საბჭოთა ფეხბურთის ძალაზე და იქ თამაშის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა. ჩემთვისაც ძალიან კარგად იყო ცნობილი საბჭოთა ფეხბურთის ძალა. მე მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის ჩემპიონატი იყო ევროპაშიც და მსოფლიოშიც, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა კავშირის ნაკრებზე, რომელსაც მხოლოდ ორი ქვეყნის - ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებებთან ჰქონდა უარყოფითი ბალანსი. საბჭოთა ფეხბურთისთვის დამახასიათებელი იყო შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, ნორმალური საერთო გუნდური ტექნიკა ერთი-ორი ვარსკვლავის დამატებით, თამაშის სწორი ორგანიზაცია, დისციპლინა, სტაბილურობა და შედეგზე ორიენტირება. ყველა ეს თვისება მას ალიან საშიშ ძალად აქცევდა ნებისმიერი მეტოქისათვის. საბჭოთა ნაკრები ნაღდად იგებდა იმ თამაშს, რომელიც უნდა მოეგო, შემთხვევითობა, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო. ჩემთვის საბჭოთა ფეხბურთის ძალა თუნდაც იმიტომ იყო კარგად ცნობილი, რომ 1968 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვიყავი მიწვეული. მანამდე, 1967 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში გამოვდიოდი ლენინგრადში. იმავე წლის ოქტომბერში სოჭში გამართულ „იმედის თასის“ ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზეთ. თავის ქებად ნუ ჩამითვლით, — სამივე ტურნირის ბომბარდირი ვიყავი. შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებიდან ბევრი მეგობარიც მყავდა, რომელთაც დღესაც დიდი პატივისცემით ვიხსენებ, მაგრამ ყველაფერი ეს მეორე პლანზე გადადიოდა, საქართველოს უნდა ჰყოლოდა ეროვნული ნაკრები, ეთამაშა ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე საქართველოს სახელით და ეროვნული დროშით; აჟღერებულიყო ეროვნული ჰიმნი. ჩემთვის ყველაფერი აქ მთავრდებოდა, მორჩა და გათავდა, ეს უნდა გაგვეკეთებინა ისე, როგორც ამას აკეთებს ღირსების მქონე მსოფლიოს უამრავი ერი...

ოპონენტებს ვამშვიდებდით: როგორც ყველა ნორმალური ქვეყანა, ჩავატარებთ ეროვნულ ჩემპიონატს, ეროვნული ნაკრები გუნდით ვითამაშებთ ყველასთან, მათ შორის რუსებთან და უკრაინელებთანაც, ქართული კლუბები კი ევროტურნირებში შეხვდებიან იტალიელებს და ფრანგებს, ესპანელებს და რუსებს, უკრაინელებს, ინგლისელებს... ასე რომ, განვითარება არ შეფერხდება. ცოტა ხანს იზოლაციაში ვიქნებით, მაგრამ ფიფა და უეფა მალე მიგვიღებენ და დაიწყება სისხლსავსე საფეხბურთო ცხოვრება...

მოწინააღმდეგეებს თავი გამარჯვებული ეგონათ, ისე გვიყურებდნენ როგორც ხალიჩაზე მყოფ მეტოქეს, რომელიც დასამარცხებლად არის განწირული. ეტყობოდათ, გუმბარიძის ხელისუფლების იმედიც ჰქონდათ და საფეხბურთო სამყაროც მომხრედ მიაჩნდათ.

ზურაბ პეტრიაშვილი
გაგრძელება სამშაბათობით

ბარსელონა — ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარსელონას გასახდელი და მაისურა წარწერით: „აბი, ჩვენ შენ გვიყვარხარ“

აბი, ჩვენ შენ გვიყვარხარ

გუსკეტსის სახელობის სტადიონი და „უხეში“ ჩავი

„ბარსელონამ“ თავის დაავადებულ ფეხბურთელს, **ერიკ აბიდალს** გამარჯვებით საჩუქარი უძღვნა - „ხეტაფეს“ 2:1 მოუგო და „რეალთან“ 5-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. იმ დღეს „კამპ ნოუზე“ უხვად იყო აბიდალის გასამხნევებლად გამოკიდებული ბანერი. ფრანგს, რომელსაც მოულოდნელად ღვიძლის სიმსივნე დაუდგინეს და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, მხარდაჭერას ფეხბურთელები, ფუნქციონერები და გულშემატკივრები უცხადებდნენ. ორივე გუნდი მოედანზე აბიდალის 22-ნომრიანი მაისურებით გამოვიდა, ხოლო ყოველი ტაიმის 22-ე წუთზე „კამპ ნოუს“ ტრიბუნებმა ოვაციები მოუწყეს ფრანგს, რომელიც კლინიკაში ებრძვის ვერაგ დაავადებას.

ბევრს ეეჭვებოდა, რომ აბიდალის ავადმყოფობა „ბარსას“ თამაშზე ცუდ გავლენას იქონიებდა, თუმცა **ხოსეპ გვარდიოლა** ამაყია, რომ გუნდმა გაუძლო ამ ფსიქოლოგიურ ტვირთს: *„არავითარი აპათია და ცუდი თამაში, ისევ ის ფანტასტიკური ფეხბურთი“*, - სიამაყით აცხადებდა მატჩის შემდეგ პეპი, რომელსაც განსაკუთრებით ზაფხულში შემატებული **ადრიანოსა** და **ხავიერ მასკერანოს** თამაში მოეწონა: *„ორივე დიდებულად თამაშობდა, ისევე როგორც გაბი მილიტო. სეზონი გრძელია და რთული, ჩვენ კი ყოველთვის გვესაჭიროება მათი დახმარება. ბოლო დროს მხოლოდ ერთი პრობლემა გვაქვს, ცოტა გოლი გაგვაქვს შედარებით, მაგრამ ბევრ მომენტს ვქმნით, ამიტომაც გოლთა წვიმები მომავალშიც გაგრძელდება“.*

„ბარსელონას“ ფეხბურთელებმა აბიდალის კუთვნილ ადგილზე გამოფინეს მაისურა წარწერით: *„აბი, ჩვენ შენ გვიყვარხარ“* და თქვეს, რომ მას აბიდალის დაბრუნებამდე არ აიღებენ. თამაშის შემდეგ პირველი გოლის ავტორმა **დანი ალვეშმა** „ბარსა ტვ“-ის გადაცემა „ელ მარკადორში“ აღნიშნა, რომ გუნდმა გამარჯვება მას უძღვნა, რომ ის თამაშამდე ესაუბრა ერიკის მეუღლეს. თურმე, ახლადნაოპერაციებ აბიდალს თამაშისთვის ტელევიზორში უყურებია. ასე რომ, ფრანგმა თავისი თვალით ნახა ყველა სახის მხარდაჭერა, რაც იმ დღეს ფანებმა და ფეხბურთელებმა გამოხატეს, მათ შორის სპეციალურად მის მხარდასაჭერად შექმნილი ვიდეორგოლი, სადაც ის საოცარი მომენტიცაა, როცა აბიდალი საკუთარ საჯარიმოში მინაზე მგორავ ბურთს თავით იგერიებს, როცა სხვა შანსი აღარ რჩებოდა. ეს ვიდეო ინტერნეტში 160 ათასმა ადამიანმა ნახა.

მოგეხსენებათ, „ხეტაფესთან“ შეხვედრა განსაკუთრებული იყო **ბოიან კრკიჩისთვის**. 20 წლის ესპანელი ფორვარდი ლა ლიგის მე-100 მატჩს თამაშობდა. ბოიანმა „ბარსას“ მეორე გოლი გაიტანა მადრიდელთა კარში. *„მე სწორედ ასეთი თამაშები მჭირდება, რომ კვლავ მჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების, რომ ვგრძნობდე, რამდენად მნიშვნელოვანი ნაწილი ვარ გუნდისთვის,* - განაცხადა ბოიანმა - *„ძალიან ბედნიერი ვარ, ბრწყინვალე საღამო იყო. ეს იყო თამაში, რომელიც მეც და გუნდსაც ძალიან გვჭირდებოდა. როცა გავიგე, რომ „ბარსას“ მაისურით უკვე მე-100 მატჩს ვთამაშობდი ჩემპიონატში, საოცარი სიამაყე ვიგრძენი“.* ბოიანმა ჩემპიონატში სულ მე-6 მატჩი ჩაატარა სასტარტოში, ეს მისი მე-5 გოლი იყო ჩემპიონატში.

ყოველ 21 მარტს იუნესკო აღნიშნავს რასისტული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დღეს. გუშინ აქციაში მონაწილეობა „ბარსას“ ფეხბურთელებმა **ჟერარდ პიკემ, ლეო მესიმ** და **სეიდუ კეიტამ** მიიღეს დევიზით: „დავტოვოთ რასიზმი თამაშგარეში“. კლუბი კი ფეხბურთელებისგან იცლება - ჯამში „ბარსას“ 12 ფეხბურთელია გამოძახებული თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში. 6 ესპანეთის ნაკრებში ითამაშებს: **ინიესტა, ჩავი, ბუსკეტსი**, პიკე, **ვალდესი** და **ვილია**. **იბრაჰიმ აფელაი** ჰოლანდიის ნაკრებშია გამოძახებული. არგენტინელები, მესი, მასკერანო და **მილიტო** ამერიკისა და კოსტა რიკის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახეს, დანი ალვეში კი ბრიტანეთში წავიდა - ბრაზილია ამხანაგურ მატჩში შოტლანდიას ეთამაშება. ბოიან კრკიჩსა და ახლახან პირველ გუნდში გადაყვანილ ფონტასს ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებში დაუძახეს, ბელარუსებთან მატჩისთვის „ბარსას“ სარეზერვო გუნდის სამი ფეხბურთელიცაა გამოძახებული: **ტიაგო ალკანტარა, მინიო** და **მონტოია**. ამიტომ გუშინდელ ვარჯიშზე მწვრთნელის განკარგულებაში მხოლოდ 6 ფეხბურთელი იყო პირველი გუნდიდან. გვარდიოლამ სარეზერვო გუნდიდან ერთბაშად 8 ფეხბურთელს უხმო, ვარჯიში, რომ არ ჩაშლილიყო.

შემდეგი ტურის მატჩს, „ვილიარეალის“ წინააღმდეგ ჩავი ერნანდესი სეზონში მე-5 გაფრთხილების მიღების გამო გამოტოვებს. მან ყვითელი ბარათი „ხეტაფესთან“ მატჩის მიწურულს მიიღო. აქვე გეტყვით, რომ ანალოგიური საფრთხის წინაშე არიან ვალდესი, მასკერანო, მესი და ბუსკეტსი. მათთვის მორიგი ყვითელი ბარათი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის ტოლფასი იქნება. ალბათ, საკვირველია, თუ როგორ მოახერხა ჩავიმ ამდენი ყვითელი ბარათის მიღება, როცა ის ძალზე კორექტული ფეხბურთელია. სამი ყვითელი ბარათი მან გაპროტესტებისთვის („ლევანტე“, „სპორტინგი“, „ალმერია“) მიიღო, ერთი დროის გაყვანისთვის („ხეტაფე“) და ერთიც სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა („რეალი“). როგორც ხედავთ, არც ერთი გაფრთხილება „ბარსას“ ნახევარდაცვის მაესტროს უხეში თამაშისთვის არ მიუღია!

„ხეტაფესთან“ მატჩში „ბლაუგრანამ“ ახალი რეკორდი დაამყარა - ზედიზედ 27 მატჩია, რაც „ბარსელონას“ არ წაუგია. ამით დაემხო კლუბის 1973/74 წლების რეკორდი (26 თამაში წაუგებლად). „ბარსელონამ“ მარტის თვეში (შემდეგი ტური უკვე აპრილშია) ხუთი მატჩიდან 4 მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა.

დანი ალვეშმა სეზონში მე-3 გოლი (პრიმერაში მეორე) გაიტანა და ამით, როგორც ჩანს, სამომავლოდ კონტრაქტიც დაიბევა. კატალონიური „სპორტი“ წერს, რომ ბრაზილიელი ახლოსაა ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან. 27 წლის ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკება გაუგრძელდა კლუბის ხელმძღვანელობასთან, თუმცა „სპორტის“ ცნობით, ეს მოლაპარაკება კვირის ბოლოს წარმატებით დასრულდება და დანი კატალონიაში დარჩება. არადა, ინგლისური „ნიუს ოფ ზე უორლდ“ წერს, რომ „მანჩესტერ სიტი“ ახლავე მზადაა ბრაზილიელის გადასაბირებლად. ფეხბურთელს კლუბის პრეზიდენტ **სანდრო როსელთან** ჰქონია შეხვედრა, რომელიც მას *„მსოფლიოში საუკეთესო მარჯვენა მცველს“* უწოდებს.

და ერთი სახალისო ცნობაც - ქალაქ ბადია დელ ვალესში სტადიონს... სერხიო ბუსკეტსის სახელი უწოდეს. საქმე იმაშია, რომ ეს კატალონიური ქალაქი ბუსკეტსის სამშობლოა. *„ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ“*, - აცხადებს ფეხბურთელი, რომელიც 22 წლის ასაკში მოესწრო თავისი სახელობის სტადიონს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

უცხოური ფეხბურთი

● გამოხმაურება

იდგნენ და... ტორესს ელოდნენ

ბრაზილიელმა მცველმა **დავიდ ლუიზმა** კვირას „ჩელსის“ მკრთალი საჩემპიონო იმედები გააღვივა და ერთხელაც დაჩრდილა მასთან ერთად 50 მილიონ ფუნტად ნაყიდი **ფერნანდო ტორესი**. ლუიზი, რომელიც „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში თავის უშუალო მოვალეობას საუცხოოდ ასრულებდა, შეტევაშიც შედეგიანი გამოდგა და 78-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მსაჯის წამატებულ წუთებში მისმა თანამემამულე **რამირესმა** მეორე გოლიტანა და „ლურჯებმა“ ისტლენდელებს ცხრილში ადგილი გაუცვალეს. ახლა „ჩელსი“ მესამე ადგილზეა და 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. შეგახსენებთ იმასაც, რომ ამ ორ გუნდს ერთმანეთშიც აქვს სათამაშო. ეს შეხვედრა 7 მაისს „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართება.

ამრიგად, „ჩელსის“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** ტრიბუნიდან საკუთარი თვალით უყურა, როგორ გაიბრწყინა „ბენფიკადან“ 21 მილიონად ნაყიდმა ბრაზილიელმა მცველმა. ტორესმა კი კვლავ ვერ დაატყო მოედანს კვალი და მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** ის **დიდიე დროგბათი** შეცვალა. სწორედ დროგბამ ჩაანოდა ჯარიმიდან ბურთი, რომელსაც ლუიზი აუხტა და თავით „სიტის“ კარში შეაგდო. სხვათა შორის, თავად ჯარიმა ლუიზის წაქცევისთვის დაინიშნა. პრესკონფერენციაზე ანჩელოტიმ აღიარა, რომ ძალიან გაუმართლა, კრიზისულ პერიოდში თანამდებობიდან რომ არ მოხსნეს.

„როდესაც ესა თუ ის გუნდი მთელი ორი თვით იძინებს, მწვრთნელთა უმრავლესობა სათადარიგოთა სკამიდან შინ, სავარძელში, ტელევიზორთან გადაინაცვლებს ხოლმე. მე საბედნიეროდ, კვლავ მოედნის კიდესთან ვარ“.

საინტერესოა, რომ „მანჩესტერ სიტისთან შეხვედრამდე „ჩელსის“ აღმასრულებელმა შეფმა **რონ გურლიმ** მიანიშნა, რომ ანჩელოტის არ აქვს არანაირი გარანტია, რომ სამწლიანი ხელშეკრულების ბოლომდე თანამდებობაზე დასტოვებენ. მან თქვა: *„ჯერ ვნახოთ სად ვიქნებით მაისში“.*

გურლის ასეთი ნათქვამის მიუხედავად, ანჩელოტის ისტლენდელებთან შეხვედრის შემდეგ შიში არ დასტყობია:

„ამწუთას მე თავს ბედნიერად ვგრძნობ. თუკი დადგება ის დღე, როდესაც ან კლუბს აღარ ვენდომები ან მე ველარ ვიგრძნობს თავს „ჩელსიში“ კარგად, ჩვენ ერთმანეთს დავშორდებით“.

რასაკვირველია, ანჩელოტის პრესკონფერენციაზე ფერნანდო ტორესის შესახებაც ჰკითხეს. იტალიელმა უპასუხა, რომ ესპანელი ვარსკვლავის მიმართ ყველას მოთმინება მართებს. მართალია ტორესს 22 იანვრის შემდეგ გოლი არ გაუტანია (და ისიც „ლივერპულის“ შემადგენლობაში გაუტანა „ვულვერჰემპტონს“), მაგრამ ადრე თუ გვიან ნავსი აუცილებლად გატყდება.

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** კი თქვა: *„ჩვენზე, როგორც ჩანს, ევროპის ლიგაში კიევის „დინამოსთან“ გავარდნამ იმოქმედა ძალიან. განსაკუთრებით მეორე შეხვედრამ, რომლის პირველ ტაიმშიც მარიო ბალოტელი მოედნიდან გააძევეს და ფაქტობრივად ათი კაცით ვითამაშეთ“.*

შეგახსენებთ, რომ ბალოტელი კლუბმა ორი კვირის ხელფასით დაჯარიმა, თუმცა კვირას, „ჩელსის“ წინააღმდეგ შეხვედრაში ცოტა ხნით მაინც შეუშვა მოედანზე.

ამ თამაშში არ მონაწილეობდა **კარლოს ტევესი**, რომელმაც საზარდული იტკინა.

● ინგლისის ნაკრები

კაპელომ გუნდი დაასახელა

ინგლისის ნაკრებს 26 და 29 მარტს ორი შეხვედრა ელის, კარდიფში უელსის ნაკრებთან და ლონდონში განასთან. პირველი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევია, ხოლო მეორე ამხანაგური. **ფაბიო კაპელომ** ამ შეხვედრებისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთა შორის, თვალს „ვულვერჰემპტონის“ განაპირა ნახევარმცველი **მეტ ჯერვისი** მოხვდა. 24 წლის მოთამაშე, რომელმაც შაბათს „ასტონ ვილას“ გამარჯვების გოლი გაუტანა ეროვნულ გუნდში პირველადაა. ჯერვისი კაპელომ „მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველ **ადამ ჯონსონის** ნაცვლად მიიწვია — ჯონსონს კოჭის ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და კვირას, „ჩელსისთან“ შეხვედრაში, მოედანზე მხოლოდ ბოლო 9 წუთი დაჰყო. სტატისტიკის მოყვარულთათვის: 1990 წლის ანუ **სტივ ბრუსის** შემდეგ ჯერვისი პირველია, ვინც „ვულვერჰემპტონიდან“ ნაკრებში გამოიძახეს.

ოფიციალურ შეხვედრაში სათამაშოდ პირველად გამოიძახეს ლივერპულელი **ენდი ქეროლიც**. მანამდე მას, ნოემბერში, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდა ნათამაშები.

ნაკრებში დაბრუნდა „ტოტენჰემის“ განაპირა ნახევარმცველი **აარონ ლენონიც**, რომელმაც ბოლოს ოქტომბერში ჩერნოგორიის წინააღმდეგ ითამაშა. შეკრებაზე არიან „ევერტონის“ მცველი **ფილ ჯეგიელკა** და ლენონის თანაკლუბელი **პიტერ კრაუჩიც**.

„ჩელსისა“ და „მანჩესტერ სიტის“ კვირის შეხვედრაში **იაია ტურესთან** ორთაბრძოლის დროს მარჯვენა მუხლი დაიზიანა ინგლისელთა გუნდის „ახალმა“ კაპიტანმა **ჯონ ტერიმ**, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რასაც „ჩელსის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტიც** ადასტურებს.

„ჯონი ნაკრებში ითამაშებს — უთხრა ჟურნალისტებს იტალიელმა — ის ძალიან ბედნიერი კაპიტნის სამკლავური რომ დაუბრუნეს. ეს მეც ძალიან მახარებს. ადამიანი ლიდერი მაშინ კი არ ხდება, როდესაც მას სამკლავურს აბამენ, ასეთად უნდა დაიბადო. ჯონ ტერი ნამდვილი პროფესიონალი და ლიდერია. გარდა ამისა ის საუცხოო ფორმაშიც არის“.

ინგლისის ნაკრები ჰერტფორდშირის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ ასეთი შემადგენლობით შეუდგა მზადებას:

მეკარეები: **ბენ ფოსტერი (ბირმინგემი), რობერტ გრინი (ვესტ ჰემი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი);**

მცველები: **ლეიტონ ბეინესი (ევერტონი), გერი კეჰილი (ბოლტონი), ეშლი კოული (ჩელსი), მაიკლ დოუსონი (ტოტენჰემი), ფილ ჯეგიელკა (ევერტონი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), ჯოლიონ ლესკოტი (მანჩესტერ სიტი), ჯონ ტერი (ჩელსი), კაილი უოქერი (ასტონ ვილა);**

ნახევარმცველები: **გარეთ ბერი (მანჩესტერ სიტი), სტიუარტ დაუნინგი (ასტონ ვილა), მეტიუ ჯერვისი (ვულვერჰემპტონი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), აარონ ლენონი (ტოტენჰემი), ჯეიმს მილნერი (მანჩესტერ სიტი), სკოტ პარკერი (ვესტ ჰემი), ჯეკ უილშირი (არსენალი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა);**

მეტ ჯერვისი

თავდამსხმელები: **დარენ ბენტი (ასტონ ვილა), ენდი ქეროლი (ლივერპული), პიტერ კრაუჩი (ტოტენჰემი), ჯერმაინ დეფო (ტოტენჰემი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი).**

ნამდვილი კაპიტნის დაბრუნება

ჯონ ტერიმ ფაბიო კაპელოს მადლობა გადაუხადა — იტალიელმა მწვრთნელმა 30 წლის მცველს ინგლისის ნაკრების კაპიტნის სამკლავური დაუბრუნა. მან თქვა: *„გულის სიღრმეში ყოველთვის ვიმედოვნებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისევ გავუძღვებოდი ჩემი ქვეყნის ნაკრებს“.*

შაბათს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრაა — ინგლისის ნაკრები კარდიფში უელსისას სტუმრობს, **რიო ფერდინანდი** და **სტივენ ჯერარდი** კი დაშავებულები არიან. სწორედ ამიტომ დასჭირდა კაპელოს კაპიტნის პრობლემის გადაწყვეტა და დროებით გამოსავალს საკითხის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება ამჯობინა. შეგახსენებთ, რომ ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც ტერის თანაგუნდელის ცოლთან გახმაურებული რომანის გამო სამკლავური ჩამოართვეს.

„ინგლისის ნაკრების გამარჯვებისთვის რაც საჭირო იქნება და რასაც მწვრთნელი მთხოვს, ყველაფერს გავაკეთებ — თქვა ტერიმ გაზეთ „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელშიც ამ საკითხზე პირველად ილაპარაკა — უელსის დამარცხება ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ კარდიფში სერიოზული მატჩი გველის და ყველამ ყველაფერი უნდა გავიღოთ.

კაპიტნობის ჩამორთმევა იოლად გადავიტანე, რადგან ვხედავდი, რომ კაპელო მაინც მენდობოდა, მაგრამ გულის სიღრმეში სულ ვიმედოვნებდი, რომ ადრე თუ გვიან, ისევ გავიკეთებდი სამკლავურს. იმ დღეს, „უემბლიზე“, როდესაც მწვრთნელმა მითხრა, რომ მე ნაკრებს აღარ ვუკაპიტნებდი, მის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებოდი, გაგებით შევხვდი. კაპელოს და მის ასისტენტ ფრანკო ბალდინის ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი, რომ ნაკრებისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებდი. კაპელომ მიპასუხა, რომ ასეთ დამოკიდებულებას აფასებს და ჩემგან სხვას არც არაფერს ელოდა. ჩემი მაშინდელი რეაქციის გამო მას სხვა დროსაც შევუქივარ. მეც დიდ პატივს ვცემ ფაბიო კაპელოს როგორც მწვრთნელს, ხელმძღვანელს და ადამიანს“.

საინტერესოა, რომ ტერისთვის სამკლავურის დაბრუნებას მხარი ლეგენდარულმა მეკარე **პიტერ შილტონმაც** დაუჭირა. შილტონი, მოგეხსენებათ, ის ფეხბურთელია, რომელსაც ინგლისის ნაკრებში ყველაზე მეტი, 125 თამაში აქვს ჩატარებული. მათგან თხუთმეტში ის კაპიტანი იყო.

„ტერის პირად ცხოვრებას და მეგობრის ცოლთან რომანის გაბმას არ ვამართლებ, მაგრამ ნაკრებთან მას არაფერი შეშლია. გუნდს თითოეული ფეხბურთელისგან მაქსიმუმი სჭირდება და თუ ასეა, სამკალვური მის ბუნებრივ ლიდერს უნდა ეკეთოს. რიო ფერდინანდს დიდ ბოდიშს ვუხდი, მაგრამ, როგორც კაპიტანი, მასზე წინ მეც ტერის დავაყენებდი“.

● ამბები

პოლის აზრი

ფიფას ყოფილი არბიტრი **გრემ პოლი** პრემიერლიგის 30-ე ტურის შემდეგ ერთადერთ საკითხს, „ლივერპულის“ მიერ „სანდერლენდის“ კარში დარტყმულ პენალტს გამოეხმაურა. ეს თერთმეტმეტრიანი კვირას „სთედიუმ ოფ ლაითზე“ მსაჯმა **კევინ ფრენდმა** დანიშნა და მის შესახებ „ლელო“ ტურის ტრადიციულ მიმოხილვაში წერდა. პოლმა „დეილი მეილის“ ფურცლებიდან თქვა:

„სანდერლენდში მსაჯი შეცდა და ეს შეცდომა „ლივერპულის“ ფეხბურთელების ზეწოლამ განაპირობა. კევინ ფრენდი თავიდან სწორად იქცეოდა: საჯარიმო მოედნის გარედან ჯარიმის დანიშვნას აპირებდა — ჯონ მენსამ ჯეი სპირინგი ხაზს გარეთ წააქცია — მაგრამ, შემდეგ, თანამსაჯმა ბილი სმოლვუდმა ფრენდს უხმო და უთხრა, რომ ფეხბურთელებს შორის კონტაქტი საჯარიმოს შიგნით (ან ხაზზე, რაც ასევე მოედნის ტერიტორიად ითვლება) იყო და პენალტი დაანიშნინა. წესით, ასისტენტს პენალტის განსაზღვრა მხოლოდ იმ შემთხვევებში ევალება თუ დარწმუნებულია, რომ ყველაფერი სწორად დაინახა, სმოლვუდი კი დარწმუნებული არ იყო. რომ ყოფილიყო ფრენდს, თავიდანვე უხმობდა და არა „ლივერპულის“ ფეხბურთელთა პროტესტის შემდეგ“.

ვენგერის აღიარება

„არსენალის“ თავკაცი **არსენ ვენგერი** აღიარებს, რომ მისი ფეხბურთელები გატყდნენ. მიზეზი: ერთბამად ოთხი ტიტულისთვის ბრძოლის შემდეგ მათ წარმატების ერთი ვარიანტიღა დარჩათ — პრემიერლიგის ჩემპიონობა. ოცნებების მსხვრევამ კი, როგორც ჩანს მათ განწყობაზე იმოქმედა.

შეგახსენებთ, რომ „მეთოფეები“ მოკლე დროში გამოეთიშნენ ჩემპიონთა ლიგისა და ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებებს, „ქარლინგის თასზე“ კი ფინალში წააგეს გაცილებით სუსტ „ბირმინგემთან“. ამის გარდა, ვენგერის გუნდმა პრემიერლიგაში ბოლო ორი შეხვედრა ფრედ ითამაშა და ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხუთი ქულით ჩამორჩა. ჩრდილოლონდონელებს გულის დამშვიდება იმით შეუძლიათ, რომ „იუნაიტედზე“ ერთი ქულით ნაკლები აქვთ და 1-ელ მაისს სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს მასპინძლობენ.

ვენგერმა თქვა: *„ჩემპიონთა ლიგიდან ისე გამოვარდნა, როგორც ჩვენ გამოვვარდით, ძნელი შესაგუებელია და თან, ძალიან მოკლე დროში ოთხი მიზნიდან ერთის ამარაღა დავრჩით. ამიტომაც გართულდა ჩემი ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მეორე მხრივ კი ამ ბიჭებს წარმატება სნყურიათ და მეც მინდა ყველა ღონე ვიხმარო, რათა მათ მიიღონ ის, რაც ეკუთვნით. ისინი დიდი გამარჯვების ღირსნი რომ არიან, ეს ამ სეზონის პირველივე ტურიდან დამტკიცდა“.*

პიუზის სიხარული

ბობი ზამორა

„ფულჰემის“ თავკაცი **მარკ ჰიუზი** ძალიან გახარებულია, რომ **ბობი ზამორა** გამოჯანმრთელდა და მის განკარგულებაშია, მაგრამ გული დასწყდა, 30 წლის ფორვარდმა „ევერტონთან“ ანგარიში რომ ვერ გაათანაბრებინა. საქმე ის არის, რომ „გუდისონ პარკზე“ ზამორა **დიქსონ ეტუჰუს** ნაცვლად მოედანზე თამაშის დამთავრებამდე 29 წუთით ადრე შევიდა და თავისიანების თამაში გაამწვავა კიდეც, მაგრამ გოლი ვერ შეაგდო.

შეგახსენებთ, რომ თავდამსხმელმა სექტემბერში ფეხი მოიტეხა და მას მერე ლივერპულში მხოლოდ მეორედ გამოჩნდა მოედანზე. ჰიუზმა თქვა:

„ყველამ ნახა, ზამორას მოედანზე გამოსვლის შემდეგ როგორ შეიცვალა ჩვენი გუნდის თამაში. ის ნამდვილი დამაგვირგვინებელი წერტილია, რომლის არყოფნაც ასე ეტყობოდა ჩვენს გუნდს. მართალია, ჯერ ისეთ ჯანზე ვერ არის, სექტემბერში, დაშავებამდე რომ იყო, მაგრამ გარწმუნებთ, მალე ყველაფერი გამოსწორდება“.

სტატისტიკა კი მეტყველებს, რომ „გუდისონ პარკი“ „ფულჰემისთვის“ ძალიან უხერხული ადგილია. აქ ლონდონელებმა ზედიზედ მე-18 შეხვედრა წააგეს, ასეთი რამ კი ინგლისის უმაღლეს დივიზიონში არასდროს არავის დამართვნია, გნებავთ, მის პრემიერლიგად მონათვლამდე და გნებავთ, მერე. ჰიუზმა დასძინა:

„შესაძლოა ეს ფსიქოლოგიური მომენტიც იყოს. ვატყობდი, რომ ჩვენს მეტოქეს ზედმეტი მოწიწებით ვეკიდებოდით“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა



ИТАЛИИС ნაკრები

პრანდელის ახალი პრინციპი

და აქცენტი ახალგაზრდებზე

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ორი თემაა ყველაზე აქტუალური: იტალიის ეროვნული ნაკრების მოახლოებული თამაშები და მილანური დერბი, რომელიც სერია A-ს მომდევნო ტურის ეგიდით გაიმართება. თუმცა, დერბიმდე სანაკრებო ბატალიებია და სწორედ „სკუადრა აძურაზე" შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. ჩეზარე პრანდელის გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგ პაექრობას სლოვენიაში გამართავს, შემდეგ კი უკრაინას დაუპირისპირდება ამხანაგურად. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სლოვენიასთან მატჩია და ჩვენც სწორედ ამ შეხვედრის ჭრილში ვისაუბროთ. კიდევ ერთხელ გადავხედოთ პრანდელის სიას და შემდეგ განვავრცოთ თემა.

მეკარეები: ბუფონი (იუვენტუსი), სირიგუ (პალერმო), ვივიანო (ბოლონია).

მცველები: ასტორი (კალიარი), ბალცარეტი (პალერმო), ბონუჩი (იუვენტუსი), კიელინი (იუვენტუსი), კრიშტოო (ჯენოა), გასტალდელო (სამპდორია), მაჯო (ნაპოლი), რანოკია (ინტერი), სანტონი (ჩეზენა).

ნახევარმცველები: აკვილანი (იუვენტუსი), მარკიზიო (იუვენტუსი), მაური (ლაციო), მონტოლივო (ფიორენტინა), ტიაგო მოტა (ინტერი), ნოჩერინო (პალერმო), პაროლო (ჩეზენა).

თავდამსხმელები: კასანო (მილანი), ჯილარდინო (ფიორენტინა), ჯოვინკო (პარმა), მატრი (იუვენტუსი), პაცინი (ინტერი), როსი (ვილიარეალი, ესპანეთი).

მეკარეები

ჩეზარე პრანდელიმ იმ სამ მეკარეზე შეაჩერა არჩევანი, რომლებსაც აქამდე ენდობოდა. ბუნებრივია, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის **ჯანლუიჯი ბუფონი** მოიაზრება, **სალვატორე სირიგუს** და **ემილიანო ვივიანოს** კი სათადარიგოთა სკამზე მოუწევთ ყურყუტი. ამასობაში, **კრიატიან აბიატიმ** აიმაღლა ხმა და პრესას შემდეგი განუცხადა:

„ჩემი ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია და სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვხვდები, რატომ ხდება მუდმივად ჩემი იგნორირება. არაერთი მწვრთნელი გამოიცვალა „აძურამ" და არც ერთ მათგანს არ გამოვუძახებივარ. როდესაც ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩეზარე პრანდელი დაინიშნა, ოპტიმიზმით ავივსე, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი იმედი არ მართლდება. ვიმედოვნებ, ოდესმე მეც მოვირგებ ნაკრების მაისაურს".

აბიატის გულდაწყვეტილობა გასაგებია, სერია A-ს ლიდერი გუნდის ძირითადი კიპერია და მიუხედავად ამისა, ეროვნულ ნაკრებში არ იძახებენ. როგორც ჩანს, პრანდელი ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს და ცდილობს ისეთი მეკარე იპოვოს, რომელიც მომავალში ბუფონს ღირსეულად შეცვლის. სალვატორე სირიგუსა და ემილიანო ვივიანოს გარდა, პრანდელიმ რამდენჯერმე ანტონიო **მირანტე** გამოიძახა, ასევე ახალგაზრდა მეკარე.

დაცვა

იტალიურ პრესაში იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ პრანდელიმ **დავიდე სანტონი** დაბრუნა ეროვნულ ნაკრებში. ახალგაზრდა უკანახაზელი „ჩეზენაში" ასპარეზობს იჯარის წესით და ახალ გუნდში საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი. დაუფასდა კიდეც და „აძურას" მთავარი მწვრთნელის სიაშიც მოხვდა. განაცხადშია **ლეონარდო ბონუჩი**, **ანდრეა რანოკია** და **ჯორჯო კიელინი** - ის სამეული, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება. აქვე ვთქვათ, რომ რანოკიას მცირე ტრავმა აქვს და შესაძლოა, სლოვენიასთან ვერ იასპარეზოს - თუმცა, ამის შანსი საკმაოდ მცირეა. ზოგადად კი პრანდელი საკმაოდ საინტერესო დაცვის ხაზს გვიმზადებს: სანტონი, ბონუჩი, რანოკია, კიელინი. ამბობენ, რომ სწორედ ამ ოთხეულზე აპირებს აქცენტის გაკეთებას და ვნახოთ, რამდენად გამართლდება პროგნოზი.

ჟურნალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთ ახალგაზრდა მცველებზე აქცენტის გაკეთება სარისკოა, თუმცა უმეტესობა მწვრთნელს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ყველამ კარგად ნახა, რომ რანოკია-ბონუჩის ცენტრალურმა ტანდემმა გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი - წესით, არც სანტონმა უნდა დააშავოს რამე, რომელიც გამორჩეულია თავისი სისწრაფით და შესაბამისად, შეტევებში ჩართვაც ეხერხება.

ნახევარდაცვა

საყოველთაო მოსაზრებით, იტალიის ნაკრების ხერხემალი **ანდრეა პირლოსა** და **დანიელე დე როსისგან** შემდგარი ნახევარდაცვის ცენტრალური ტანდემია. თუმცა, ისე მოხდა, რომ სლოვენიასთან ვერც ერთი ითამაშებს და ვერც მეორე. მილანელი ტრავმირებული გახლავთ და უკვე დიდი ხანია კლუბსაც ვერ ეხმარება, რაც შეეხება რომაელს, პრანდელიმ არასპორტული საქციელის გამო დასაჯა და ნაკრების შემადგენლობიდან ორი მატჩით მოკვეთა. დიახ, სენიორ ჩეზარემ საქმისადმი ახალი მიდგომის შესახებ გვამცნო - ის, ვინც ფეარ პლეის პრინციპებს არ დაიცავს, აუცილებლად დაისჯება. დე როსი რომაულ დერბიში შერცხვა, გასახდელში წაეკიდა მოწინააღმდეგე ფეხბურთელებს და სწორედ ამის გამო დარჩა განაცხადს მიღმა. პრანდელის თქმით, დანიელე აუცილებლად დაუბრუნდება ნაკრებს და იმედია, შეცდომას აღარ გაიმეორებს.

პირლოსა და დე როსის არყოფნაში, ნახევარდაცვა თითქოს გამოფიტულია, თუმცა სხვა გზა არ არის და პრანდელის არსებული რესურსით მოუწევს ფონს გასვლა. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, მოედნის ცენტრის გამაგრება **სტეფანო მაურის**, **ტიაგო მოტას** და **კლაუდიო მარკიზიოს** მოუწევთ. უშანსოდ არც **ალბერტო აკვილანი** და **რიკარდო მონტოლივო** არიან - ამ უკანასკნელმა საკმაოდ სუსტად ჩაატარა გერმანიასთან შეხვედრა და ბევრი არ ელოდა, თუ კიდევ მოხვდებოდა პრანდელის სიაში.

თავდასხმა

თავდასხმაში იმ ფეხბურთელებს ვხედავთ, რომლებსაც ჩეზარე პრანდელი ტრადიციულად ეყრდნობა. საგერმანიოდ **ალბერტო ჯილარდინო** დარჩა განაცხადს მიღმა, ამჯერად კი სიაშია და ეს აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. კვლავ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის **ალესანდრო მატრი**, რომელსაც ბუნდესგუნდთან თამაშის საშუალება არ მიეცა და ვნახოთ, სლოვენიასთან მაინც თუ შედგება მისი სანაკრებო დებიუტი. **ჯუზეპე როსის** და **ანტონიო კასანოს** განაცხადში მოხვედრა არ გვიკვირს, აი **სებასტიან ჯოვინკოს** მიჯრით მეორე გამოძახება კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი იმკვიდრებს ადგილს ეროვნულ ნაკრებში.

იმათ შესახებაც ვთქვათ, ვინც შესაძლოა ელოდა „აძურაში" მოხვედრას, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა. პირველ რიგში, ეს **ანტონიო დი ნატალეზე** ითქმის, რომელსაც პრანდელი არაფრით სწყალობს. სერია A-ს ბოლო ტურებში ტოტო განსაკუთრებულად პროდუქტიული გახლდათ და ამად იყო, რომ პრესასთან საუბარში ნაკრებში მოხვედრის იმედი გამოთქვა. როგორც ჩანს, პრანდელის დი ნატალეს ასაკი აშინებს, ის ხომ ძირითადად ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს.

ახალგაზრდაა **მარიო ბალოტელი**, მაგრამ კიდევ ერთხელ დარჩა განაცხადს მიღმა - ჟურნალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაშიც პრანდელის ახალ პრინციპთან გვაქვს საქმე, რომელიც უდისციპლინო ფეხბურთელების დასჯას გულისხმობს - გავიხსენოთ „მანჩესტერ სიტის" და კიევის „დინამოს" დაპირისპირება ევროპის ლიგაზე და ის, რომ არასპორტული საქციელისთვის მარიო გაძევებულ იქნა მოედნიდან. თუმცა, სულ რომ ფეარ პლეის პრინციპების დამცველი იყოს ბალოტელი, ძნელი სათქმელია, დაიმახურებდა თუ არა ნაკრებში გამოძახებას - ბოლო პერიოდში, არცთუ ისე პროდუქტიულია.

რეზიუმე

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩეზარე პრანდელი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. ახალ გუნდს აშენებს, რომელმაც წლების განმავლობაში უნდა ითამაშოს დიდ საფეხბურთო ფორუმებზე და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს. სწორედ ამიტომ რისკავს და დაცვის ხაზში ლამის თინეიჯერ ფეხბურთელებს ათამაშებს: ბონუჩი, რანოკია, სანტონი - ძალიან იმედის მომცემი, მაგრამ მაინც გამოუცდელი ფეხბურთელები არიან. ახალგაზრდები ჰყავს შეტევაშიც: როსი, მატრი, ჯოვინკო - სწორედ მათზე კეთდება აქცენტი, მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ს ბომბარდირთა სიას კვლავაც ანტონიო დი ნატალე უდგას სათავეში.

SERIA A. XXX ტურის მიმოხილვა


ტოტის ანგარიშზე სერია A-ში 201 გოლია

ტოტი, დელ პიერო და სიცილიელები

ტურის სიმბოლური ნაკრები

სირიგუ (პალერმო) - მილიაჩო (პალერმო), გოიანი (პალერმო), ბენეტია (უდინეზე) - კრასიჩი (იუვენტუსი), ინლერი (უდინეზე), ვარგასი (ფიორენტინა), ბალცარეტი (პალერმო) - ტოტი (რომა), კავანი (ნაპოლი), დელ პიერო (იუვენტუსი).

ალესანდრო დელ პიეროს და **ფრანჩესკო ტოტის** ერთად ხილვა ყოველთვის დადებითი ემოციების მომგვრელია, თუნდაც სიმბოლურ ნაკრებში. ისე, თავდასხმის ხაზი მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება - წარმოვიდგინოთ, უკნიდან დელ პიერო-ტოტის ტანდემი და წინ **ედინსონ კავანი**. მართალია, ტურინელმა და რომაელმა საუკეთესო დროება უკან მოიტოვეს, მაგრამ როგორც ხედავთ, მუხლი ჯერ კიდევ უჭრით. ტოტიმ ორი გოლი გაიტანა „ფიორენტინასთან" პაექრობაში და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ „ჯალოროსის" ლიდერია, დელ პიერომ კი „ბრეშას" „მიართვა" და მისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

სიმბოლურ გუნდში „პალერმოს" ფეხბურთელების სიმრავლეა, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი - სიცილიელებმა ხომ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი დაამარცხეს და ხანგრძლივი წარუმატებელი სერია შეწყვიტეს. სამიდან ორი მცველი სწორედ „პალერმოს" წარმოადგენს, პლუს მეკარე და ნათელი ხდება, რომ გუნდის უკანა ხაზი შესანიშნავად გაისარჯა.

ტურის გმირი

ტურის გმირად „პალერმოს" რუმინელი მცველი **დორინ გოიანი** უნდა ვაღიაროთ, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა „მილანის" კარში და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. გარდა გატანილი გოლისა, დაცვაში ბრწყინვალე ასპარეზობით გამოირჩა და ის, რომ „მილანმა" ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხა, ამაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა. მოკლედ, საუკეთესოდ წარმოჩნდა, მისმა გოლმა კი მართლაც ბევრი რამ შეცვალა:

1. „მილანმა" 12-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა;

2. „პალერმომ" 5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა;

3. „მილანს" მდევრები მიუახლოვდნენ და სასკუდეტო ბრძოლა მაქსიმალურად დაიძაბა, რამაც მომდევნო ტურში დაგეგმილ „მადონინას" კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა.

ტურის შეცდომა

მარკო დი ვაიო შესანიშნავ სეზონს ატარებს, „ჯენოასთან" პაექრობაშიც გამოიჩინა თავი და გატანილი გოლების რაოდენობა 18-მდე გაზარდა. თუმცა, ამაში მატჩის მთავარ არბიტრს, **დანიელე დოვერის** უნდა უმადლოდეს, რომელმაც ვერ შენიშნა, რომ გამოცდილმა ფორვარდმა ბურთი ხელით გაისწორა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაგზავნა მეტოქის კარის ჩარჩოში. დოვერი ახალგაზრდა რეფერია, ერთი წლით უმცროსი, ვიდრე თავად გოლის ავტორი და როგორც ჩანს, გამოუცდელობამ იჩინა თავი.

ტურის ფრაზები

ჯამპაოლო პოცო (უდინეზეს პრეზიდენტი): *„სკუდეტო? - შეგვიძლია ვიოცნებოთ, მით უმეტეს, ეს სრულიად უფასოა".*

ფრანჩესკო გვიდოლინი (უდინეზეს მთავარი მწვრთნელი): *„სკუდეტო? - ხომ არ გადაირიეთ"?...*

ციფრები და ფაქტები

- „მილანმა" მიჯრით მეოთხე გასვლითი მატჩი წააგო „პალერმოსთან";

- **სტეფანო სორენტინომ** მეასე შეხვედრა ჩაატარა „კიევოს" შემადგენლობაში, **სტეფანო** პიოლიმ კი მეასე გამარჯვება მოიპოვა სამწვრთნელო კარიერაში;

- ანტონიო დი ნატალემ 127-ე გოლი გაიტანა სერია A-ში და ამ მაჩვენებლით **ანდრეი შევჩენკოს** გაუთანაბრდა;

- ფრანჩესკო ტოტის ანგარიშზე უკვე 201 გოლია სერია A-ში და ამ მაჩვენებლით ის მეექვსეა ყველა დროის ბომბარდირებს შორის - კიდევ ოთხი გოლი და ლეგენდარულ **რობერტო ბაჯოს** დაეწვა, რომელსაც სავარაუდოდ მალე ჩაენაცვლება მეხუთე პოზიციაზე. შემდეგი სამიზნე კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი, **ჯუზეპე მეაცა** იქნება, რომლის ანგარიშზეც 216 გოლია იტალიის ელიტარულ დივიზიონში. ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი კი **სილვიო პიოლა** გახლავთ 274 გოლით;

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

BUNDES LIGA

გერმანია. ბუნდესლიგა.

XXVII ტურის გაგრძელება

ნამუსიც კაი საქონელია, შაჰინ!

ფელიქს მაგათი „ვოლფსბურგში“ დაბრუნდა და იქ არცთუ ისე ბევრი რამ დახვდა შეცვლილი; „შალკეს“ ბოსმა კლემენს ტიონიესმა „დესპოტ ფელიქსზე“ ძალიან ცუდად ილაპარაკა; „ბაიერნში“ კი ჯერჯერობით მწვრთნელიც უცვლელია და ტენდენციაც...

სხვათა შორის, ბუნდესლიგის 27-ე ტურს ისეთი გმირებიც ჰყავდა, რომლებიც წინა პლანზე მხოლოდ იმ სამწვრთნელო საგიჟეთ-ჯოჯოხეთის გამო არ მოხვდნენ, რასაც აგერ უკვე ორი კვირაა, ბოლო არ უჩანს – მაგალითად, „ჰამბურგის“ ვეტერანი ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო, რომელმაც ბუნდესლიგაში 330-ე მატჩი ჩაატარა და ამ მხრივ, რეკორდსმენ სერგეი ბარბარესს გაუთანაბრდა (არაგერმანელი ფეხბურთელის ყველაზე მეტი მატჩი ბუნდესლიგაში). ან სებასტიან პრიოდლი, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად, რაგბი ითამაშა და ამის გამო მიიღო ტრავმა, რაც ფეხბურთს სამი-ოთხი კვირის მანძილზე ჩამოაშორებს. პრიოდლი არ ამბობს, ვისი იდეა იყო ვარჯიშის შემდეგ რაგბის თამაში.

ეს და სხვა საინტერესო მოვლენები ბუნდესლიგის 27-ე ტურიდან, Tops& Flops-ის სახით.

ბორუსია (დ)-მაინცი 1:1. ნური შაჰინმა ამ სეზონში მესამე, ზოგადად კი ზედიზედ მეოთხე პენალტი ვერ გაიტანა

FLOP
ნური შაჰინი და ბრმა ნდობა

გერმანიაში არცე რთი სხვა მწვრთნელი არ ენდობა თავის შეგირდებს ისე, როგორც დორტმუნდის „ბორუსიას“ დამრიგებელი **იურგენ კლოპი**. ფეხბურთელებიც უდიდესი თავდადებით თამაშობენ და ამიტომაცაა, რომ „ბორუსიას“ ჩემპიონობა ფაქტობრივად გარდაუვალია. აი, იურგენის **ნური შაჰინისადმი** ბრმა ნდობას კი BVB-ში ბევრი აღარ ეთანხმება. თურქმა ნახევარმცველმა ამ სეზონში უკვე მესამედ ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი (მეტი არც დაურტყამს), ზოგადად კი ზედიზედ ოთხი პენალტი აქვს გაფუჭებული. წინა სამი შემთხვევისგან განსხვავებით, კლოპს ამჯერად აღარ უთქვამს, ათასჯერ რომ ვერ გაიტანოს, პენალტს მაინც შაჰინს დავარტყმევინებო. ეჭვი გვაქვს, ამ ბრმა ნდობაში თვითონაც ეჭვი შეეპარა.

FLOP
დავცინით ბეილის

პარასკევს, მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და „კაიზერსლაუტერნის“ უპრინციპულეს მატჩში, მასპინძლების მეკარემ ისეთი შეცდომა დაუშვა, ბოლოადგილოსანი „გლადბახის“ ფანებს ტირილის თავიც არ ჰქონდათ და სიცილი დაიწყეს. **კრისტიან ტიფერტმა** კუთხური რომ ჩაწოდა, **ბეილის** ხუთმეტრიან საჯარიმოში მის გარდა ფაქტობრივად არავინ იყო და „გლადბახის“ მეკარეს ბურთის თავით მოგერიებაც კი თავისუფლად შეეძლო, მან კი ბურთს მუშტი მოუღერა და საკუთარ კარში შეაგდო. საინტერესოა ისიც, რომ ბეილიმ ამ კუთხურამდეც საკუთარი კარისკენ მოიგერია ტიფერტის კიდევ ერთი კუთხური, ოღონდ იმ შემთხვევაში აააცი. დიდი შანსია, რომ ლოგანის ეს მწარე შეცდომა „გლადბახს“ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის ფასად დაუჯდეს.

FLOP
გუსტავო იძ, გუსტავო აძ, გუსტავო ყველგან...

დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშეს, „შალკესთან“ საყრდენ ნახევარმცველად, „ჰამბურგთან“ ცენტრალურ მცველად, „ინტერთან“ ისევ საყრდენად, ფრაიბურგში კი ისევ ცენტრალურ მცველად – თვეზე მეტია, **ლუის გუსტავოს** „ბაიერნში“ ერთ პოზიციაზე ზედიზედ ორი თამაშიც კი არ აქვს ჩატარებული. კარგია, რომ ბრაზილიელს არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში და თავის კარგად წარმოჩენას ყველგან ახერხებს, მაგრამ **ლუის ვან გაალი** შეცდომას უშვებს, როცა მას სამ დღეში ერთხელ პოზიციას უცვლის, რადგან ბრაზილიელი ძალიან დაიბნა: როცა ცენტრალური მცველია, ხანდახან ისე იქცევა, როგორც საყრდენი უნდა იქცეოდეს, როცა მარცხენა მცველია, ისე იქცევა, როგორც ცენტრალური მცველი უნდა იქცეოდეს და ა.შ

XXVII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 4–3–3)

სვენ ულრაიხი (შტუტგარტი) – **ტიმოთი ჩენდლერი** (ნიურნბერგი), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ), **იოზერ ტოპრაკი** (ფრაიბურგი), **მიხაელ კაფლეცი** (ლევერკუზენი) – **ენის ბენ-ჰატირა** (ჰამბურგი), **კრისტიან ტიფერტი** (კაიზერსლაუტერნი), **ელჯერო ელია** (ჰამბურგი) – **ერენ დერდიოკი** (ლევერკუზენი), **დიდიე ია კონანი** (ჰანოვერი), **მლადენ პეტრიჩი** (ჰამბურგი)

„ჰანოვერის“ კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელი **დიდიე ია კონანი** მერვედ მოხვდა „კიკერის“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში. მიმდინარე სეზონში მასზე სიმბოლურში არავინ ყოფილა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ია კონანი ამ სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა.

ტურის გმირი

მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი)

მლადენ პეტრიჩს გოლების გატანა ყველაზე მეტად „კიოლნის“ კარში უყვარს, რადგან ყველაზე მარტივად ამ გუნდის კარის დალაშქვრა გამოსდის ხოლმე. შაბათს მან „თხებს“ ჰეთ-თრიკი შეუსრულა და საერთო ჯამში, „კიოლნთან“ ხუთ მატჩში რვა გოლი აქვს გატანილი. პეტრიჩს ზოგადად ამ სეზონშიც ძალიან კარგი შედეგი აქვს: 11 გოლი და 6 საგოლე პასი სულ რაღაც 18 მატჩში. ტურის საუკეთესო ფეხბურთელად კი, „კიკერმა“ პირველად დაასახელა.

საუკეთესო ფეხბურთელები

27 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშ. შეფასება
1. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.56
2. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
3. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.63
4. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.63
5. მანუელ ნოიერი	შალკე	2.69
6. რომან ვაილენფელერი	ბორუსია (დ)	2.75
7. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.76
8. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.76
9. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	2.80
10. ტომ შტარკე	ჰოფენჰაიმი	2.83

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თ	გ	პ	ქ
1. მარიო გომესი	ბაიერნი	25	19	3	22
2. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	25	18	1	19
3. თეოფანის გეკასი	აინტრახტი	27	16	3	19
4. დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	22	12	7	19
5. თომას მიულერი	ბაიერნი	27	9	9	18
6. ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	26	12	6	18
7. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	19	4	14	18
8. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	26	9	9	18
9. მლადენ პეტრიჩი	ჰამბურგი	18	11	6	17
10. ანდრე შიურლე	მაინცი	26	12	5	17

საინტერესოა, რა პოზიციაზე ათამაშებს ვან გაალი ბრაზილიელს მომდევნო ტურში, „გლადბახთან“.

FLOP
განადგურებული კიოლნი

საკმარისი იყო, კიოლნელებს ზედიზედ ექვსი საშინაო გამარჯვების შემდეგ თავი გასავარდნი ზონიდან მოშორებით, სამშვიდობოს დაეგულებინათ, რომ ბრძოლა შენყვიტეს და „ჰამბურგთან“ 2:6 განადგურდნენ. თანაც, იმ „ჰამბურგთან“, რომელმაც წინა ტურში თვითონ გაუშვა 6 გოლი. ახლა კი ცხადია, რომ „თხებს“ სეზონის ბოლომდე მაინც მოუწევს ნერვიულობა.

FLOP
წარმატებები, რალფ!

მაგათის გაგდების შემდეგ, „შალკეს“ ბოსმა **კლემენს ტიონიესმა** ყოფილ მწვრთნელზე ძალიან ცუდად ილაპარაკა და პრესკონფერენციაზე მაგიდას მუშტიც კი დასცხო – ალბათ უნდოდა, ეჩვენებინა, როგორი მკაცრია და როგორ აჯობა „დესპოტ ფელიქსს“, რომელიც უმუშევარი, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა და უკვე „ვოლფსბურგის“ მთავარი მწვრთნელია.

გუშინ „შალკეში“ მუშაობას **რალფ რანგნიკი** შეუდგა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, „პროფესორს“ „შალკესთვის“ ისტორიულად დამახასიათებელი ქაოსის გაძლება ვუსურვოთ...

TOP
ბედნიერი გრაფიტე

მაგათმა ბრაზილიელი თავდამსხმელი **გრაფიტე** „ვოლფსბურგში“ 2007 წელს, ფრანგული „ლე მანიდან“ გადაიყვანა. ამ უკანასკნელს მანამდე არავინ იცნობდა, თანაც უკვე 28 წლის იყო. მაგათის ხელში გრაფიტე გერმანიის ჩემპიონი და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ბრაზილიის ნაკრების განაცხადშიც იყო, რაც, გავრისკავთ და ვიტყვით, ასევე მაგათის დამსახურებაა.

არცაა გასაკვირი, ბრაზილიელ თავდამსხმელს ძალიან რომ გაუხარდა მაგათის „ვოლფსბურგში“ დაბრუნება, რაც მაშინვე ფეისბუქზე გამოხატა და „მგლების“ ფანებს დაჰპირდა, ამ სეზონში კიდევ 8 გოლს გავიტანო. ფელიქსმა ბრაზილიელს თავის სტილში უპასუხა - კარგია, რომ ასეთი გახარებული და მონდომებულია, მაგრამ მე მისგან ცხრა გოლს ველოდებიო.

გრაფიტემ კვირას „შტუტგარტთან“ ერთი უკვე გაიტანა...

TOP
კრაფტის არგუმენტი

მაღალი კლასის მეკარეს აუღებელი დარტყმების აღებაც უნდა შეეძლოს. „ბაიერნის“ ახალგაზრდა კიპერი **თომას კრაფტი** მიუნხენში ძალიან უყვართ და აფასებენ, მაგრამ აქამდე ცოტათი ეჭვის თვალითაც უყურებდნენ, რადგან „ჰანოვერთან“ უპატიებელი შეცდომა დაუშვა. სამაგიეროდ, მილანში, „ინტერთან“ იყო ბრწყინვალე და ამ უქმეებზეც, „ფრაიბურგთან“ (2:1 რეკორდმაისტერის სასარგებლოდ) ძალიან კარგად ითამაშა – პენალტიც აიღო და რამდენიმე გემრიელი სეივიც გააკეთა. ეს კი უკვე დამატებითი არგუმენტია ფანებისთვის, რომ კრაფტი კიდევ უფრო მეტად შეუყვარდეთ და კიდევ უფრო თამამად თქვან, რომ მიუნხენურ გრანდს **მანუელ ნოიერი** არ სჭირდება.

TOP
დაგეგმილი გოლი

„ლევერკუზენის“ თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** „შალკესთან“ მოგებული მატჩის შემდეგ თქვა, **ერენ დერდიოკმა** ზუსტად ისეთი გოლი გაიტანა, როგორიც დავგეგმეთო: **სიმონ როლფესის** გამჭოლი პასი **მიხაელ ბალაკისკენ**, რომელიც ერთი შეხებით გზანის ბურთს დერდიოკისკენ. **ლუკას შმიტცი** და **ბენედიქტ ჰიოვედესი** შვეიცარიელს სისწრაფეში მაგრად ჩამოუვარდებიან, რის გამოც დერდიოკს ვერ აკონტროლებენ, ეს უკანასკნელი კი ნოიერთან პირისპირ გადის, მაგრამ ბურთი საკმაოდ წინ აქვს გაგდებული, რის გამოც „შალკეს“ მეკარე კარის დატოვებაზე ფიქრობს. ნაბიჯი წინ, მერე ხვდება, რომ ეს უაზრობაა და ნაბიჯი უკან... დერდიოკი კი ამ დროს უკვე ბურთთანაა, დარტყმა, გოლ!

„შალკეს“ მეკარეზე აუგს ვერ ვიტყვით – მოგერიება შეუძლებელი იყო.

TOP
ღადაობ, მლადენ?

„ჰამბურგის“ თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** კიოლნთან მატჩის წინ ამბობდა, ჩვენი მეტოქე კერკეტი კაკალია, მოგება გაგვიჭირდებაო. თხებს წინა ექვსი თამაშიდან ოთხი მოგებული ჰქონდა, რაც პეტრიჩის მოსაზრებას ადასტურებს. მაგრამ თამაშმა ეს მოსაზრება ისე გაბათილა, კვირას პეტრიჩს უკვე მთელი გერმანია დასცინოდა. „ჰამბურგმა“ 6:2 მოიგო, ხორვატმა კი ჰეთ-თრიკი შეასრულა. შეეძლო, ოთხიც გაეტანა, მაგრამ პენალტი **ზე რობერტოს** დაარტყმევინა.

TOP
რიბერი, როგორც როგენი

რაკი **არიენ რობენი** მოედანზე აღარ იყო, „ბაიერნის“ ლიდერის ფუნქციები სრულად **ფრანკ რიბერიმ** იკისრა და „ფრაიბურგთან“ მატჩის დასკვნით ნაწილში გააკეთა ის, რასაც მეტწილად რობენი აკეთებს ხოლმე. 88-ე წუთზე ანგარიში 1:1 გახლდათ, რაც რეკორდმაისტერს არანაირად არ აწყობდა და მიუნხენელები უკვე უკონცეფციოდ უტევდნენ. მერე რიბერიმ მარცხენა ფლანგზე ბურთი მიიღო და რობენის სტილში, დრიბლინგი ცენტრისკენ მოძრაობით განაგრძო, გასცდა **მენსურ მუივჯას** და მარჯვენა ფეხით, ბურთი ბრაისგაუელთა კარის შორეულ კუთხეში შეაგდო. ამრიგად, სწორედ რიბერის დამსახურებაა ის, რომ „ბაიერნი“ მესამე ადგილზე მყოფ „ჰანოვერს“ ისევ ორი ქულით ჩამორჩება. ამ სეზონში რეკორდმაისტერისთვის ესეც წარმატებაა.

ფრანკ რიბერი

● ბაიერნი

რიბერი: ჩემი გული ბაიერნს ეკუთვნის!

თუ რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგაში ვერ გავა, როგენისგან განსხვავებით, რიბერი მიუნხენიდან არ წავა

ამას წინათ ვწერდით, რომ თუ მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებდნენ „ბაიერნის“ ჰოლანდიელი დრიბლიორი **არიენ რობენი** მიუნხენიდან წასვლაზე სერიოზულად დაფიქრდებოდა. გუშინ ამ თემას ბავარიული გრანდის ფრანგი ლიდერი **ფრანკ რიბერიც** გამოეხმაურა, რომელიც რობენს მხოლოდ იმაში ეთანხმება, რომ ევროპის ლიგაში თამაში საშინელებაა, მაგრამ რიბერი ამბობს, თუ მაინც ასე მოხდა, „ბაიერნის“ ერთგული დავრჩებიო.

„ევროპის ლიგა ჯოჯოხეთია, სადაც თამაში არცერთ ჩვენგანს არ სურს, მაგრამ თუ მაინც ისე მოხდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოვიპოვეთ, „ბაიერნიდან“ წასვლაზე არ ვიფიქრებ. მე აქ ხუთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ასი პროცენტით ბაიერნელი ვარ. ჩემი გული მხოლოდ მიუნხენური გრანდისთვის ძგერს, - აცხადებს რიბერი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *ის, რაც „ინტერთან“ დაგვემართა, კატასტროფა იყო. ახლა კი, გულშემატკივრების წინაშე ვალდებულები ვართ, ყველაფერი გამოვასწოროთ და ჩემპიონთა ლიგაში გაისადაც ვითამაშოთ, თანაც, გაცილებით უკეთ, რადგან 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენში უნდა გაიმართოს და დიახაც, იმ ფინალმა ჩვენ გარეშე არ უნდა ჩაიაროს.“*

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ინტერვიუ. ფელიქს მაგათი

დიახ, დესპოტი ვარ! ასეა საჭირო!

კაცი, რომელიც არ იცინის, სახლში დაბრუნდა

ფელიქს მაგათმა „შალკეში“ მხოლოდ წელიწად-ნახევარი გაძლო. მიუხედავად იმისა, რომ „დესპოტი ფელიქსი“ ბოლო წლებში ყველაზე წარმატებული გერმანელი სპეციალისტია და სპორტული თვალსაზრისით, გელზენკირხენული კლუბიდან მისი გაშვების რეალური საფუძველი არ არსებობდა, რადგან მაგათმა გუნდი პირველ წელს ვიცე-ჩემპიონი გახადა, ამ სეზონში კი გერმანიის თასის ფინალსა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან „შალკეში“ დიდხანს გაძლება ძალიან ძნელია. მისი გათავისუფლება ოფიციალურად ჯერ არ იყო დადასტურებული, რომ მაგათი „ვოლფსბურგში“ დაბრუნებას დათანხმდა და ფელიქსი აღიარებს, რომ ეს სიგიჟეა. გთავაზობთ გულახდილ და შესაბამისად, ძალიან საინტერესო ინტერვიუს მაგათთან, რომელიც „ბილდში“ გამოქვეყნდა.

- ჰერ მაგათ, ყველას ეგონა, რომ „შალკეში“ გადატანილი სტრესის შემდეგ ცოტა ხანს დაისვენებდით, თქვენ კი რა გააკეთეთ - მეორე დღეს „ვოლფსბურგში“ მუშაობას დათანხმდით...

- სიმართლე გითხრათ, მეც ასე ვფიქრობდი. წინა კვირას „შალკეს“ შეფ კლემენს ტიონიესთან „კაცური“ საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ „შალკე“ ჩემთვის უკვე დამთავრებული ისტორია იყო და მეც დასვენებაზე ვფიქრობდი, მაგრამ სამშაბათს ვოლფსბურგიდან დამირეკეს.

- დიდხანს იფიქრეთ?

- ათი წამიც კი არ მიფიქრია. პრინციპში, საკმარისი იყო, კაცს, რომელიც ტელეფონზე მირეკავდა, თავისი გვარი დაესახელებინა, რომ უკვე თანახმა ვიყავი. ალბათ გაინტერესებთ, ვინ მირეკავდა - „ფოლკსვაგენის“ კონცერნის შეფი მარტინ ვინტერკორნი.

- მეუღლეს არაფერი ჰკითხეთ?

- ცხადია, ვკითხე - მე ხომ არასდროს ვიღებ გადაწყვეტილებას ჩემი მეუღლის გარეშე, მაგრამ მანაც მაშინვე მითხრა, უნდა დათანხმდეო. შეიძლება ახლა ბევრმა არ დამიჯეროს, მაგრამ ფაქტია, რომ 2009 წელს, „ვოლფსბურგიდან“ წამოსვლა ძალიან გამიჭირდა. ვინტერკორნი მაშინაც მხარში მედგა. ალბათ იცით, ჩემი დევიზი ასეთი იყო: არასდროს დავბრუნდე გუნდში, სადაც ადრეც მიმუშავია, მაგრამ ხომ ხედავთ, „ვოლფსბურგის“ შემთხვევაში გამონაკლისი დავუშვი.

- სამშაბათს ჯერ კიდევ „შალკეს“ მწვრთნელი იყავით, ოთხშაბათს გაგათავისუფლეს, ხუთშაბათს კი უკვე „ვოლფსბურგში“ დაინიშნეთ - არ გეჩვენებათ, რომ ეს სიგიჟეა?

- კი, ეს ნამდვილად სიგიჟეა, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა კარგად ვგრძნობ თავს. ნამდვილი სიგიჟე ბოლოს უკვე „შალკე“ იყო, „ვოლფსბურგში“ კი ნამდვილი სამოთხეა.

- რა არ გინდოდეს „შალკეს“ ხელმძღვანელებმა: ასოციალური, ფულის მფლანგველი, ფეხბურთელების მტანჯველი...

- ერთია ის, რაც მინდოდეს, ხოლო მეორე კი ის, რომ ეს თემა პრესამაც მაგრად აიტაცა და კლემენს ტიონიესის ეპითეტებით ჟურნალისტებიც მამკობდნენ.

- თქვენი აზრით, სიმართლეს არც ერთი ეპითეტი არ შეესაბამება?

- მე ვფიქრობ, რომ ბოლო წლებში ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი ვარ გერმანიაში, შესაბამისად, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მუშაობის სტილი უნდა შევცვალო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ჩემ შესახებ მხოლოდ ცუდი იწერება, „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებმა „შალკედან“ წამოსვლიდან ერთ დღეში გამომიცხადეს წდობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ წარმატებული მწვრთნელი ვარ. საბედნიეროდ, ვოლფსბურგში არავინ მთხოვს, შეიცვალეო. აქ მხოლოდ იმას მეუბნებიან, იმუშავე ისე, როგორც აქამდე მუშაობდიო.

- თქვენმა შვილებმაც გაიგეს, როგორ გახასიათებდნენ „შალკეს“ ბოსები?

- რა თქმა უნდა - მათ ვერაფერს გამოაპარებ, მაგრამ ამას პოზიტიური ეფექტი ჰქონდა. ბავშვებმა მითხრეს, ამ ყველაფერს სერიოზულად ნუ მიიღებო, რითაც ძალიან გამახარეს.

- ნუთუ წვრთნის თქვენეული მეთოდები ფეხბურთელებისთვის იმდენად მძიმე ასატანია, რომ რამდენიმე მათგანმა მართლაც მიმართა ტიონიესს ჩივილით?

- რა გითხრათ, ჩემი აზრით, ძალიან აჭარბებენ. ისედაც ყველამ იცის, რომ ფეხბურთელებისგან ყოველთვის ძალიან ბევრს ვითხოვ. მოთამაშემ უნდა იცოდეს, რომ ისეთ პროფესიას მოჰკიდა ხელი, სადაც მუდმივად წნეხის ქვეშ იქნება მოქცეული. ფეხბურთელი ამას თავიდანვე უნდა შეეგუოს. თუ ჩემს შედეგებს დააკვირდებით, დარწმუნდებით, რომ წარმატებული მწვრთნელი ვარ: 2002 წლის შემდეგ, სადაც ვმუშაობდი, არც ერთი გუნდი არ დარჩენილა ევროტურნირებს მიღმა. და არც „შალკე“ დარჩებოდა - ეს გუნდი შარშან ვიცე-ჩემპიონი გავხადე, წელს კი გერმანიის თასის ფინალსა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიყვანე.

- ტონიესს თქვენთვის უთქვამს, თუ არ შეიცვლები, გაგიშვებთო და ნუთუ ერთხელაც არ დაფიქრდით, იქნებ ღირდა მუშაობის სტილის შეცვლა?

- ჰო, რა თქმა უნდა, შემეძლო, ბევრი რამ შემეცვალა და ალბათ აღარ გამომიშვებდნენ, მაგრამ ჩემი პრინციპების ღალატს მირჩევნია, საერთოდ უმუშევარი ვიყო. იმიტომაც ვარ წარმატებული მწვრთნელი, რომ ჩემი კოლეგებისგან აბსოლუტურად განსხვავებული სტილი მაქვს.

- იყო თუ არა შეცდომა ის, რომ 2009 წელს „ვოლფსბურგი“ დატოვეთ და „შალკეში“ წახვედით?

- არა, ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ ეს შეცდომა იყო. ვერ ვიტყვი, რომ გელზენკირხენში ცუდი წელიწად-ნახევარი გავატარე. ვიცე-ჩემპიონობა, გერმანიის თასის ფინალი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი - „შალკეში“ წარმატებული წელიწადნახევარი გავატარე.

- იმაში მაინც დაგვეთანხმეთ, რომ „შალკემ“ იმიჯი ცოტათი შეგილახათ...

- არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უფრო - არა. „შალკეს“ გულშემატკივრების საკმაოდ დიდი ნაწილი ჩემს დატოვებას მოითხოვდა. ერთი ჯგუფი კი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და ისინი ჩემ წინააღმდეგ სწორედ ტიონიესის დავალებით მოქმედებდნენ. ფეისბუქზე ქომაგების უმეტესობა ძალიან პოზიტიურად გამომეხმაურა, მათ გული დასწყდათ, „შალკედან“ რომ წამოვედი. ამ გულშემატკივრების გამო გული მეც ძალიან მწყდება, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ აღარ იყო.

- ფეისბუქზე 140 000-ზე მეტი „შალკეს“ ფანი დაგიმეგობრდათ. რას აპირებთ?

- სამწუხაროდ, ბოლო დღეებში არ მქონდა იმის დრო, რომ რამე დამეპოსტა, მაგრამ ამ მეგობრებს ნამდვილად შევინარჩუნებ და მათთვის ფეისბუქზე აქტიურობას გავაგრძელებ.

- „შალკეს“ ფეხბურთელებთან მართლა ისეთი ცუდი ურთიერთობა გქონდათ, როგორც წერენ?

- არა! როგორ ფიქრობთ, ასე რომ ყოფილიყო, გერმანიის თასის ფინალში და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდოდით? იმას ვაღიარებ, რომ ფეხბურთელთან მეგობრული ურთიერთობა არასდროს დამიმყარებია და ამ მხრივ შეცვლას არც ვაპირებ. მიმაჩნია, რომ მწვრთნელი და ფეხბურთელი არ უნდა მეგობრობდნენ - მხოლოდ თანამშრომლობაა დასაშვები.

- რატომ არ გინდათ, რომ ფეხბურთელებს უყვარდეთ?

- მე, როგორც მწვრთნელს, ფეხბურთელისგან ქება და მისი სიყვარული არ მჭირდება. სულაც არ მიკვირს, რომ არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც იტყვის, ფელიქს მაგათი ძალიან საყვარელი, მეგობრული და თბილი მწვრთნელიაო. ეს არცაა აუცილებელი. სამაგიეროდ, არსებობს უამრავი მოთამაშე, ვინც იტყვის, რომ ჩემს ხელში უდიდესი პროგრესი განიცადა და იმ დროს, როცა მისი კოლეგები გადაღლილები იყვნენ, ის ფიზიკურად თავს ძალიან კარგად გრძნობდა. აი, ეს კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

- ამბობენ, „შალკეს“ ხელმძღვანელებთან მანუელ ნოიერმაც დაიჩივლა, ფელიქსი ასოციალური ტიპიაო. როგორ ფიქრობთ, მანუელიც იტყვის, რომ თქვენს ხელში პროგრესი განიცადა?

- 2009 წელს, როცა „შალკეს“ მთავარ მწვრთნელად და მენეჯერად დავინიშნე, მანუელ ნოიერი ნიჭიერი მეკარე იყო, გერმანიის ნაკრების კარს კი მაშინ არ იცავდა. მაშინ არც მიუნხენის „ბაიერნს“ სურდა მისი შეძენა. წელიწად-ნახევრის შემდეგ, ნოიერი ბუნდესგუნდის პირველი ნომერია და უამრავი მსურველი ჰყავს, „ბაიერნის“ შეფები კი, ქომაგებისგან განსხვავდებით, მასზე გიჟდებიან. ნოიერმა სწორედ ჩემს ხელში განიცადა პროგრესი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩემ გარეშეც მოეხერხებინა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩემი აზრით, მანუელ ნოიერთან ძალიან ნორმალური ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ეს იმას არ გამორიცხავს, რომ თვითონ მანუელი სხვაგვარად ფიქრობდეს.

- თქვენ რა ისწავლეთ „შალკეში“?

- ცხადია, მეც განვვითარდი, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ფელიქს მაგათი არ შეიცვლება. შესაბამისად, დიდია იმის შანსი, რომ „ვოლფსბურგის“ ჩემ შესახებ „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელებმაც ნეგატიურად ილაპარაკონ.

- 2009 წელს „ვოლფსბურგი“ ყველასათვის მოულოდნელად, გერმანიის ჩემპიონი გახადეთ. ახლა რა მიზანი გაქვთ ამ გუნდთან ერთად?

- როცა ვინტერკორნმა დამირეკა, პირველი, რაც ვკითხე, სწორედ ეს იყო - რა მიზნები გაქვთ-მეთქი? მითხრა, გვინდა, რომ „ვოლფსბურგი“ ევროპაში დააბრუნოო და იქვე დაამატა, თუ რომელიმე ტიტულსაც მოიგებ, ძალიან გაგვიხარდებაო. შესაბამისად, ჩემი მიზანია, რომ „ვოლფსბურგი“ ევროპის ან ჩემპიონთა ლიგაში გავიდეს და თუ რომელიმე ტიტულსაც მოვიგებთ, მთლად უკეთესი იქნება.

- 27 ტურის შემდეგ გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. პირველ რიგში, ელიტაში უნდა დარჩეთ...

- ცხადია, ამ სეზონში სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი. პირველ რიგში უნდა გადავრჩეთ! სეზონის ბოლომდე 7 ტურია დარჩენილი და ოთხი თამაში მაინც უნდა მოვიგოთ, ღამე მშვიდად დაძინება რომ შევძლოთ.

- გიკვირთ ის, რომ თქვენი წასვლის შემდეგ, „ვოლფსბურგმა“ უდიდესი რეგრესი განიცადა და ჩემპიონობიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, პირველი ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხე სერიოზულად ემუქრება?

- მაშინაც კი, როცა „შალკეს“ მწვრთნელი ვიყავი, „ვოლფსბურგს“ ყოველთვის ვაკვირდებოდი და ძალიან ვწუხდი, როცა ჩემი ყოფილი შეგირდები თამაშებს აგებდნენ. მე აქ ანყობილი, კარგად დაკომპლექტებული გუნდი დავტოვე და წესით, ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო.

- როგორ ფიქრობთ, სად დაუშვეს შეცდომები „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებმა თქვენი წასვლის შემდეგ?

- გუნდური სულისკვეთება ვერ შეინარჩუნეს. 2009 წელს „ვოლფსბურგი“ სწორედ გუნდური სულისკვეთების უმაღლესი ხარისხის გამო გახდა ჩემპიონი.

- ბევრი ფიქრობს, რომ ვოლფსბურგში თქვენი მისვლით, დიეგოს რთული დროება დაუდგება. ბრაზილიელი გამთამაშებელი გუნდურ მოთამაშედ ხომ ნამდვილად არ მიიჩნევა...

- ვიცი, რომ დიეგო რთული ფეხბურთელია, მაგრამ მზად ვარ, განვითარების ჩემი გზა მასაც შევთავაზო და დავპირდე, რომ თუ გამომყვება და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც ვეტყვი, ნამდვილად არ ინანებს. დიეგო დიდი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელია და პლუსი უფრო მეტი აქვს, ვიდრე მინუსი. მთავარია, ამყვეს და დარწმუნებული ვარ, მასთან პრობლემები არ მექნება.

- საინტერესოა, რას დაგპირდნენ „ვოლფსბურგის“ შეფები პრემიის სახით იმ შემთხვევაში, თუ გუნდს მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნით?

- ავტომობილს.

- საინტერესოა. მოდელს თქვენ აირჩევთ?

- დიახ.

- უკვე იცით, რომელს აიღებთ?

- ვიცი: ეს იქნება „ბენტლი“. საერთოდ, ავტომობილების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ ორი წლის წინ ჟურნალ „აუტო ბილდის“ მიწვევით „ბენტლი“ ვმართე და მას მერე ამ ავტომობილზე შეყვარებული ვარ...

> „მწვრთნელი და ფეხბურთელი არ უნდა მეგობრობდნენ - მხოლოდ თანამშრომლობაა დასაშვები“



„შალკე“ უკვე ნარსული
ფელიქს მაგათი ისევ „ვოლფსბურგის“
ბოგარი მწვრთნელი და მენეჯერია

● სამწვრთნელო გადაადგილება

დუჯი ბაიერში, იუპი ბაიერნში

გუნდესლიგაში სამწვრთნელო საგიჟეთს გოლო არ უჩანს

ის, რასაც ორშაბათს ბუნდესლიგის 27-ე ტურის მიმთხვევაში ვწერდით, გუშინ ოფიციალურადაც დადასტურდა: იუპ ჰაინკესი „ლევერკუზენთან“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის ბოლოს „ბაიერს“ დატოვებს. „ლევერკუზენში“ კი ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ზაფხულიდან გუნდს რობინ დუტი ჩაიბარებს – სპეციალისტი, რომელიც ახლა „ფრაიბურგის“ მწვრთნელია. 65 წლის ჰაინკესი კი, რომელიც „ლევერკუზენს“ 2009 წლის პირველი ივლისიდან წვრთნის, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მიუნხენის „ბაიერნს“ ჩაუდგება სათავეში.

„კიკერის“ ინფორმაციით, ჰაინკესი „ბაიერნთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ამრიგად, მესამედ გახდება რეკორდმაისტერის დამრიგებელი. „დონ იუპი“ მიუნხენურ გრანდს პირველად 1987-დან 1991 წლამდე წვრთნიდა, მეორედ კი 2009 წლის აპრილიდან ივნისამდე და სწორედ ამის შემდეგ მიაშურა „ლევერკუზენს“ სადაც, ცხადია, მხოლოდ იმის გამო არ რჩება, რომ ისევ „ბაიერნში“ ეპატიჟებიან – თორემ „ლევერკუზენი“ ძალიან კარგად გამოიყურება და მეორე ადგილზეა. რომ არა ზარი მიუნხენიდან, სადაც ზაფხულში **ლუის ვან გაალს** უშვებენ, ჰაინკესი სამწვრთნელო კარიერის ბოლომდე „ლევერკუზენში“ დარჩენას აპირებდა, პენსიაზე გასვლას კი ორ წელიწადში გეგმავდა.

ჰაინკესის წასვლის ამბავი გუშინ „ლევერკუზენის“ მენეჯერმა **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა** დაადასტურა, ჰაინკესმა კი თქვა, რომ გული სწყდება, მაგრამ ასე იყო საჭირო. „დინ იუპი“ „ლევერკუზენის“ ქომაგებს დაჰპირდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ბაიერმა“ მეორე ადგილი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს და პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვოსო. ჰოლცჰოიზერის თქმით, ის მაინც აპირებდა დუტის დანიშვნას – ოღონდ ახლა კი არა, არამედ მაშინ, როცა ჰაინკესი წავიდოდა და რაკი იუპი ახლავე მიდის, დუტთან შეთანხმება ამიტომაც დავაჩქარეო.

„მიხარია, რომ „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობის საშუალება მეძლევა. იუპ ჰაინკესს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რომლის გაწვრთნა ჩემთვის დიდი პატივია,“ - ეს კი დუტის სიტყვებია, რომლის ხელშიც „ფრაიბურგი“ ძალიან კარგად გამოიყურება. იმის გამო, რომ დუტს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი აკავშირებს, „ლევერკუზენი“ იძულებულია, ბრაისგაუსულ კლუბს კომპენსაციის სახით ერთი მილიონი ევრო გადაუხადოს - ანუ ლევერკუზენელი რობინ დუტს ყიდულობენ.

რობინ დუტი „ფრაის“ ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ ტოვებს. უკვე გადაწყვეტილია ისიც, რომ რობინს „ფრაიბურგში“ მისი ასისტენტი **მარკუს ზორგი** შეცვლის, რომელიც მთავარ მწვრთნელად ივნისიდან დაინიშნება.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

● ლიგა 1. XXVIII ტური. გამოხმაურება

ანტუან კამბუარე (მარცხნივ) დიდიე დეშამმა საჩემპიონო რბოლას ჩამოაშორა

პასუხგაუცემელი შეკითხვების ტური

28-ე ტურში ერთბშად ორი ცენტრალური მატჩი გაიმართა. ორივე უმნიშვნელოვანესი იყო საჩემპიონო რბოლაში. შედეგი? ფრანგული პრესის მიერ „დიდი ხუთეულის“ წევრად მონათლული პსჟ მარსელში წაგების შემდეგ ალბათ უკვე უნდა გამოვაკლოთ და უპრიანი იქნება, თუკი ამიერიდან ლაპარაკი „დიდ ოთხეულზე“ გვექნება. განსხვავება პარიზელებსა და ჩემპიონატის ლიდერ „ლილს“ შორის უკვე 10 ქულაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი სრულიად საფრანგეთის მიერ ფრანგულ კლასიკად არის სახელდებული, საჩემპიონო თვალსაზრისით უმთავრესი დაპირისპირება მაინც „სტად დე ჟერლანზე“ გაიმართა, სადაც „ლიონმა“ „რენს“ უმასპინძლა. ამ შეხვედრაში სტუმრებმა ერთადერთხელ დაარტყეს კარის ჩარჩოში და ისიც ზუსტად. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ისინი ამას იმსახურებდნენ, მაგრამ ფეხბურთის ხიბლი სწორედ ეს არის, ლოგიკის ძებნა ხშირად უსარგებლოა. არა, არც იმის თქმა გვინდა, რომ მასპინძელი ბრწყინავდა, თუმცა... ჰო, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „რენი“ 25 წუთზე მეტი რიცხობრივ უმცირესობაში თამაშობდა. არბიტრმა **ვიქტორ მონტანო** არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან სრულიად სამართლიანად მიაბრძანა. ერთადერთი, ვინც ამ შედეგით კმაყოფილი დარჩა, „ლილი“ გახლავთ. ჩრდილოელებმა საკუთარი შეხვედრა არცთუ იოლად, მაგრამ მოიგეს და ახლა უახლოეს კონკურენტ „მარსელს“ უკვე 4 ქულით უსწრებენ. ჯერჯერობით **რუდი გარსიას** შეგირდებს ნერვების მხრივ ყველაფერი რიგზე აქვთ და მათ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. მზად არიან თუ არა მათთან საომრად დანაჩენი გუნდები, ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს. „პარი სენ-ჟერმენი“, ვთქვათ, გასაგებია, პრაქტიკულად ჩამოიწერა. „რენი“ წამოდგება თუ არა კიდევ ერთხელ ფეხზე, ჯერ კიდევ საკითხავია და „ლიონი“, რომელმაც აშკარად მოსაგები მატჩი ვერ მოიგო და თავად გაირთულა მდგომარეობა. დაბოლოს, დარჩა „მარსელი“, რომელიც აშკარად ყველაზე სახიფათო მეტოქედ რჩება.

„ველოდრომზე“ „მარსელი“-პსჟ-ის დასრულების შემდეგ საინტერესო კომენტარები გააკეთეს ამ გუნდების თავკაცებმა. უინტერესო არ იქნება, მათ მოვუსმინოთ და გავიგოთ, რას ფიქრობენ დარჩენილ შანსებზე. მაშ ასე, **ანტუან კამბუარე**: *„გაორებული გრძნობები მაქვს... მატჩის პირველ ნახევარში ფიზიკურად ბრწყინვალედ გამოვიყურებოდით, სწორედ ამის წყალობა იყო, რომ ძალიან ბევრი მომენტი შევქმენით, თუმცა ერთის გარდა ყველა გავაფუჭეთ. მეორე მხრივ, ძალიან ცუდია, რომ ჩემმა გუნდმა მთლიანად ჩააგდო მეორე ტაიმი. ხომ ნახეთ, უკვე ველარაფერი გავაწყვეთ. ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ 10 ტურია დარჩენილი და მაქსიმუმი, რასაც შეიძლება მივაღწიოთ, ეს მეხუთე ადგილის შენარჩუნება იქნება. მეტის იმედად ყოფნა უკვე ილუზიას ჰგავს, თუმცა უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას ბოლომდე მაინც არ შევწყვეტთ“.*

მარსელის „ოლიმპიკის“ მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი**: *„ჩვენ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ვი ზეიმეთ, თუმცა ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტად ისევ „ლილი“ მიმაჩნია. რუდი გარსიას გუნდს საიმისოდ ყველაფერი აქვს, რათა მოიგოს პირველობა. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბრძოლას ვეთიშებით. მათი დაწევის შანსები ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს“.*

ტურის გმირი

ზემოთ ნაკითხავდით, ჩრდილოელებმა საკუთარი შეხვედრა არცთუ იოლად მოიგესო... დიახ, და ეს ფორმულირება მთლად ზუსტი არ არის. მეტიც, მათ ძალიან გაუჭირდათ 3 ქულის აღება. უპირველესად, ვისაც ისინი გამარჯვებას უნდა უმადლოდნენ, მათი ბრწყინვალე გოლკიპერი **მიკაელ ლანდროა**. სტატისტიკას თუ ჩავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ 31 წლის მეკარემ კარის ჩარჩოში წასული 9-დან 8 ბურთი აიღო ან მოიგერია. თუმცა სტატისტიკას თავი დავანებოთ და უბრალოდ წარმოვიდგინოთ, რამდენად დაეხმარა ის თანაგუნდელებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა მაღალი კლასის გუნდებში ურთულეს პერიოდებში სწორედ ასე ხდება. ლიდერები ყოველთვის საკუთარ თავზე იღებენ უმთავრეს ტვირთს და თუ ასეთი ბევრია, ის გუნდი აუცილებლად მიაღწევს შედეგს. ლანდროს გარდა ბოლო ტურებში მსგავსი მისია რამდენჯერმე იტვირთა ბელგიელმა თინეიჯერმა **ედენ აზარმა**.

აღსანიშნავია, რომ 28-ე ტურმა რამდენიმე მეკარის გმირობაზე წერის საფუძველი მოგვცა და არც მათ დავივიწყებთ. მიკაელ ლანდროს გარდა დიდებულად იასპარეზეს სენტეტიენელმა **ჟერემი უანომ** და ნანსელმა **დამიენ გრეგორინმ**.

ტურის სიმბოლური ნაკრები

ლანდრო (ლილი) - **ანდრელუიზი** (ნანსი), **კაკა-ბიუიკი** (რენი), **ჰაინცე** (მარსელი) - **მაჩადო** (ტულუზი), **ჰერმახი** (ლანსი), **აკალე** (ლანსი), **დანიკი** (ვალანსიენი) - **ელენი** (ოსერი), **ა. აიუ** (მარსელი), **მ. სოვი** (ლილი)

ტურის მოვლენები

ახლა კი, მოდი, ტურის საინტერესო მოვლენებზე ვილაპარაკოთ. ჯერ საუკეთესო გოლზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. 28-ე ტურში ლამაზი გოლი არცთუ ბევრი იყო, თუმცა იმათ შორის, რაც გავიდა, ყველაზე ეფექტური „მარსელის“ ვეტერანი მცველის, არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეს** მიერ 25 მეტრიდან გატანილი ჯარიმა გახლდათ. მან ცოცხალ კედელს ბურთი ზემოდან გადაავლო და ისე გაახვია ბადეში, მეკარე **გრეგორი კუპესთვის** მიზერული შანსიც არ მიუცია.

ბოსნიელი **ემირ სპაჰიჩი** არათუ ჯენტლმენი არასოდეს ყოფილა, არამედ ყოველთვის ყველამ იცოდა, რომ მას უნდა მორიდებოდა. რაც მან ამჯერად გააკეთა, ეს უკვე მისთვისაც კი უჩვეულო რამაა. „მონპელიე“ იმ მომენტისთვის უკვე 3:0-ს აგებდა და ფეხბურთელს ნერვები „სრულიად სამართლიანად“ მოეშალა. „ლანსის“ მიერ სტანდარტულის გათამაშებისას მან სტუმარ **ისაამუ ჟემაას** იდაყვი პირდაპირ ყელში ჩაარტყა. რას აკეთებდნენ რეფერი **სებასტიან მორეირა** ან მისი ასისტენტები, ამაზე „ისტორიკოსი დუმს“. არადა ფაქტია, რომ მათ აღნიშნული დარღვევა ვერ დააფიქსირეს. იმედია, ბოსნიელის ცხოველურ ინსტინქტებს დისციპლინარები სათანადო დისკვალიფიკაციით შეაფასებენ.

ტურის ციფრები

„ოსერმა“ ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრა მოიგო და ამ მატჩებში არც ერთი გოლი არ გაუშვია. ეს მიღწევა აუტსაიდერს იმის იმედს აძლევს, რომ ლიგა 2-ში დაქვეითების საფრთხეს თავიდან აიცილებს.

„მონპელიემ“ „ლანსთან“ 4 გოლი გაუშვა (1:4). ეს **რენე ჟირარის** შეგირდებისთვის იყო მეორე მატჩი, სადაც 4 გოლი გაუშვეს. პირველი მსგავსი ჩავარდნა გუნდს 27 ნოემბერს მარსელის „ველოდრომზე“ ჰქონდა - 0:4.

ლევან გიგილაშვილი

ქართული სპორტი

● ძიუდო. ანთალიის ტურნირი

16 მედალი ანთალიაში

ქართველმა ჭაბუკებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ანთალიაში, ევროპის თასზე. შეჯიბრება ამ უქმეებზე ჩატარდა და ჩვენი სოლიდური, დაახლოებით 45-კაციანი გუნდის მონაგარიც ასევე სოლიდურია - 16 მედალი. აქედან ბიჭებმა 14 მოიპოვეს - 5 ოქრო-ბრინჯაო და 4 ვერცხლი, რასაც გოგოებმა ორი დაუმატეს - თითო ოქრო-ბრინჯაო. ბიჭებში ჩემპიონები **თამაზ კირაკოზაშვილი** (60), **ლევან გუგავა** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **შალვა ჩოჩელი** (90) და **გიორგი ლაზუაშვილი** (+90) გახდნენ. ვერცხლის მედლებს **აპოლონ ზურაბიანი** (66), **ბექა დონღვანი** (73), **ადამ ვარაზიშვილი** (81) და **გიორგი გელაშვილი** (+90) დაეუფლნენ, ბრინჯაოსას - **გოდერძი ფეტვიაშვილი** (55), **დავით ჭიკაიძე** (66), **ჯაბა მუმლაძე** (81), **ჯაბა კაპანაძე** (90) და **ზაზა ხუბულური** (+90). გოგოებში მხოლოდ 57-ის წარმომადგენლებმა იყოჩაღეს - **მარიამ ჯანაშვილი** ჩემპიონი გახდა, **მარიამ ციხელაშვილი** კი მესამეზე გავიდა.

ევროპის თასები ამ ასაკის ძიუდოისტთა შორის ძალზე პრესტიჟულია და ეს შეჯიბრებაც ძლიერი გამოდგა. მართალია, მონაწილეთა უმეტესობას თურქები შეადგენდნენ, მაგრამ იყვნენ რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის, ბულგარეთის, ხორვატიის, ტაჯიკეთის და სხვათა გუნდები. მისასალმებელია ასეთ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში ამდენი მედალი. მით უფრო, რომ სამ წონაში - 73, 81 და +90-ში ქართული ფინალები გაიმართა. ამავე წონებში კვარცხლბეკიც ძირითადად ჩვენებურებმა შეავსეს. მეტიც - 73-ში ნახევარფინალში ოთხივე მოჭიდავე ქართველი იყო, 81-სა და მძიმეში კი ამ ეტაპზე სამ-სამი ფალავანი გვყავდა. ანთალია, კარგად დაცადა ჯანაშვილმაც - შარშან იქ მეხუთე იყო. საინტერესოა, რომ ანთალიაში ჩემპიონი შარშანაც გვყავდა - მძიმეწონოსანმა **ელენე ქებაძემ** მოიგო.

ჯანაშვილმა ამჯერად ყველა შეხვედრაში წმინდად იმარჯვა - ბელარუსი **ანა ტოლსტიზენკო** და თურქი **კევსერ ქევიკი** დააიპონა, მორიგ მასპინძლებს - **დილაი სუტს** და **სელინ გიულს** ფინალში კი ქულათა დიდი უპირატესობით აჯობა. ციხელაშვილმა ხორვატი **ადრიანა რედზეპაჯი** დააიპონა და თურქ **იალცინ გუნერსაც** იუკოთი უგებდა, მაგრამ წმინდად დამარცხდა და სანუგეშოში გადაერთო, სადაც მასპინძელთა ჯავრი ორმაგად იყარა - **სენაი ბირინჩი** ძალზე დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა (ორივეს თითო ვაზარი ჰქონდა, მაგრამ ჩვენებურმა ორი იუკოც აართვა), ხოლო ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ზემოხსენებულ სუტს აჯობა. გოგოების ნაკრების სხვა წევრებიდან შედარებით უკეთ მხოლოდ **ანი მინდიაშვილი** (63) გამოვიდა - ძირითად ბადეში ორი შეხვედრა მოიგო, მერე სანუგეშოში გადაერთო და ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ წააგო და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მედალოსანთა გარდა, თითქმის ყველა პირველად ჭიდაობდა უცხოეთში.

ეს შეჯიბრება ბიჭების ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გიორგი ვაზაგაშვილისთვის** პირველი უცხოური სტარტი იყო და დებიუტი წარმატებულიც გამოუვიდა. მას გაუმართლა ჩანაფიქრმა - გამოეცადა საქართველოს ყველა მედალოსანი. ამათ გარდა, ანთალიაში საკუთარი ხარჯით ექვსი უმეტესობა წავიდა, თუმცა მათ დიდად ვერ ივარგეს. ჩემპიონთა ზემოხსენებული ხუთეულიდან ოთხი ქვეყნის პირველობის გამარჯვებულიცაა - კირაკოზაშვილი, ღვინიაშვილი, ჩოჩელი და ლაზუაშვილი. მართალია, ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ რჩება გარკვეული უცხოური შეჯიბრებები, მაგრამ ამ ოთხეულმა ახლანდელი წარმატებით გუნდში მოხვედრის შანსები მნიშვნელოვნად გაიმყარეს. კირაკოზაშვილმა ხუთიდან ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო, ღვინიაშვილმა ოთხი შეხვედრა გამართა და ყველაში სუფთად იმარჯვა (მათ შორის, ნახევარფინალშიც თანაგუნდელ მუმლაძესთან), ჩოჩელმა ოთხიდან ორი: ორთაბრძოლა დაასრულა სუფთა მოგებით, ლაზუაშვილმა - პირველი ორი, ნახევარფინალში ხუბულურს და ფინალში გელაშვილს ქულებით აჯობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირველობაზე მან ფინალში ხუბულური დაამარცხა. რაც შეეხება მეხუთე ჩემპიონს - გუგავას, ის საქართველოზე მესამე იყო, ჩემპიონი კი დონღვანი გახდა. ისინი ქვეყნის პირველობაზე არ შეხვედრიან ერთმანეთს.

ვაზაგაშვილი ანთალიური შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეარჩევს იმ შემადგენლობას, რომელიც ორ კვირაში კიევში იასპარეზებს ისევ ევროპის თასზე. ამის შემდეგ კანდიდატები ორ საშინაო ტურნირზეც გამოვლენ და საბოლოოდ ამის შემდეგ გამოვლინდება 24-26 ივნისს მალტურ კოტონერაში ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდი.

ირაკლი თავაძე

● ჭიდაობა. რიგის ტურნირი

დიდი წარმატება რიგაში

ქართველმა მოჭიდავეებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს რიგაში ამ უქმეებზე ჩატარებულ ფრეინდელფელდსის სახელობის ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირში. იქ ჩვენგან თავისუფალი სტილით მოასპარეზეთა ნაკრებიც გამოდიოდა და - ბერძნულ-რომაულიც, რომლებმაც კარგი ჭიდაობით ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს. ბერძენ-რომაელებმა 4 ოქრო, 1 ვერცხლი, 5 ბრინჯაო და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს, „თავისუფლებმა“ - 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო და გუნდური პირველობა! ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონები **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **უშანგი ჩიტიაშვილი** (74) და **რევაზ ნადარეიშვილი** (84) გახდნენ, ვერცხლი **სერგო გოგისვანიძემ** (120) მოიპოვა, ბრინჯაოს მედლებს კი **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120) დაეუფლნენ. „თავისუფალთაგან“ ჩემპიონობა **ლაშა ტალახაძემ** (50) და **თედო ებანოიძემ** (96) იზეიმეს, მეორე ადგილზე **ლაშა ლომთაძე** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60) და **გიორგი ასლანიშვილი** (120) გავიდნენ, მესამე პრიზიორობა კი **დავით გალეგაშვილმა** (66) ირგუნა. აღსანიშნავია, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრებს სამ წონაში - 50, 55 და 96-ში მონანილე არ ჰყოლია. მჩატე წონებში შერჩეული კანდიდატები ავსტრიაში იმყოფებიან ერთ-ერთი იქაური კლუბის მიწვევით და რიგაშიც იქიდან უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ეს ვერ მოახერხეს, 96-ში საქართველოს ჩემპიონი **ალექსანდრე დიხამინჯია** კი ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება. ამ დანაკლისის მიუხედავად, გუნდურში მხოლოდ თურქებს ჩამორჩნენ ორიოდ ქულით, შეჯიბრებაში კი სულ 15 ქვეყანა მონაწილეობდა.

ლაშა ტალახაძე

ორივე ნაკრები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის ემზადება. გუნდების ბირთვი უკვე გარკვეულია - საქართველოს ჩემპიონატებზე გამოიკვეთა, მაგრამ კანდიდატებს ჯერ ისევ სჭირდებათ გამოცდა, რადგან მთელ რიგ წონებში კონკურენცია კვლავაც გრძელდება. ამიტომ მწვრთნელებმა ზოგან ორ-ორი პრეტენდენტი ნაიყვანეს, ზოგან - გარკვეულ საკადრო-ტაქტიკურ ექსპერიმენტებს მიმართეს და შეჯიბრებამაც სრულად გაამართლა მათი იმედები. მწვრთნელთა გასახარად, უმეტეს შემთხვევაში კანდიდატებმა ერთმანეთსაც ეჭიდავნენ, რამდენიმეგან კი საქართველოს ჩემპიონატის შედეგები თავდაყირა დადგა. მართალია, ეს მწვრთნელებისთვის ახალი თავსატეხია, მაგრამ, იმავდროულად, კონკურენციის მანიშნებელიცაა, რაც მაღალი შედეგების მიღწევის აუცილებელი წინა პირობაა.

ტურნირისთვის ყველაზე ხმაურიან ექსპერიმენტს „თავისუფალთა“ მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა** მიმართა, როცა ტალახაძეს ძველ წონაში მოსთხოვა დაბრუნება. ტალახაძე შარშან 50-ში გამოდიოდა და ევროპაზე ბრინჯაო, მსოფლიოზე კი ვერცხლი მოიპოვა. წლეულს მან წონის შეცვლა განიზრახა და საქართველოს პირველობაზე 55-ში იჭიდავა. იქ ბრინჯაო კი მოიპოვა, მაგრამ მწვრთნელი მისი წონით უკმაყოფილო დარჩა და ამიტომ ისევ ძველ წონაში ურჩია დაბრუნება. წინამდებარე შედეგიდან გამომდინარე, მწვრთნელის მოთხოვნა სამართლიანი ჩანს. რაც შეეხება 50 კილოგრამში ქვეყნის წლევანდელი პირველობის გამარჯვებულ **ბექა როჭიკაშვილს**, ადრევე გავარდა. საერთოდ, ორივე ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიდის და უმეტესად, ახალი კადრები არიან. მათ შორისაა ებანოიძეც, რომელიც პირველ შეხვედრაში ძლივს გადაურჩა რუს მეტოქესთან მარცხს - პირველი პერიოდი დიდი უპირატესობით წააგო, მაგრამ მერე მწვრთნელის ჩხუბმა გამოაფხიზლა თუ რა იყო, მომდევნო ორში უკვე თვითონ იმარჯვა დიდი სხვაობით. მან ფინალშიც რუს მეტოქეს აჯობა.

ქართულ-რუსული გზები ამ ტურნირზე ჩვენებურთა უკლებლივ ყველა ფინალში გადაიკვეთა. სამწუხაროდ, ებანოიძის გარდა, ჩრდილოელებთან სამივე ქართველი დამარცხდა. ვერცხლის მედალოსანთა სამეულიდან ორი ამ ნაკრების ძველი წევრია - ლომთაძე ახალგაზრდებში ევროპის შარშანწინდელი ბრინჯაოს მედალოსანია, ჩოჩიშვილმა კი ამ ასაკში შარშან ევროპაზე ვერცხლი, მსოფლიოზე კი ბრინჯაო დაიმსახურა. ახალი კადრი მხოლოდ საქართველოს ჩემპიონი ასლანიშვილია, რომელმაც, ფინალში წაგების მიუხედავად მაინც დაიმსახურა სხირელის დიდი მოწონება - დებიუტანტმა სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყო მწვრთნელს. გამოუცდელობის გარდა, ჩვენებური მეტოქეებზე დაახლოებით 15 კილოგრამით მჩატეც იყო. ამის მიუხედავად, ფინალში მაინც გავიდა. მწვრთნელისთვის საინტერესო ფაქტი მოხდა 66-ში - აქ საქართველოს ჩემპიონი **დავით ტლაშაძე** სამეულში ვერ შევიდა, ვიცე-ჩემპიონმა გალეგაშვილმა კი ბრინჯაო მოიპოვა. ორივე მოჭიდავე გორელია და სხირელი კარგად იცნობს მათ. ამიტომ მისცა შანსი გალეგაშვილს - ის საქართველოზე ფინალში კი დამარცხდა ტლაშაძესთან, მაგრამ თანაბარ ბრძოლაში. მწვრთნელი უკმაყოფილო მხოლოდ 74 და 84 კილოგრამებში ნანახითაა: ამ წონებში, შესაბამისად, **ბექა პეტრიაშვილმა** და **ალექსანდრე ამინაშვილმა** ბრინჯაოსთვის კი იჭიდავეს, მაგრამ წააგეს და მეხუთეზე დარჩნენ.

შიდა კონკურენციის თვალსაზრისით, ამ შეჯიბრებამ ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაც **ვლადიმერ ადეიშვილსაც** ძალიან ბევრი მისცა - რამდენიმე წონაში უშუალოდ კონკურენტებმა იჭიდავეს, ზოგან ლიდერებმა კიდევ უფრო განიმტ-

» მე-11 გვერდზე

« მე-10 გვერდიდან

კიცეს რეპუტაცია, ზოგან კი ქვეყნის პირველობის ბრინჯაოსმედალოსნებმა ჩემპიონები დაამარცხეს... ასეთი შემთხვევა ორ წონაში მოხდა - ჩიტიაშვილმა ნახევარფინალში ქვეყნის ჩემპიონ დათუნაშვილს მოუგო, ნადარეიშვილმა - ქობლიაშვილს. ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს დავითაიებიც, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც იჭიდავეს, ოღონდ ამჯერადაც საჩინომ იმარჯვა. ქვეყნის პირველობის ფინალისგან განსხვავებით, რიგაში ხარაბაძეს და წულუკიძეს ერთმანეთში არ უჭიდავიათ, თუმცა უფრო გამოცდილმა ხარაბაძემ შედეგით მაინც აჯობა. რაც შეეხებათ მძიმეწონოსან ძმებს, აქ შეჯიბრება წრიული სისტემით ტარდებოდა და უმცროსმა შოთამ უფროს ძმას - სერგოს უბრძოლველად დაუთმო მოგება. არადა, საქართველოზე ფინალში შოთამ აჯობა.

ორივე ნაკრები მორიგ ტურნირზე აპრილში იჭიდავებს ბაქოში, აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე. იქ უფრო ბევრ კანდიდატს გამოცდიან, თან ზემოდასახელებულებსაც კიდევ ერთხელ შეამოწმებენ. სავარაუდოდ, ევროპაზე წამსვლელი ბირთვი ძირითადად მაშინ გამოიკვეთება, თუმცა კონტინენტის პირველობამდე გეგმაში კიდევ ერთი შეჯიბრება და ორ-ორი შეკრებაა.

ირაკლი თავაძე

● ქართული ჭიდაობა

ისევ ზონალური დაიწყება

საჩხერეში **ბესიკ ქუთათელაძის** სახელობის სპორტდარბაზში ქართულ ჭიდაობაში ზონალური პირველობა ცაგერის, თერჯოლის, წყალტუბოს, ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურისა და საჩხერის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კარგად ქუთაისელებმა იასპარეზეს.

საგარეჯოში, გორში, ზუგდიდსა და საჩხერეში მარტში გამართული შეჯიბრებებით დამთავრდა ახალგაზრული ზონალური პირველობები; ფინალური ასპარეზობა კი 9-10 აპრილს თბილისში გაიმართება. შემდეგ დაიწყება სამი ზონალური შეჯიბრება მოზრდილთა შორის. ტურნირები აპრილსა და მაისში მცხეთაში, ცაგერსა და ზუგდიდშია დაგეგმილი.

უახლოესი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში კი 1-3 აპრილს თბილისში, 1997-1998 წლებში დაბადებულ საქართველოს ჭაბუკთა პირადი პირველობაა.

გაგაცნობთ საჩხერის ტურნირში გამარჯვებულებს: **გიორგი ჩხაბერიძე** (55 კგ, ქუთაისი), **ლაშა კვირიკაშვილი** (60, წყალტუბო), **გიორგი აფაქიძე** (65), **მირზა ქურასბედიანი** (70), **ალექსანდრე ქურასბედიანი** (75, სამივე — ქუთაისი), **გიორგი ჭიღლაძე** (80, საჩხერე), **ავთანდილ ბოგვერაძე** (90) და **გიორგი ცნობილაძე** (+90, ორივე-ქუთაისი).

გაბრიელ ბარჯაძე

● თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

სამარცხვინო გამოსვლა

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელოს“ გუშინდელ ნომერში

სიმართლე გითხრათ, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თასზე მახაჩყალაში ჩვენი ნაკრების გამგზავრებამდე მათი ოპტიმიზმი იმთავითვე გადამეტებული გვეგონა და ასეთ წაგებას ველოდით კიდეც - რაოდენ მწარეც უნდა იყოს ამის აღიარება, ბოლო წლებში მთავარი გუნდისგანაც კი ძნელად ველოდებით წარმატებას, არათუ მეორე შემადგენლობისგან. თუმცა მარცხზე მეტად საწყენი ის უდისციპლინობა და არასპორტული საქციელია, რომლითაც ჩვენი გუნდი მთელ ტურნირზე გამოირჩა სხვებისგან. სიმართლე გითხრათ, არც გუნდის მწარედ გაკრიტიკება გვინდოდა რამდენიმე მიზეზის გამო - მწვრთნელები როდი მალავდნენ, რომ იმ მესამე ადგილსაც იღბალის გვარიანი დახმარების შემთხვევაში გეგმავდნენ; რომ ეს ტურნირი არაფერში სჭირდებოდათ (ის, რომ უადგილოდაა გამოჩხერილი საერთაშორისო კალენდარში - ზედ ევროპისა და სხვა რეგიონული პირველობების წინ, ამაზე ჩვენც ვნერდით), აქეთ კი ევროპის ჩემპიონატია კარს მომდგარი... ამიტომ ვფიქრობდით, არ ვყოფილიყავით ძალიან კრიტიკულები და ახლაც ვეცდებით, მაქსიმალურად შევიკავოთ თავი, მაგრამ ამის უთქმელობა არ იქნება - ნაკრების წევრობა დიდი პატივია და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მისი კარგი ან ცუდი საქციელი პირდაპირ აისახება საქართველოს სახელზე. გვესმის, რომ მოჭიდავეც, ზოგადად, სპორტსმენიც ადამიანია, მაგრამ ეს დაუწერელი კანონი ყველამ უნდა გაითავისოს, ხოლო სამშობლო ისეთი რამაა, მისი გულისთვის რაღაც კიდეც უნდა მოითმინო, კიდეც უნდა აიტანო. მით უფრო, აქ ცოტაოდენ თავშეკავებაზე ვლაპარაკობთ, თორემ გაზის კამერაში შესვლას ხომ არავის ვთხოვთ! მოთმენა და საქართველოს სახელის ღირსეულად დაცვა მით უფრო ისეთ ქვეყანაში ევალებათ, როგორიც რუსეთი, მისი სამხრეთული რეგიონებია - რბილად რომ ვთქვათ, დარბაზი არ იყო კეთილგანწყობილი ჩვენს მიმართ. ლიგეტის საქციელი აშკარად პროვოკაციული იყო, მაგრამ მოგვიანებით საკანდელიძის მიერ ვითარების გამწვავება უფრო გამოჩნდა, ვიდრე - უნგრელის ქცევა, რადგან დაღესტნელმა კომენტატორმა პირდაპირ თქვა, აი, როგორი არ უნდა იყოს სპორტსმენიო.

კონტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს აქცენტს **საკადელიძეზე** ვაკეთებთ, მაგრამ სულაც არა - უფრო ზოგად სატკივარზე ვლაპარაკობთ, თორემ უნგრელის პროვოკაციიდან გამომდინარე, საკანდელიძის ჩხუბს რაღაც გამართლება კიდევ მოეძებნება, რასაც ვერაფრით ვიტყვით **საღირაშვილზე**. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ჩხუბი ჩვენი მოჭიდავეებისთვის იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, უცხოურ ფორუმებზე ღიად დაგვცინიან, ქართველებმა მარტო ჩხუბი იცით, ჭიდაობა არაო. აქ არაფერ შუაშია ახალგაზრდობა და ასაკი - ახალგაზრდა საკანდელიძის გვერდით იჩხუბა (თანაც, სრულიად გაუმართლებლად) ბევრად გამოცდილმა საღირაშვილმა; ჩხუბობენ ან, უკეთეს შემთხვევაში, კამათობენ მაინც ნაკრების პირველი ნომრები... ეს ცუდი ტენდენცია აუცილებლად უნდა დამთავრდეს. მწვრთნელებმა, ფედერაციამ აუცილებლად უნდა დაიყვანონ ფალავანთა შეგნებამდე, რომ რაინდობა არა მხოლოდ პატიოსან ორთაბრძოლაში გამარჯვებაა, არამედ - მარცხის ღირსეული გადატანაცაა (თუმცა კაცი იმხელა უპირატესობით იგებდა და მაინც ისე ჩაარტყა, თავი მოახსნევინა - ეს საერთოდ აუხსნელი ფენომენია); რომ ისინი საზღვარგარეთ საკუთარ სამშობლოს წარმოადგენენ; რომ ამას სერიოზულ შეჯიბრებაში არავინ აპატიებთ... ალბათ, საჭიროა, ფედერაციამ ამაში ვეტერანებიც დაიხმაროს, რომლებიც, ცოტა არ იყოს, გარიყულები არიან საჭიდაო ოჯახიდან. ერთხელ მოზარდ სპორტსმენებთან შეხვედრისას ტანვარჯიშში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მზია ჯულელმა** ცრემლმორეულმა განაცხადა, თქვენ არ იცით, რამდენად ბედნიერები ხართ, უცხოეთში საქართველოს სახელით გამოსვლის უფლება რომ გაქვთო! ვფიქრობ, გასათვალისწინებელი სიტყვებია.

ვერც მწვრთნელთა დარიგებებით თუ ქცევებით დავრჩით კმაყოფილი. ალბათ, აჯობებს, მეტოქის პროვოკატორ ფალავანს ლეიბზევე არ მოვუწყოთ გარჩევა და ამით ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო არ გავამწვავოთ - სამართლიანი საყვედურის გამოთქმა შეჯიბრების დამთავრების შემდეგაც შეიძლება. არც ლანძღვა-გინებითა და მუქარით მიცემული რჩევები გვგონია გამართლებული.

თავად მსოფლიოს თასს რაც შეეხება, მოლოდინისამებრ, რუსთა გამარჯვებით დასრულდა - 5:2. ტურნირს ადგილობრივ საფეხბურთო კლუბ „ანჟიში“ მოთამაშე ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი **რობერტო კარლოსიც** კი ესწრებოდა, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ უახლოეს წლებში მათ ბრაზილიელი მოჭიდავეებიც მიბაძავენ და ფეხბურთელებივით დიდ წარმატებებს მოიპოვებენ. გამართლდა ჩვენი ვარაუდიც იმის შესახებ, რომ ამ ტურნირით მასპინძლები ბევრად დიდი შეჯიბრების სამასპინძლოდ ემზადებიან - დაღესტანის პრეზიდენტმა **მაგომედსალამ მაგომედოვმა** პირდაპირ განაცხადა, რომ მისი რესპუბლიკა მზადაა ევროპისა და მსოფლიოს პირველობების სამასპინძლოდ. თუმცა, ეტყობა, იქაურებისთვის ეს მაინც შორეული პერსპექტივაა, რადგან მათ ოპტიმიზმს ცივი წყალი გადაასხა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმ**, როცა განაცხადა, ჯერ საამისოდ ინფრასტრუქტურა უნდა მოაწესრიგოთო. მასპინძლებმა მაინც დაიჭირეს თადარიგი - ის ქალაქ კასპიისკის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, საპასუხოდ კი მარტინეტიმაც ბლომად არიგა FILA-ს ორდენები.

ირაკლი თავაძე

● ჭადრაკი

ევროპას 9 ქართველი შეუტევს

ამ ჩემპიონატზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს შარშანდელი პირველობის ვერცხლისა და შარშანწინდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ბაადურ ჯობავა** (2707). ბოლო ორი თვის განმავლობაში უკრაინაში ცოლოურს იმყოფებოდა. 17 მარტს მას ქალიშვილი შეეძინა. ვულოცავთ! ეს სასიხარულო ფაქტი მისთვის ჩემპიონატზე დამატებითი სტიმული იქნება. საფრანგეთში ბაადურთან ერთად იასპარეზებენ: წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ლევან ფანცულაია** (2595), **თორნიკე სანიკიძე** (2542), **დავით ბენიძე** (2503), **დავით ლობჟანიძე** (2489), **ლუკა პაიჭაძე** (2487), **სალომე მელია** (2462), **ლელა ჯავახიშვილი** (2437), საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა** (2397).

ტურნირზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 9 მონაწილე 2700-იანთა კლუბის წევრია. ესენი არიან: პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2730), შარშანდელი ევროპის ჩემპიონი იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი, 2729), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2722), ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი, 2720), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2718), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2716), რადოსლავ ვოიტაჩეკი (პოლონეთი, 2711), ბაადურ ჯობავა (2707) და ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2707). სხვა არანაკლებ ძლიერი დიდოსტატი ქალ-ვაჟი იბრძოლებს მედლებისა და ფულადი ჯილდოებისთვის: მათ შორის — ლორან ფრესინე (საფრანგეთი, 2693), ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2692), იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2686), არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2684), სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი, 2678), ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი, 2673), ვიქტორ ბოლოგანი (მოლდოვა, 2671), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2582), ევროპის ექსჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2443), ვიქტორი ჩმილიტე (ლიტვა, 2526) და სხვები.

ჩემპიონატი დღეს ჩვენი დროით 18 საათზე დაიწყება.

ვაჟა დანელია

● მშვილდოსნობა

ევროპა ზარაგონაში გამოიზამთრებს

ხვალ ესპანურ კამბრილსში მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი იწყება. ტარაგონას მხარეში ჩვენები, ტრადიციულად, მხოლოდ ქალთა შეჯიბრებაში გამოვლენ ასევე ტრადიციულად უცვლელი ტრიოთი: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე**.

ხვალ შესარჩევი ეტაპი და პლეი ოფის ორი წრის შეხვედრები გაიმართება, დანარჩენს კი 24-ში ჩაატარებენ და ფინალისტებსაც მაშინ გამოავლენენ. 25 მარტი უკვე გუნდურ პირველობას დაეთმობა და იქაც ფინალისტები გაირკვევიან, მედლებისთვის უშუალო შეხვედრები კი როგორც ინდივიდუალურში, ასევე გუნდურში ჩემპიონატის ბოლო დღეს, 26-ში გაიმართება.

ესაა პირველი შეჯიბრება, რომელსაც ჩვენს ნაკრებთან ერთად ჩაატარებს კორეელი სპეციალისტი **ან იონ სეუნი**. მართალია, ის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად ჯერ კიდევ არაა დანიშნული, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს დროის საკითხია და დიდი ხანია, რაც კორეელი ამ ფუნქციას არაოფიციალურად ასრულებს. ეს შემადგენლობაც მან შეარჩია, თუმცა როგორც ვხედავთ, იქ ახალი არაფერია. არცაა გასაკვირი - სამეულის შემცვლელი დღეს რეალურად არ გვყავს და მსოფლიოს პირველობისა თუ ოლიმპიადისთვის კორეელი ამათ ამზადებს. სეუნთან ერთად ესპანეთში **თამაზ ფუტკარაძეც** იმყოფება, რომელიც ჯერ ისევ რჩება ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ქალთა ნაკრებმა სწორედ მის ხელში მოიპოვა ყველაზე დიდი წარმატებები, რაც ისევ ზამთრის ევროპულ პირველობას უკავშირდება - გუნდურ ჩათვლაში შარშან ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, მანამდე კი ვიცე-ჩემპიონის ტიტულიც დაიმსახურა.

ირაკლი თავაძე

● სამთო თხილამურობა

ალექსი ბენიაიძე

ბენიაიძის გამარჯვება

სამთო-სათხილამურო სეზონის მიწურულს ერთი ქართული გამარჯვების მომსწრენი გავხდით - 20 მარტს იტალიურ პასო როლეში ამ ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა გაიმართა გიგანტურ სლალომში და ყველას 20 წლის **ალექსი ბენიაიძემ** აჯობა. გუდაურელმა მოთხილამურემ 120-ზე მეტ სპოტსმენს აჯობა (რომელთაგან ფინიშამდე 96 მივიდა) და ორი ცდის ჯამში 1:51,04 წუთი შედეგით პირველი ადგილი დაიკავა. ეს ბენიაიძის პირველი ტიტულია. ამავე შეჯიბრებაში გამოჩდნენ ახალი სახეები - **ნიკოლოზ კოზანაშვილი** (75-ე ადგილი) და **კახა კურტანიძე** (76-ე). პასო როლეში გოგონათა გიგანტურ სლალომში ნინო წიკლაური მე-16 ადგილზე გავიდა.

დიმიტრი გედევანიშვილმა ამერიკულ სტრატონში FIS-ის ეგიდით გამართულ სლალომში იასპარეზა, სადაც მე-15 ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲐ, ᲑᲝᲥᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔᲡ ᲓᲐᲔᲜᲘᲐ

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ თამაშის წყალობით ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს „კანტუ". მწვრთნელი, **ანდრეა ტრინჩიერი** ნათლად გვიჩვენებს, რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთგაგებასა და შეთამაშებას: სახელმოხვეჭილი ევროვარსკვლავების გარეშე მოთამაშე „კანტუ" იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა - 22-დან 16 მატჩი აქვს მოგებული.

„კასერტასთან" ბოლო ტურის საშინაო შეხვედრა კანტუელებმა კარგად დაიწყეს, თავიდანვე დაწინაურდნენ და მატჩი გამარჯვებამდე დამაჯერებლად მიიყვანეს - 87:76.

მანუჩარ მარკოიშვილმა 14 წუთი ითამაშა და 5 ქულას თითო მოხსნა-ჩაჭრა მიამატა. როგორც გუნდურად მოთამაშეებს სჩვევიათ, 10-ქულიანი ნიშნული ექვსმა კანტუელმა გადალახა.

• • •

იტალიელებმა კი დაწერეს, **ვიქტორ სანიკიძე** იტალიის ოლ სტარში მიღებული კოჭის ტრავმის შემდეგ მწყობრშიაო, მაგრამ „ვირტუსი"-"ვარეზეს" მატჩში გულშემატკივარმა ისეთი სანიკიძე ვერ იხილა, როგორც წინა შეხვედრებში. ვიქტორმა 22 წუთში თითო ქულა-პასი-ჩაჭრა-დაფარება და 3 მოხსნა მოაგროვა. მას ერთი ორქულიანიც არ უსვრია: 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო სტყორცნა.

იოლი მისახვედრია, რა ბედი ეწეოდა „ვირტუსს" მაშინ, როცა სანიკიძე ბოლომდე ვერ დაიტვირთა - ბოლო წუთებზე „ვარეზემ" 71:69 იმარჯვა. საინტერესო შემადგენლობაა შეკრებილი „ვარეზეში": **დიეგო ფახარდო** და **კრისტიან კანგური** შარშან სანიკიძის თანაგუნდელები იყვნენ, **როკ სტიპჩევიჩი** - „ზადარში" **ვოვა ბოისას** გვერდით ირჯებოდა, **ტეემუ რანიკო** კი „ოლიმპიაში" მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელი გახლდათ.

• • •

„ბიელას" ძლევის შემდეგ „ვირტუსს" წამოეწია „აველინო", რომელსაც ბოლონიელთა მსგავსად 12 მოგება აქვს.

აველინოელთა განაცხადში იყო ახალგაზრდა **მერაბ ბოქოლიშვილი,** მაგრამ მწვრთნელმა არც ამჯერად ათამაშა.

• • •

იტალიის მეორე ლიგაში შინ დამარცხდა „რიმინი" „ფასტვებთან", 58:63.

რიმინელთა ქართველმა ფორვარდმა, **ნიკა მეტრეველმა** 5 წუთში 2 ქულა და 1 მოხსნა ჩაიწერა.



ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების 19 წლის ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** ბელგიაში გადასვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა - პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა. აი, რა წერია ბელგიურ გაზეთ „ფოკუსში": *„შენგელიას ეფექტური გარჯის წყალობით სტუმარმა „პეპინსტერმა" „ოოსტენდეს" პირველი პერიოდი 23:17 მოუგო. მეორე მეოთხედიდან მასპინძლებმა მდგომარეობა გამოასწორეს და მე-20 წუთისთვის ანგარიში გაათანაბრეს - 33:33. ყველაფერი მეოთხე ათწუთეულში გადაწყდა, რომელიც მარკუს ფეისონის წყალობით „ოოსტენდემ" 32:18 მოიგო."*

შეხვედრის მსვლელობაზე ზოგად სურათს მიმოხილვის ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტი გვაძლევს. თორნიკეს თამაშზე კი ვრცლად შევჩერდებით. მისი სტატისტიკა ასეთი იყო: 36 წუთი, 18 ქულა, 13 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 5 ფოლი. შენგელიამ სამი სამქულიანი ააცილა, სამაგიეროდ 2-დან 2 საჯარიმო და 11-დან 8 ორქულიანი გამოიყენა. მისმა მარგი ქმედების კოეფიციენტმა 23-ს მიაღწია, რაც პეპინსტერელთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი იყო. საერთოდ მატჩში კი მქკ-ს კოეფიციენტის მიხედვით პირველი ბელგიის ნაკრების ამერიკელი უკანახაზელი **მარკუს ფეისონი** გახლდათ - 27. მან 19 ქულა მოაგროვა. „ოოსტენდეში" ითამაშა ბელგიელთა ეროვნული გუნდის ცენტრმა **ტომას ვან დენ შპიგელმა**, რომელიც ამ სეზონში კლუბიდან კლუბში მოგზაურობს, რაც მის სათამაშო ფორმასაც ეტყობა. ამიტომ, მწვრთნელმა ტომასი მხოლოდ 4 წუთი ათამაშა.

ბელგიის ჩემპიონატში „პეპინსტერს" 21 ტურის შემდეგ 7 მოგება აქვს და ცხრილში ბოლოდან მესამე (მე-7) ადგილზეა. მომდევნო მატჩში შენგელიას გუნდი მეორეადგილოსან „აალსტს" მიიღებს.

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** მოედანს ზუსტად ორთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. მან ბოლოს 20 იანვარს ითამაშა, მას მერე მწვრთნელთან ჰქონდა გაურკვევლობა, შემდეგ ტრავმა მოჰყვა...

თუმცა, კარგია, რომ გამყრელიძემ ყოველგვარი ნეგატიური უკან მოიტოვა და 20 მარტს „გისენის" მაისურით „ბრემერ-ჰავენის" წინააღმდეგ 15 წუთი ითამაშა. მისმა მონაგარმა 5 შედეგიანი გადაცემა და 2 მოხსნა შეადგინა.

„გისენმა" 65:79 დათმო.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ NBA-ᲨᲘ

ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲡᲘᲐ: 13 ᲬᲣᲗᲘ, 13 ᲥᲣᲚᲐ

„ᲛᲐᲘᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ" სამარცხვინო წაგების შემდეგ (85:106) „ატლანტა ჰოქსმა" „დეტროიტ პისტონსს" უმასპინძლა და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მოახერხა - 104:96 იმარჯვა.

ამ წარმატებაში **ზაზა ფაჩულიას** წვლილზე ამერიკულ გაზეთ SBNATION-ში გამოქვეყნებული მატჩის მიმოხილვაც მეტყველებს: *„დეტროიტელებს ძალიან გაუჭირდათ ატლანტელთა ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას შეკავება, რომელმაც მეორე პერიოდში 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო და „ატლანტას" ათქულიანი უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარა. იგი საკვანძო სათადარიგო იყო, საბოლოოდ 13 წუთში 13 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა".*

ზაზას ღვაწლი მხედველობიდან არ გამორჩენია „ჰოქსის" თავკაცი **ლარი დრიუს**:

- დღეს ჩემი გუნდი მოსაგებად იყო შემართული: ელ ჰორფორდი შესანიშნავი გახლდათ, ჯოშ სმიტმა კარგად იმუშავა, ხოლო ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა სკამიდან ძალიან დაგვეხმარა.

ზაზა მატჩში პირველი პერიოდის ბოლოს ჩაერთო. მეორე მეოთხედის დაწყებისთანავე ბურთი საჯარიმოს სატყორცნ ნიშნულთან მიიღო და დაუფიქრებლად ისროლა. ააცილა, თუმცა ამაში მეტოქე იყო დამნაშავე - ფაჩულიაზე დაჯარიმდა. ჩვენიანმა ორივე ტყორცნა გამოიყენა და აქედან დაიწყო 7-წუთიანი „ზაზაობა" „დეტროიტის" ფარქვეშ: ქართველი ცენტრი ყველა იერიშში აქტიურად მონაწილეობდა, არც დრიბლინგებს ერიდებოდა და არც შორი მანძილიდან ტყორცნებს. სტუმრებს კი სხვა გზა რომ არ დარჩენოდათ, ფაჩულიას წესების დარღვევით აჩერებდნენ... ორ შემთხვევაში ზაზამ ჯარიმანი ორქულიანი ჩააგდო. მოკლედ, მეორე პერიოდში მისი მონაგარი 11 ქულას შეადგენდა, ხოლო „ატლანტამ" ქართველის ორი საჯარიმოს შემდეგ პირველად მოიპოვა 10-ქულიანი უპირატესობა - 40:30. ეს კარგის ნიშანი იყო: „ატლანტას" სატურნირო ცხრილში „დეტროიტის" ძლევის შემდეგ ხომ სწორედ 40 მოგება და 30 წაგება დაეწერებოდა.

მეორე პერიოდის დასრულების შემდეგ ამერიკული რეპორტაჟებისას გამორჩეული კალათბურთელების კომენტარებს გვასმენინებენ. ამჯერად ჟურნალისტებმა ფაჩულია იხმეს და პირდაპირ ეთერში მისი მოსაზრებაც მოვისმინეთ:

- ბოლო მატჩებში წაგებების შემდეგ ამ შეხვედრისთვის კარგად მოვემზადეთ და ჯერჯერობით მეტოქე ზე უკეთესადაც გამოვიყურებით. თუმცა, მეორე ტაიმში დიდი ყურადღებაა საჭირო, რადგან „დეტროიტს" ჰყავს ისეთი კალათბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ფარქვეშიდან, ასევე პერიმეტრიდან თამაშის გამწვავება.

ატლანტელებმა მეორე ტაიმი მართლაც ყურადღებით ჩაატარეს და როგორც ზაზამ მეორე პერიოდში მიგვანიშნა, „ჰოქსმა" მე-40 გამარჯვება ჩაიწერა (30 წაგების წილ).

22 მარტს „ატლანტა" „ჩიკაგოს" უმასპინძლებს.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 85:106

ზაზა ფაჩულია: 23:07 წუთი, 6 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 დაფარება, 4 ფოლი.

ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ

I ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

04:15	ზაზამ კოლინზი შეცვალა
04:11	ფოლი: 1

II ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

11:07	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
08:55	ჯონსონმა ზაზა შეცვალა

III ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

03:48	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
02:51	მოხსნა: შეტ-0, დაც-2
01:09	ფოლი: 2
01:04	ფოლი: 3
00:49	საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 55:84)

IV ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

11:24	მოხსნა: შეტ-0, დაც-3
10:23	ორქულიანი: არაზუსტი
10:22	ფოლი: 4
06:30	ორქულიანი: 4ძ (69:96)
05:19	მოხსნა: შეტ-0, დაც-4
04:59	ორქულიანი: არაზუსტი
03:06	საჯარიმოები: 2/2 (6ძ, 74:102)
02:48	მოხსნა: შეტ-0, დაც-5
00:08	დაფარება: 1 (ჯაუსს დაუფარა)

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 104:96

ზაზა ფაჩულია: 13:13 წუთი, 13 ქულა (5-დან 2 ორქულიანი, 10-დან 9 საჯარიმო), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა

ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ

I ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

00:45	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა

II ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

11:33	საჯარიმოები: 2/2 (2ძ, 23:17)
11:07	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
08:52	მოხსნა: შეტ-1, დაც-1
08:52	საჯარიმოები: 2/2 (4ძ, 32:27)
08:29	მოხსნა: შეტ-1, დაც-2
08:10	ორქულიანი: 6ძ (34:28)
08:10	საჯარიმო: 1/1 (7ძ, 35:28)
07:16	ორქულიანი: 9ძ (39:30)
07:16	საჯარიმო: 1/1 (10ძ, 40:30)
06:28	ორქულიანი: არაზუსტი
06:27	საჯარიმოები: 2/1 (11ძ, 41:33)
05:42	ჩაჭრა: 1 (სტაპის ჩაუჭრა)
04:02	სმიტმა ზაზა შეცვალა

III ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

01:34	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
00:39	შეცდომა: 1

IV ᲞᲔᲠᲘᲝᲚᲘ

10:49	მოხსნა: შეტ-1, დაც-3
10:32	ორქულიანი: არაზუსტი
10:31	მოხსნა: შეტ-2, დაც-3
10:31	საჯარიმოები: 2/2 (13ძ, 84:77)
09:23	ორქულიანი: არაზუსტი
09:05	სმიტმა ზაზა შეცვალა

ᲕᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲗᲘ!

გუშინდელ ნომერში აგრარული-შსს-ს მატჩის ოქმში ნაცვლად 68:58-ისა, უნდა ეწეროს 68:85, შსს-ს სასარგებლოდ.

ᲨᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲘᲡᲐ და ადრიატიკის (ფინალურ ოთხეულში გავიდა) ჯგუფური ეტაპების მოსტუმრების შემდეგ „ოლიმპიად" სლოვენიის ჩემპიონატისთვისაც მოიცალა. ამ ქვეყნის პირველობის საწყის ეტაპზე 8 გუნდი მონაწილეობდა. მათგან საუკეთესო ექვსეულს კრკა და „ოლიმპია" შეუერთდნენ და მეორე ჯგუფური ეტაპი 19 მარტს დაიწყო.

პირველ ტურში **გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** „ოლიმპიამ" „ელექტრას" უმასპინძლა და 82:60 დაამარცხა. მწვრთნელმა გიორგიცა და ვოვაც სასტარტო ხუთეულში დააყენა. შერმადინმა 24 წუთში 10 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება გაიფორმა. ბოისამ 23 წუთი ითამაშა - 2 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი. ოლიმპიელმა **კენი გრეგორიმ** სწორედ იმდენი ჩააგდო, რა სხვაობითაც მისმა გუნდმა გაიმარჯვა - 22 ქულა.

ლიუბლიანელები მორიგ მატჩს 26 მარტს სტუმრად „ჰელიოსის" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲔᲡ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘᲒᲘᲡᲐ და ადრიატიკის (ფინალურ ოთხეულში გავიდა) ჯგუფური ეტაპების მოსტუმრების შემდეგ „ოლიმპიად" სლოვენიის ჩემპიონატისთვისაც მოიცალა. ამ ქვეყნის პირველობის საწყის ეტაპზე 8 გუნდი მონაწილეობდა. მათგან საუკეთესო ექვსეულს კრკა და „ოლიმპია" შეუერთდნენ და მეორე ჯგუფური ეტაპი 19 მარტს დაიწყო.

პირველ ტურში **გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** „ოლიმპიამ" „ელექტრას" უმასპინძლა და 82:60 დაამარცხა. მწვრთნელმა გიორგიცა და ვოვაც სასტარტო ხუთეულში დააყენა. შერმადინმა 24 წუთში 10 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 3 დაფარება გაიფორმა. ბოისამ 23 წუთი ითამაშა - 2 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი. ოლიმპიელმა **კენი გრეგორიმ** სწორედ იმდენი ჩააგდო, რა სხვაობითაც მისმა გუნდმა გაიმარჯვა - 22 ქულა.

ლიუბლიანელები მორიგ მატჩს 26 მარტს სტუმრად „ჰელიოსის" წინააღმდეგ ჩაატარებენ.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲛᲝ ქართლის რეგიონს თანამედროვე სპორტული კომპლექსი შეემატა, რომლის ძირითადი პროფილი კალათბურთი იქნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაიმართა ამხანაგური მატჩი შსს-სა და „ენერჯის" შორის. პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილთან** ერთად დარბაზის გასახსნელად აზერბაიჯანისა და საქართველოს სპორტის მინისტრები, ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე** და სხვა თანამდებობის პირები მივიდნენ.

ღონისძიებას დაესწრნენ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი** და სუპერლიგის დირექტორი **გიორგი ზაბახიძე.** საკალათბურთო მატჩის ბოლო წუთებზე კალათბურთიდან გააცილეს შსს-ს წევრები: გამთამაშებელი **დავით ბერიშვილი** და გუნდის მოთამაშე-პრეზიდენტი **ლევან მიქაბერიძე.** შეხვედრა სადაო გდებით ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. ახალგაზრდა რუსთაველები გამოცდილ ძალოვნებს თავიდან ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ, თუმცა საბოლოოდ შსს-მ იმარჯვა - 90:53.

დარბაზში იდეალური პირობებია შექმნილი. სათამაშო იატაკი თანამედროვე, თბილისის სპორტის სასახლეში არსებულის ანალოგიურია. სატრენაჟორო, საშხაპეები, მოსასვენებელი და გასახდელი ოთახები ყველაფერი ეს ძალიან სუფთად და გემოვნებით არის მარნეულის დარბაზში მოწყობილი. ტრიბუნები კი 500 ქომაგზეა გათვლილი.

მარნეულელებს ჰყავთ საკალათბურთო გუნდი - **ზაზა გაბისონიას** თავკაცობით მარნეულის „ინტერი" 16-წლამდელთა ჩემპიონატში თამაშობს. როგორც იგეგმება, ადგილობრივ მმართველობას მარნეულში საკალათბურთო გუნდის ჩამოყალიბება სურს, რომელიც მომავალში სუპერლიგაში მიიღებს მონაწილეობას.

გეორგი მოამზადა

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

● სასკოლო სპორტი აქტუალური თემა

დრო და პარალელები...

ბავშვთა ფიზიკური აღზრდა ყოველთვის იყო, არის და იქნება ქვეყნისა და მთელი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საზრუნავი. მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში საქართველოში ამ მიმართულებით თვალსაჩინო ნაბიჯები გადაიდგა - უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, სკოლებში ინერგება სპორტის გაკვეთილები, თუმცა სასურველი შედეგების მიღწევამდე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რაც ყველას კარგად ესმის.

მოდი, ვნახოთ ამ სფეროში როგორი მდგომარეობა იყო 30 წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში, რა პრობლემები იდგა დღის წესრიგში და რა მსგავსება-განსხვავება აერთიანებს წარსულს და დღევანდელობას.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გადავწყვიტეთ გადაგვეშალა სპორტული ჟურნალი „მართვე“ (№4, 1982) სადაც გამოქვეყნებულია იმ დროს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტის რამაზ გოგლიძის გამოსვლის ტექსტი მასწავლებელთა ყრილობაზე (გთავაზობთ გამოსვლის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება).

„ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უპირველესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. რას ვაკეთებთ ყოველდღიურად ამ ამოცანის შესრულებისთვის? დავუკვირდეთ მოსწავლის დღის განრიგს: ჯერ სკოლაში მეცადინეობა, შემდეგ შინ გაკვეთილების მომზადება, მერე უცხო ენა, შემდეგ მუსიკა... ბოლოს დაღლილი მოზარდი უყურებს ტელევიზორს, რომელიც აგრეთვე ათასი საჭირო თუ არასაჭირო ინფორმაციით ტვირთავს მის გონებას. გამოდის, რომ ბავშვი 24 საათის განმავლობაში გამომწყვდეულია ოთხ კედელში და მოწყვეტილია ბუნებას.

ასეთი მდგომარეობა საგანგაშოა, ეს აკნინებს, ფიტავს ჩვენს მომავალ თაობას... ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენივე ხელით ვსპობთ იმ ყვავილებს, სიცოცხლეს რომ გვირჩევნია.

სამწუხაროდ, ამას მოგვიანებით ვხვდებით. ცხადია, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ბავშვი, უწინარეს ყოვლისა, გონებრივად უნდა აღიზარდოს, რომ წიგნია მისი უპირველესი და ერთგული მეგობარი. მაგრამ მოგეხსნებათ, ცალმხრივი აღზრდა ადამიანის ბუნების დისჰარმონიას იწვევს, ეს კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს. ამიტომაც გვირჩევდა დიდი საბა, რომ ადამიანის სულიერი ამაღლება, მისი ზნეობრივი დახვეწა ფიზიკური წვრთნით წარგვემართა.

ამ მხრივ საქმე კარგად რომ არა გვაქვს, ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებისა და ახალგაზრდობის სპორტული შედეგებიც ადასტურებს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაშიც და ახალგაზრდულ თამაშებშიც X ადგილები გვხვდა. აშკარაა შედეგების ჩამორჩენა სპორტის უმეტეს სახეობებში.

რატომ მოხდა ეს? - პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არა გვაქვს ბავშვთა სპორტის მართვის მთლიანი სისტემა, არ ხდებოდა პროგნოზირება, არ ვზრუნავდით სპორტში ბავშვების ჩაბმისათვის; შესუსტებული კონტროლი და მომთხოვნელობა სპორტული სკოლებისა და ინტერნატების მუშაობისადმი, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებისადმი. ბავშვების, ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ხელი აიღო სპორტზე, აღარ თვლის მას პრესტიჟის საქმედ - ალბათ მშობლების, უფროსების რჩევით. ეს მოხდა იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ვისაც ამ ეროვნული საქმის მოვლა-პატრონობა გვევალებოდა, მხოლოდ მოვისმინეთ და ღრმად ვერ ჩავუფიქრდით მაღალი ტრიბუნიდან გულისტკივილით ნათქვამ სიტყვებს: „სასკოლო სპორტი არათუ არ ვითარდება, არამედ რიგ შემთხვევებში უბრალოდ კნინდება“.

პრაქტიკულად ცოტა რამ გაკეთდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვერ შევძელით მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დარაზმვა ამ ტენდენციის აღმოსაფხვრელად, პასუხად დავიწყეთ მხოლოდ გამართლების ძებნა, დანაშაულის ერთმანეთისთვის გადაბრალება, მიწერა. ზოგიერთი სპორტის მესვეური მშობლების თანხმობით და მათთან ერთად იქამდეც მივიდა, რომ მოსწავლე სპორტსმენთა დაბადების მოწმობების გადაკეთება დაიწყო...

მოჩვენებითობა საქმის ნამდვილი მტერია ყველა სფეროში, ამ დარგში კი - განსაკუთრებით“.

სამოქმედო გეგმა არის, ახლა მთავარია მოქმედება

დაიშალა საბჭოთა კავშირი, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, გავიდა 20 წელიწადი, რა შეიცვალა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში? ბუნებრივია, ერთბაშად არაფერი შეიცვლებოდა, სკოლაც ხომ ისაა, რაც ცხოვრება. ბოლოს გეზი სასკოლო სპორტის ევროპულ მოდელზე ავიღეთ, ამ მიმართულებით კი მოკლე დროში უდიდესი შრომა გასწია საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**), და ამ კომიტეტის სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ (თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**). დევიზით „ჯანსაღი სკოლისათვის“ შემუშავდა „საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“. პროექტი მზადდებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პატრონაჟით, რაც მისი სურვილი იყო.

წამოწყებას პირველი გამოეხმაურა გაეროს ბავშვთა საერთაშორისო ფონდი „Unisef“-ი და ამერიკის საინვესტიციო ფონდი „USAID“-ის ორგანიზაცია „World Leazning“-ი.

გიორგი ასანიძე: *„მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა კატეგორიულად მოითხოვა სპორტის გაკვეთილების დანერგვა განათლების სისტემაში. ამ საქმეში აქტიურად ჩაერთო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრიც“.*

ვაჟა შუბლაძე (პროექტის ხელმძღვანელი): *„სამოქმედო გეგმაში ცალკეა მოცემული ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატაროს სამინისტროებმა თუ უწყებებმა, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა“.*

მაშ ასე, სამოქმედო გეგმა გვაქვს. ახლა მთავარია მოქმედება.

● ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

ჭაჭიშვილის ახალი სიმაღლე

ინდიანველსის (აშშ) ტურნირი კვირანახევრიანია. ამიტომ, ATP-ს და WTA-ს რეიტინგები ორი კვირის შემდეგღა განახლდა. ვაჟთა მსოფლიო კლასიფიკაციისკენ გახედვაც არ გვსურს, მაგრამ სხვა რა გზაა - საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი მსოფლიოს 705-ე ჩოგანია! 19 წლის ქართველმა კიდევ 15 ადგილი დაკარგა რეიტინგში და 22 ქულით მე-8 ასეულში აღმოჩნდა. ბასილაშვილმა ერთეულთა თანრიგში წლეულს სამ მცირე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა და სამივეგან პირველ წრეში წააგო. მის გარდა კლასიფიკაციაში მხოლოდ **ლადო ჩიხლაძეა** (11 ქულა, 867-ე ადგილი), 25 წლის ჩოგბურთელი, რომელიც ბოლოს კორტზე ნოემბრის დასაწყისში გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პროფესიული ვაჟთა ჩოგბურთი საერთოდ არა გვაქვს.

ქალთა ჩოგბურთში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა - გუშინ 21 წლის **ანა ტატიშვილი** 540 ქულით მსოფლიოს 125-ე ჩოგანი გახდა, სულ 2 საფეხურით წაინია, თუმცა კარიერის ახალი რეკორდი დაამყარა. სხვები: 196 (-8) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 297 ქულა; 232 (+2) **მაკა ჩახნაშვილი** - 235; 284 (-5) **სოფიო შაფათავა** - 180; 292 (-7) **თათია მიქაძე** - 176; 417 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** - 90; 552 (-) **ეკა გორგოძე** - 53; 601 (-) **მანანა შაფაქიძე** - 44; 1151 (+4) **ანა ჯიქია** - 3. როგორც ხედავთ, ჩვენებურთა უმეტესობამ მცირედით უკან დაიხია, რაც ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობის შედეგია.

ანა ტატიშვილი მაიამიშია, სადაც „სონი ერიქსონ ოუფენზე“ გამოდის, რომლის საპრიზო ფონდი 4,5 მილიონი დოლარია. ჩვენს თანამემამულეს საკვალიფიკაციო ბადეში მეტოქედ ავსტრიელი **პატრისია მაირი** შეხვდა, რომელიც მე-16 ნომრად განთესეს. 24 წლის მაირი მსოფლიოს 108-ე ჩოგანია, ის თავის მწვრთნელს გაჰყვა ცოლად და ახლა მაირ-ახლაიტნერად მოიხსენიება. ორი წლის წინ ავსტრიელი მსოფლიოს 70-ე ჩოგანი იყო. ეს არის მისი საუკეთესო მიღწევა.

ბარსელონის თიხნარის კორტებზე ვაჟთა 10-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, სადაც ძირითად ბადეში გასვლა 17 წლის **ნიკა დოლიძემ** სცადა. ორი წრე ნიკამ წარმატებით დაძლია: მოუგო ინდოელ **ნერაჯ ელანგოვანს** - 7:6 (3), 6:2 და ესპანელ **მარკ კასტელსს** - 6:3, 6:1, მაგრამ ფინალურ ეტაპზე „მშრალად“ დათმო ავსტრალიელ **მეთიუ ბარტონთან** (932) - 0:6, 0:6. თურქული ანთალიის თიხნარზე (10 ათასი დოლარი) ძირითადში გაღწევა **გიორგი რევაზიშვილმა** და **ზურაბ ცხაკაიამ** სცადეს. 28 წლის რევაზიშვილმა ბულგარელ **დიმიტარ პეტროვს** მოუგო - 5:7, 6:4, 6:2, ხოლო 17 წლის ცხაკაიამ სერბ **სლობოდან ივეტიჩთან** წააგო - 0:6, 0:6. მეორე წრეში რევაზიშვილმაც თანამემამულის ბედი გაიზიარა, მან გერმანელ **ივო მიიჩთან** დათმო - 0:6, 0:6.

ფრანგულ გონესში ქალთა 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო, მე-2 ნომრად განთესილი სოფიო შაფათავა საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ **ლეა ტოლეის** (საფრანგეთი) ხვდება. სოფიო ქვაცაბაიას მეტოქე კი მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი **ჯოია ბარბიერია** (392). ანთალიაში (10 ათასი დოლარი) ეკა გორგოძე ითამაშებს, რომელიც მომავალ მეტოქეს ჯერ კიდევ ელის. ჩინურ კუნმინში (25 ათასი დოლარი) ოქსანა კალაშნიკოვას პირველი მეტოქე მასპინძელი **სასაი ჟენია** (342).

ნიკოლოზ ნეფარიძე

წარმოგიდგენთ!

ვაგრძელებთ რაგბიში წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდების განაცხადების გამოქვეყნებას. დღეს „ყოჩებს“ და „ატას“ წარმოგიდგენთ.

ყოჩები

გვარი	სახელი	დაბ. წელი	... თარიღი	სიმაღლე	წონა	ამპლუა
ბეკები						
მარკოზაშვილი	ბექა	1989	26/08	182	78	ფულბეკი
მახარაშვილი	შავლეგ	1989	03/04	175	69	ფულბეკი
გეგენავა	ირაკლი	1986	15/12	182	77	გარემარბი
ნიჟარაძე	სანდრო	1987	05/04	182	78	გარემარბი
მაისურძე	პაატა	1985	23/05	180	77	შუამარბი
ადანაია	ბექა	1987	20/03	183	80	შუამარბი
გარუჩავა	რატი	1992	08/10	185	79	შუამარბი
გაბუნია	გიგი	1989	04/01	185	90	მგეზავი
ვასაძე	ჯემალ	1989	03/08	180	85	მგეზავი
კვარაცხელია	ლუკა	1991	07/09	176	75	მგეზავი
წიკლაური	გიორგი	1992	13/04	175	75	მგეზავი
ხელაძე	გიორგი	1979	09/01	178	79	ჰავბეკი
ბეგაძე	გიორგი	1986	12/03	180	80	ჰავბეკი
ბერიაშვილი	ნიკოლოზ	1992	22/05	176	75	ჰავბეკი
ფორვარდები						
ხოსიტაშვილი	გიორგი	1983	25/05	184	115	ბურჯი
ნიჟარაძე	გიო	1985	29/05	175	100	კვაჭი
გოგიშვილი	ბაჩანა	1987	23/08	186	105	ბურჯი
მამუკაშვილი	შალვა	1990	02/10	182	100	კვაჭი
ნადარეიშვილი	ნოდარ	1992	10/12	177	90	კვაჭი
არჩუაშვილი	მიხეილ	1986	05/10	188	100	მხტომელი
ბელაშვილი	დავით	1987	28/08	194	90	მხტომელი
წიკლაური	გიორგი	1992	26/08	187	90	მხტომელი
ცხვედიანი	დავით	1976	23/06	185	88	ფრთა
ნიკოლეიშვილი	ბექა	1989	03/05	188	98	შემკვრელი
გრძელიშვილი	დავით	1989	14/02	186	90	ფრთა
ტყეშელიაძე	გიორგი	1991	22/04	185	85	ფრთა
ცაგარეიშვილი	გიორგი	1991	09/04	182	89	ფრთა
ცუცქირიძე	გიორგი	1992	18/04	180	100	შემკვრელი
ფუნქციონერები						
გეგენავა	გუგა			გამგეობის თავმჯდომარე		99 91 98
მალაღურამე	ნუგზარ			მენეჯერ-მწვრთნელი		99 65 69
მგელაძე	ლევან			მთავარი მწვრთნელი		
გიორხელიძე	ირაკლი			მწვრთნელი		
კილაძე	კოტე			ექიმი		

ატა (ქუთაისი)

გვარი	სახელი	დაბ. წელი	... თარიღი	სიმაღლე	წონა	ამპლუა
ბეკები						
ხამაშურიძე	ბესიკ	1977	14/08	196	102	ფულბეკი
ძნელაძე	ზურაბ	1992	23/01	194	98	ფულბეკი
გოშაძე	ბაკურ	1987	15/04	186	82	გარემარბი
გოგლიჩაძე	ზურაბ	1990	30/08	182	100	გარემარბი
გიორგაძე	ირაკლი	1982	16/12	187	105	შუამარბი
ჩხიკვაძე	ირაკლი	1987	05/10	183	98	შუამარბი
კუხიანიძე	გიგლა	1991	06/09	182	90	შუამარბი
აბრამიძე	გიორგი	1991	06/05	182	90	შუამარბი
ზიბზიბაძე	გიორგი	1992	28/08	180	87	შუამარბი
შარვაშიძე	ლევან	1978	07/01	177	93	მგეზავი
სინაურიძე	გაგა	1990	13/03	184	105	მგეზავი
გოგია	ლევან	1989	07/02	171	83	ჰავბეკი
ფორვარდები						
გურეშიძე	გაგა	1977	24/04	180	117	ბურჯი
სხულუხია	ბექა	1988	22/09	174	106	კვაჭი
ლომიძე	თორნიკე	1990	19/03	183	128	ბურჯი
ჟვანია	ზურაბ	1991	23/08	182	120	ბურჯი
ჩხიკვაძე	ტარიელ	1991	12/10	182	120	ბურჯი
ერისთავი	ზურაბ	1991	12/07	180	113	კვაჭი
მატკავა	მერაბ	1991	08/06	173	105	კვაჭი
შალამბერიძე	გელა	1988	21/11	192	108	მხტომელი
მეტრეველი	ერეკლე	1990	14/12	193	108	მხტომელი
ჩიტაიშვილი	გიორგი	1991	24/10	190	112	მხტომელი
დგებუაძე	ირაკლი	1987	16/01	188	100	ფრთა
ბაგნიძე	თორნიკე	1988	01/08	192	110	შემკვრელი
რევიშვილი	ირაკლი	1989	05/11	184	78	ფრთა
თხელიძე	ლევან	1991	14/11	183	115	შემკვრელი
ცირეკიძე	გიორგი	1991	27/07	175	90	ფრთა
ფუნქციონერები						
გიორგაძე	კობა			მთავარი მწვრთნელი		899 30 28 90
ხამაშურიძე	ბესიკ			მწვრთნელი		899 72 98 15
გორგასლიძე	გია			პრეზიდენტი		899 50 40 99
ირემაძე	მირზა			ექიმი		
მინდიაშვილი	თემურ			ექიმი		

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

მარიონ ბარტოლი

ეინშტეინზე ჭკვიანი

როგორც აღმოჩნდა, WTA-ის 20 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის არის ისეთი მოთამაშე, რომელიც თავის კოლეგებს შორის განსაკუთრებული გონებით არის გამორჩეული. ეს გახლავთ ფრანგი **მარიონ ბარტოლი**.

26 წლის ჩოგბურთელის თქმით, რამდენიმე წლის წინ მან ინტელექტის კოეფიციენტის გამოსავლენი ტესტის (IQ) ჩატარება გადაწყვიტა და ფენომენალური შედეგი აჩვენა. ფრანგმა 175 ქულა დააგროვა. გასაოცარია, მაგრამ ბარტოლის ეს მაჩვენებელი მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი წარმომადგენლების შედეგებზე მაღალია. მაგალითად, ის უსწრებს **ალბერტ ეინშტეინს**. მიიჩნევა, რომ დიადი ფიზიკოსის IQ 160-ს უდრიდა. ასეთივე ქულა აქვს მილიარდერ **ბილ გეიტსს**, ხოლო გერმანელი კომპოზიტორის **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის** IQ 165-ის ტოლი იყო. ცნობისთვის, საშუალო სტატისტიკური ადამიანის კოეფიციენტი დაახლოებით 100-120 ქულას შორის მერყეობს.

მაგრამ ბარტოლიმ ვერ აჯობა ლეგენდარულ მოჭადრაკეებს - **გარი კასპაროვსა** და **ბობი ფიშერს**. რუსის ინტელექტის კოეფიციენტი 190 ქულაა, ან გარდაცვლილი ამერიკელისა - 187.

„იმედი მაქვს, ეს ოდესღაც დამეხმარება ჩოგბურთში“, - ღიმილით განაცხადა ბარტოლიმ.

ATP-ის რეიტინგი

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 630
2(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	8 710
3(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	8 280
4(4). როგინ სიოდერლინგი (შვედ)	5 735
5(5). ენდი მიურეი (გრიტ)	5 545
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 510
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	4 320
8(8). ენდი როდიკი (აშშ)	3 260
9(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	3 095
10(10). იურგენ მელცერი (ავსტრია)	2 695
11(11). გაელ მონფილსი (საფ)	2 600
12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 485
13(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	2 355
14(13). მიხაილ იუჟნი (რუს)	2 340
15(15). მარდი ფიში (აშშ)	2 106
16(17). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 850
17(18). ვიტორ ტროიეკი (სერ)	1 710
18(21). რიშარ გასკე (საფ)	1 665
19(19). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1 630
20(20). მარინ ჩილიჩი (ხორ)	1 575

ფულადი ფონაგარი

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 211 875
2. ენდი მიურეი (გრიტ)	1 146 682
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	976 674
4. დავიდ ფერერი (ესპ)	783 633
5. როგინ სიოდერლინგი (შვედ)	695 585
6. რაფაელ ნადალი (ესპ)	611 472
7. ალექსანდრ დულგოპოლოვი (უკრ)	477 494
8. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	455 982
9. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	444 565
10. ენდი როდიკი (აშშ)	440 722
11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	433 169
12. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)	356 870
13. მილოშ რაონიჩი (კან)	339 982
14. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	326 751
15. ტომი როზრედო (ესპ)	307 022
16. ვიტორ ტროიეკი (სერ)	274 529
17. რიშარ გასკე (საფ)	259 310
18. მარინ ჩილიჩი (ხორ)	257 558
19. იურგენ მელცერი (ავსტრია)	247 766
20. ძსავიე მალისე (გერ)	246 615

WTA-ის რეიტინგი

1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	9 850
2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ)	8 895
3(3). ვერა ზვონარევა (რუს)	7 505
4(5). ფრანჩესკა სიკამონე (იტა)	5 111
5(4). სამანტა სტოსური (ავსტრა)	4 716
6(7). ნა ლი (ჩინ)	4 300
7(6). ელენა იანკოვიჩი (სერ)	4 045
8(9). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	3 610
9(8). ვენუს უილიამსი (აშშ)	3 465
10(17). მარიონ ბარტოლი (საფ)	3 235
11(12). შაარ პეერი (ისრ)	3 105
12(11). სერენა უილიამსი (აშშ)	3 035
13(18). მარია შარაპოვა (რუს)	3 026
14(10). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	3 860
15(13). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 860
16(16). კაია კანეპი (ესტ)	2 760
17(15). ფლავია პენეტა (იტა)	2 730
18(14). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	2 713
19(21). ანა ივანოვიჩი (სერ)	2 690
20(25). იანინა ვიკმაიერი (ბელ)	2 545

ფულადი ფონაგარი

1. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 213 058
2. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	1 538 250
3. ნა ლი (ჩინ)	1 170 129
4. ვერა ზვონარევა (რუს)	595 016
5. ფლავია პენეტა (იტა)	462 291
6. მარიონ ბარტოლი (საფ)	455 096
7. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	370 688
8. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	332 538
9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	331 874
10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	317 587
11. ხისელა დულკო (არგ)	306 955
12. ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	290 251
13. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	280 493
14. იანინა ვიკმაიერი (ბელ)	249 317
15. მარია შარაპოვა (რუს)	245 915
16. შუაი პენგი (ჩინ)	231 124
17. მარია კირილენკო (რუს)	222 552
18. ელენა იანკოვიჩი (აშშ)	220 746
19. ბეტანი მატეიკ (აშშ)	209 612
20. შაარ პეერი (ისრ)	180 204

● ამბები

პოკერი

ოვეჩკინი დაიღალა

„ვაშინგტონ კეპიტალზის“ ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, სავარაუდოდ, გამოტოვებს რეგულარულ ჩემპიონატში თავისი გუნდის უახლოეს მატჩებს. ამის მიზეზი რუსი ჰოკეისტის ფიზიკური დაღლილობაა. უკვე ცნობილია, რომ ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი ვარსკვლავი არ ითამაშებს დღეს „ფილადელფიასთან“ მატჩში.

„ის ფიზიკურად დაიღალა, რადგან ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პაუზის გარეშე ითამაშა. ამაზე ყურადღება უნდა გავამახვილოთ. მისი სხეული დასვენებას საჭიროებს. ვფიქრობ, ოვეჩკინს მოუწევს ერთი-ორი კვირა თამაშგარეში ყოფნა, რათა პლეი ოფის მატჩებს ოპტიმალურ ფიზიკურ ფორმაში შეხვდეს“, - ამბობს „ვაშინგტონის“ მთავარი მწვრთნელი **ბრიუს ბუდრო**.

კალათბურთი

ეფესმა მწვრთნელი დაითხოვა

თურქული „ეფეს პილსენის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ველიმირ პერასოვიჩის** გათავისუფლება გადაწყვიტა. კლუბში უკმაყოფილონი არიან ბოლოდროინდელი შედეგებით როგორც საშინაო არენაზე, ასევე ევროტურნირებზე. ასე მაგალითად, თურქეთის ჩემპიონატში „ეფესი“ მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა, ევროლიგაზე კი პერასოვიჩის ხელმძღვანელობით მეორე ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან მხოლოდ ორი მატჩი მოიგო და ტურნირს გამოეთიშა.

ჯერჯერობით სერბი სპეციალისტის შემცვლელი არ დაუსახელებიათ.

დღეს პირველი ნოკაუტი

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** კვლავაც დაუმარცხებელია მიმდინარე სეზონში. ამჯერად მან მსოფლიო რეიტინგის ლიდერი **რაფაელ ნადალი** დაამარცხა და წელს მესამე ტიტული მიითვალა.

მასტერსის ფინალში ამ ეტაპზე ტურის ორი საუკეთესო ჩოგბურთელის დაპირისპირება ვიხილეთ. ეს იყო სერბისა და ესპანელის რიგით 24-ე შეხვედრა და აშკარა უპირატესობა ნადალის მხარეს იყო: 16:7. თანაც, მათი ბოლო ხუთი ფინალიდან ხუთივეში ნადალმა მოიპოვა გამარჯვება. თუმცა გასათვალისწინებელი იყო კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემი - ჰარდზე სერბი 7:5-ს უგებდა ესპანელს.

პირველი პარტია 45 წუთი გაგრძელდა ესპანელის სასარგებლოდ დასრულდა. პირველი ბრეიკ-პოინტები მეხუთე გეიმში დაფიქსირდა, როცა ნადალს სერბის მოწოდებაზე სამი შანსი მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა. სულ რაფას ამ გეიმში ხუთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და მეხუთე ცდაზე მაინც მიაღწია სანადელს. ამის შემდეგ მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მაინც მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე, როცა სეტზე დამატებითი ჯერებლად ჩაანოდა.

მეორე სეტში ფინალისტები თავიდან ინარჩუნებდნენ საკუთარ გეიმებს და პირველი ბრეიკ-პოინტი და ბრეიკი მეექვსე გეიმში ვიხილეთ - ამჯერად ჯოკოვიჩს გაუმართლა და მან 4:2 წაიყვანა ანგარიში. ზუსტად განმეორდა პირველი სეტის სცენარი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წარმატება ნოვაკს დარჩა - ისევ გაიცვალა ბრეიკები და ამ შემთხვევაში ჯოკოვიჩმა ჩაანოდა სეტზე, ოღონდ ამ გეიმში რაფას კიდევ ჰქონდა ბრეიკ-პოინტები, მაგრამ ნოვაკმა მეექვსე სეტბოლზე მიაღწია სანადელს. ეს გეიმი ათ წუთზე მეტხანს გაგრძელდა.

როგორც აღმოჩნდა, მეორე პარტიის ბოლო გეიმი გარდამტეხი აღმოჩნდა მატჩში, რადგან მისი წაგების შემდეგ რაფაელ ნადალმა შეცდომებს უმატა და უკვე პირველივე გეიმში მისცა ბრეიკ-პოინტი მეტოქეს, რომლის მოგერიება ვერ შეძლო. მაგრამ ამით ჯოკოვიჩი არ დაკმაყოფილდა - ჯერ თავისი გეიმი აიღო, მესამეში კი კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა. საბოლოოდ, ჯოკოვიჩი 4:0 დაწინაურდა და მატჩის ბედი პრაქტიკულად გარკვეული იყო.

რკინის ხასიათის მიუხედავად, ასეთი ურთულესი სიტუაციიდან გამოძრომა ესპანელმა ვერ მოახერხა. ასე რომ, ორი საათი და 25 წუთი ბრძოლის შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩმა ამ სეზონის სტარტიდან მოყოლებული მოგებათა სერია 20 მატჩამდე აიყვანა. ამ ყველაფერმა სერბს სეზონში მესამე ტიტული და რეიტინგში მეორე ადგილი მოუტანა.

ნოვაკმა ინდიან უელსში მეორედ გაიმარჯვა და ამ მაჩვენებლით ფინალში თავის მეტოქეს გაუთანაბრდა. ჯოკოვიჩისთვის ეს იყო 21-ე ტიტული კარიერაში (13 ფინალი წაგებული აქვს), რაფაელ ნადალი კი პირველად დაამარცხა ATP-ის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში. თავის მხრივ, რაფას მაჩვენებლები ფინალებში 43 მოგებასა და 14 წაგებას უდრის.

ATP

BNP Paribas Open

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 2 645 000 დოლარი

1/2 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 4:6, 6:3, 6:2.

ნოვაკი ტიტულებს აგროვებს

ვოზნიაცკი შანსს არ ტოვებს

დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** დაამტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაშია და წელს მეორე, კარიერაში კი მე-14 ტიტული მოიპოვა.

გადამწყვეტ მატჩში მსოფლიოს პირველი ჩოგანის მეტოქე ფრანგი **მარიონ ბარტოლი** იყო, რომელთანაც ექვსი მატჩი ჰქონდა ჩატარებული და ოთხი მოგებული.

დანიელმა ძალიან დამაჯერებლად დაიწყო შეხვედრა და უკვე მეორე გეიმში აიღო მეტოქის მონოდება. თითქოს დანიელს შემდეგ გეიმში უნდა განევრცო ეს უპირატესობა, მაგრამ ბარტოლიმ არ მისცა ამის საშუალება. ფრანგმა მომენტალურად გააკეთა საპასუხო ბრეიკი და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ბარტოლის ერთადერთი წარმატება პირველ სეტში. ვოზნიაცკიმ იქვე მეორე ბრეიკი აიღო და ფრანგმა სეტში წინააღმდეგობა შეწყვიტა - ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით კაროლინმა გაანადგურა მეტოქე - 6:1.

პირველი სეტის ჩაგდების შემდეგ ბარტოლიმ მეორე პარტია ძალიან წარმატებით დაიწყო. ზედიზედ სამი გეიმის აღებით ფრანგმა სეტის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ვოზნიაცკიმ მხოლოდ მეოთხე გეიმში გაქვითა ანგარიში, მაგრამ ბრძოლა მაინც არ შედგა. მარიონმა მეორე ბრეიკიც გააკეთა და ამან მას მეორე სეტში გამარჯვება მოუტანა. ასე რომ, გამარჯვებულის გამოსავლენად მესამე სეტის ჩატარება გახდა საჭირო.

გადამწყვეტი პარტია ვოზნიაცკის ბრეიკით დაიწყო, რომელიც ურთულეს ბრძოლაში გამოსტაცა მეტოქეს. ამის შემდეგ ფინალისტები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. მეხუთე გეიმში ბარტოლის რამდენიმე ორმაგი შეცდომის გამო, კაროლინმა მეორე ბრეიკი გააკეთა და თითქოს გამარჯვებულის საკითხი მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან, მაგრამ ფრანგი ამას არ დაეთანხმა და მაინც გაიბრძოლა. მან ერთი საპასუხო ბრეიკი გააკეთა და ამით ინტრიგა შეუნარჩუნა ფინალს. ბარტოლი ბოლო მომენტამდე ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა ამის გაკეთება. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დაიბრუნა ინიციატივა და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

თამაში ორ საათსა და რვა წუთს გაგრძელდა. ჩოგბურთელებმა ათი ბრეიკ-პოინტი გამოიყენეს, რომელთაგანაც ექვსი დანიელის ანგარიშზე იყო. აგრეთვე აღვნიშნავთ ფრანგის ხუთ ორმაგ შეცდომასა და სამ ეისს. ბარტოლი კარიერაში მე-12 ფინალს თამაშობდა, რაც შეეხება ვოზნიაცკის, მან წელს მესამე ფინალში მიიღო მონაწილეობა და მეორე ტიტული მოიგო, კარიერაში კი ანალოგიური მაჩვენებლები 23 ფინალსა და 14 ტიტულს უდრის. აღფრთოვანებას იწვევს ვოზნიაცკის ბოლოდროინდელი სპორტული ფორმა - ბოლო 11 ტურნირში ის რვაჯერ გავიდა ფინალში!

კაროლინ ვოზნიაცკის მეორე ტიტული

WTA

BNP Paribas Open

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი

1/2 ფინალი

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-მარიონ ბარტოლი (საფ, 15) 6:1, 2:6, 6:3.

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სენსაცია ოკლაჰომაში

კარმელო ენტონის დამატების შემდეგ „ნიუ იორკი“ აღმოსავლეთის ფავორიტებს შორის ჩაეწერა, მაგრამ ამ ტრანსფერით „ნიქსს“ ჯერჯერობით ბევრი არაფერი მომატებია, გუშინ კი **მაიკ დ'ანტონის** გუნდმა უცნაური მატჩი ჩაატარა „მილუოკის“ წინააღმდეგ. უცნაურობა იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი მეოთხედის შემდეგ ნიუიორკელები 9:32-ს (!) აგებდნენ. სტუმრებმა სანყის 12 წუთში 25-დან მხოლოდ 4 ბურთი ჩააგდეს. მეორე უცნაურობა კი ის გახლდათ, რომ „მილუოკიმ“ ასეთი უპირატესობის მოპოვების შემდეგ კინაღამ წააგო ეს შეხვედრა.

„ნიუ იორკმა“ დაამტკიცა, რომ პირველ მეოთხედში ჩავარდნა შემთხვევითობა იყო. **ბილაპსისა** და **ფილდსის** ზუსტი ტყორცნების სერიის შემდეგ სტუმრებმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს - 51:52. მაგრამ უფრო მეტის გაკეთება „ნიქსმა“ ვერ მოახერხა და ამის მიზეზი გახდა მისი ყოფილი კალათბურთელი **კარლოს დელფინო**.

საფინალო სირენამდე ორწუთახევრით ადრე „მილუოკის“ უპირატესობა კვლავ მინიმალური იყო, როცა არგენტინელმა 74 წამში ოთხი საჯარიმო ჩააგდო და ამას სამქულიანიც დაუმატა, რითაც პარტნიორებს ზედმეტი ნერვიულობა ააცილა თავიდან. დელფინომ 30 ქულით კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა, „მილუოკი“ კი აღმოსავლეთის ცხრილში „შარლოტს“ გაუთანაბრდა და მერვე ადგილზე მყოფ „ინდიანამდე“ ბევრი არაფერი უკლია.

■ ■ ■

გუშინდელ დღეს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ „ოკლაჰომა“ საკუთარ მოედანზე დამარცხდებოდა „ტორონტოსთან“. მით უმეტეს, რომ „თანდერმა“ სტარტიდანვე დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი, როცა სწრაფად მიაღწია რვაქულიან უპირატესობას. მაგრამ ამით მასპინძლების წინსწლა შეჩერდა, „ტორონტო“ კი ნამდვილ შტურმზე გადავიდა. შესვენებამდე „ოკლაჰომა“ ასე თუ ისე უმკლავდებოდა კანადელთა შემოტევას, მაგრამ მესამე მეოთხედის ბოლოსთვის სხვაობა უკვე ძალიან სახიფათო გახდა - 74:62 „რეპტორზის“ სასარგებლოდ.

მატჩს ინტრიგა **ჯეიმს ჰარდენმა** დაუბრუნა, რომელმაც ცხრიდან რვა საჯარიმო ჩააგდო, თანაც მასპინძელთა დაცვამაც იყოჩაღა და 550 წამის განმავლობაში არ ჩააგდებინა ბურთი მეტოქეს. ასე რომ, 11:2 გაქცევის წყალობით „ოკლაჰომამ“ საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე სამი ქულით წინ გასვლა შეძლო. ამის შემდეგ „თანდერს“ ორჯერ შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ჯერ **დურანტმა** ააცილა საშუალო მანძილიდან, **პერკინსმა** კი ორი საჯარიმო ააცილა. ამისთვის „თანდერი“ **ბარბოზამ** დასაჯა, რომელმაც სამქულიანით გაათანაბრა ანგარიში. დარჩენილ დროში გუნდებმა თითო შეტევა მოასწრეს - **უესტბრუკმა** ააცილა, სამაგიეროდ, ბოლო წამზე ჩააგდო **ამირ ჯონსონმა**.

■ ■ ■

ტურის ცენტრალური მატჩი ლოს ანჯელესში გაიმართა, სადაც მოქმედი ჩემპიონი „ლეიკერსი“ „პორტლენდს“ მასპინძლობდა. **ფილ ჯექსონის** გუნდს ყოველთვის უჭირდა „ბლეიზერსის“ წინააღმდეგ თამაში. ამას სტატისტიკაც ადასტურებს: 2004-05 წლების სეზონიდან მოყოლებული, „პორტლენდს“ „ლეიკერსთან“ რეგულარულში სერია არასოდეს წაუგია.

მაგრამ წელს ტრადიცია დაირღვა - კალიფორნიელებმა მიმდინარე რეგულარულში ზედიზედ მესამედ დაამარცხეს „ბლეიზერსი“. თანაც ამის გაკეთებამ **ენდრიუ ბინუმის** გარეშე მოუწიათ, რომელიც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა მინესოტელი **მაიკლ ბიზლის** წინააღმდეგ უხეშობისთვის. ამიტომაც წინა ხაზზე თამაშის სიმძიმე **პაუ გასოლსა** და **ლამარ ოდომს** დაანვათ, რომლებმაც შესაბამისად 45 და 42 წუთი ითამაშეს. ორივემ ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

ჩემპიონს იოლი თამაში არ ჰქონია. თავიდან ის 29:20 დაწინაურდა, მაგრამ „პორტლენდი“ საპასუხო სპურტით გამოვიდა და ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ათი უპასუხო ქულის წყალობით პირველი ტაიმი 4 ქულით მოიგო. „ლეიკერსს“ განსაკუთრებით შეტევაში უჭირდა, რის გამოც მესამე მეოთხედში სტუმრების უპირატესობა 9 ქულამდე გაიზარდა.

კალიფორნიელები დროულად მოვიდნენ გონს. ოდომმა, **ბრაუნმა** და გასოლმა ზედიზედ 7 ქულა დააგროვეს, **ბარნსმა** კი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან საჭირო ბურთი ჩააგდო - მესამე მეოთხედის ბოლო წამზე 12 მეტრიდან ზუსტად ისროლა. თუმცა მასპინძლებმა საბოლოოდ მატჩის სადავეები საფინალო სირენამდე 2 წუთითა და 21 წამით ადრე იგდეს ხელთ, როცა **კობი ბრაიანტმა** ანგარიში გაათანაბრა. სწორედ **დერეკ ფიშერთან** მისმა დუეტმა ითამაშა გადამწყვეტი როლი მატჩის შედეგზე. თავიდან ვეტერანი მცველი თავისივე ჩაჭრის შემდეგ გაიქცა, 10 წამით ადრე კი საშუალო მანძილიდან ოთხ ქულამდე გაზარდა ანგარიში, რითაც წერტილი დაუსვა შეხვედრას. ამ მოგებით „ლეიკერსმა“ წყნარი ოკეანის დივიზიონის ჩემპიონობა გაინაღდა.

ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 98:92

23:35, 20:21, 28:12, 27:24

ვ: უოლი (28+8 პასი+6 მოხსნა), კროუფორდი (21), მაკგი (16+7 მოხსნა), ევანსი (15).

ნ-ჯ: ლოპეზი (21+10 მოხსნა), მოროუ (19), ჰემფრიზი (18+17 მოხსნა), ფარმარი (10+17 პასი).

ატლანტა-დეტროიტი 104:96

21:17, 34:33, 24:24, 25:22

ა: ჰორფორდი (18+10 მოხსნა+6 პასი), სმიტი (17+9 მოხსნა), ჯონსონი (17+8 პასი), ჰაინრიხი (15+6 პასი), უილიამსი (13+5 მოხსნა), ფაჩულია (13+5 მოხსნა).

დ: სტაკი (22+8 პასი), უილკოქსი (18), მონრო (17+10 მოხსნა), პრინსი (10+5 პასი).

მილუოკი-ნიუ იორკი 100:95

32:9, 15:32, 28:31, 25:23

მ: დელფინო (30+11 მოხსნა), სალმონსი (22), მბაა მუტე (19+8 მოხსნა), ჯენინგსი (14+11 მოხსნა+9 პასი), ბოგუტი (13+12 მოხსნა).

ნ-ი: სტაუდმაიერი (25+11 მოხსნა), ენტონი (23+5 მოხსნა), ბილაპსი (21), ფოლდსი (13+5 მოხსნა).

ლოს-ანჯელესი-ფინიქსი 99:108

23:27, 26:27, 29:27, 21:27

ჯ: კამანი (21+11 მოხსნა), უილიამსი (18+7 მოხსნა+7 პასი), გრიფინი (17), ფოიე (13), გორდონი (10+5 მოხსნა).

ფ: ნუნი (23+13 პასი+7 მოხსნა), ფრაი (19), გორტატი (17+13 მოხსნა), დადლი (14+6 მოხსნა), უორიკი (12).

მინესოტა-საკრამენტო 95:127

23:28, 25:29, 27:28, 20:42

მ: რიდნური (22), რენდოლფი (14), მილიჩიჩი (13+6 მოხსნა), ბიზლი (13).

ს: დალემბერი (26+17 მოხსნა), ტორნტონი (23+9 პასი+8 მოხსნა), უდრიხი (19+5 პასი), ჯეტერი (13+6 პასი+5 ჩაჭრა), გრინი (13).

პიუსტონი-იუტა 110:108

30:19, 25:28, 22:28, 33:33

ჰ: მარტინი (34), ლოური (28+11 მოხსნა+10 პასი), პატერსონი (14+13 მოხსნა).

ი: მილსეპი (35+10 მოხსნა), მაილზი (19), ჯეფერსონი (17+19 მოხსნა), ჰარისი (12+5 მოხსნა), კირილენკო (10).

ოკლაჰომა-ტორონტო 93:95

22:25, 22:23, 22:28, 27:19

ო: ჰარდენი (23), უესტბრუკი (22+6 მოხსნა), დურანტი (20+5 მოხსნა), პერკინსი (5+12 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (23+5 მოხსნა), ბარბოზა (19), დეროზანი (16+8 მოხსნა), ევანსი (13+9 მოხსნა), ჯონსონი (12+6 მოხსნა).

დალასი-გ. სტეიტი 101:73

31:23, 20:20, 25:20, 25:10

დ: ნოვიცკი (20+6 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (17), ბობუა (15), მაინმი (9+13 მოხსნა), ჩენდლერი (7+17 მოხსნა).

გ-ს: ელისი (18), კარი (11+6 მოხსნა+6 პასი), ლი (10+12 მოხსნა).

ლეიკერსი-პორტლენდი 84:80

27:20, 17:28, 18:18, 22:14

ლ: ბრაიანტი (22), ოდომი (16+11 მოხსნა+6 პასი), გასოლი (14+13 მოხსნა), არტესტი (10).

პ: ბატუმი (25), ოლდრიჯი (18+6 მოხსნა), ფერნანდესი (10+5 მოხსნა), კემბი (3+10 მოხსნა).

ფიშერმა გადამწყვეტი როლი ითამაშა

● ● ●

ფეტელს ნასვლა შეუძლია

„რედ ბულის“ მფლობელმა **დიტერ მატეშიცმა** კომენტარი გაუკეთა ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გუნდის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** 2014 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი ავსტრიულ საჯინიბოსთან. გაზეთ Frankfurter Allgemeine-სთვის მიცემულ ინტერვიუში მატეშიცმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონს მოქმედების გარკვეული თავისუფლება რჩება...

„თუ ამ პერიოდში ჩვენ ვერ შევძლებთ სებასტიანისთვის კონკურენტუნარიანი მანქანის შეთავაზებას, მას აქვს უფლება მოითხოვოს კონტრაქტის გაუქმება, სხვა გუნდში წარმატების უკეთესი შანსის მისაღებად. ასეთ სიტუაციაში ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენ შეიძლება ხელი შევუშალოთ მისი კარიერის განვითარებას.

არ არსებობს ჩემპიონატში ძლიერი გუნდი, რომელსაც არ უნდოდეს მისი გადაბირება, მაგრამ ვფიქრობ, ფეტელი მოისურვებს დარჩენას - ჩვენ ერთად გავაგრძელეთ კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც გუნდის ამოცანაა მისთვის ღირსეული მანქანის შეთავაზება“, - განაცხადა მატეშიცმა.

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

პირველი ეტაპი ჰონდასია

კატარის გრანპრით გაიხსნა მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი მოტოგრანპრის კლასში. პირველი უქმეების გმირი „ჰონდას“ პილოტი **კეისი სტოუნერი** აღმოჩნდა, რომელმაც შაბათს პოულის მოგების შემდეგ რბოლაშიც პირველი ადგილი დაიკავა.

თუმცა სტარტზე სტოუნერის უკან ჩამოტოვება მოახერხა **დანი პედროსამ** და პირველ მოსახვევში ლიდერის რანგში შევიდა, შემდეგ კი რბოლაში სრული ქაოსი იყო. რაღაც მომენტში მეორე ადგილზე გავიდა **ვალენტინო როსი**, მაგრამ „დოქტორის“ ეს წარმატება გვიანი დამუხრუჭებით იყო გამოწვეული. იტალიელი იძულებული გახდა, გარე რადიუსით გამოსულიყო მოსახვევიდან, რის გამოც ძალიან ბევრი პოზიცია დაკარგა - მეშვიდე ადგილამდე დაქვეითდა.

პედროსამ პირველივე წრეზე დაკარგა სტარტზე მოპოვებული ლიდერობა, მაგრამ მას არა სტოუნერმა, არამედ მოქმედმა ჩემპიონმა **ხორხე ლორენსომ** გაასწრო. ესპანელს კარგი სტარტი გამოუვიდა და სულ მალე შეძლო პირველ ადგილზე გადასვლა. თუმცა მისი სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. თავიდან სტოუნერმა პედროსას გაუსწრო, შემდეგ კი „ჰონდას“ ორივე მრბოლელმა თანდათან ჩამოიშორა ჩემპიონი.

ისე ჩანდა, რომ სტოუნერი მაშინვე გაექცეოდა პედროსას, მაგრამ ასე არ მოხდა. დანი აჰყვა გრანპრის ფავორიტის ტემპს, მეოთხე წრეზე კი ლიდერიც გახდა - მან ეს სასტარტო სწორი მონაკვეთის ბოლოს დამუხრუჭებისას შეძლო. სტოუნერმაც, თავის მხრივ, შორს არ გაუშვა თანაგუნდელი, მაგრამ საპასუხო შეტევის ნაცვლად მეორე ადგილის შენარჩუნება არჩია. ასეთმა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო - დანი მაქსიმალური ტემპის განვითარებას ცდილობდა და საბურავთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.

მე-11 წრეზე სტოუნერი ლიდერი გახდა და ახლა უკვე საბოლოოდ, პედროსას პრობლემები კი გაგრძელდა. მან არათუ კონკურენცია ვერ გაუწია კეისის, არამედ ლორენსოსაც დაუტოვა ბრძოლის შანსი. ორ ესპანელს შორის მეორე ადგილისთვის პაექრობა ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა.

რბოლა კიდევ რამდენიმე წრე რომ გაგრძელებულიყო, პედროსას, შესაძლოა, **ანდრეა დოვიციოზოსთანაც** წაეგო, რომელიც მთელი რბოლა **მარკო სიმონჩელის** ებრძოდა. დისტანციის დიდი ნაწილი წინ სწორედ სიმონჩელი იყო, მაგრამ დოვიციოზომ უფრო სტაბილური რბოლა ჩაატარა და შეძლო თანამემამულის დამარცხება.

რაც შეეხება ვალენტინო როსის, მან მეშვიდე ადგილი დაიკავა. პირველი წრის შემდეგ ის მეექვსე პოზიციაზე იყო, მაგრამ უკან მოსდევდა ძალიან სწრაფი **ბენ სპისი**, რომელსაც სტარტი არ გამოუვიდა. ამერიკელი ძალიან მალე დაეწია როსის და შემდეგ ორი შეტევა განახორციელა. თავიდან ის ფართოდ შევიდა პირველ მოსახვევში და ვალემ შეინარჩუნა პოზიცია, მაგრამ შემდეგი იერიში უფრო კარგად მომზადებული აღმოჩნდა. მრბოლელები პირველ ორ მოსახვევში ერთდროულად შევიდნენ, რის შემდეგაც სპისმა ხისტი მანევრით ჩამოიცილა კონკურენტი და წინ გაიჭრა. ამ დროს როსი კინაღამ დაეცა, მაგრამ შესანიშნავი კოორდინაცია გამოავლინა და რბოლა გააგრძელა.

კატარის გრან-პრი

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 22 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - +3,440; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - +5,051; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - +5,942; 5. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა“) - +7,358; 6. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +10,468; 7. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +16,431; 8. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა“) - +26,293; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - +27,416...

წინ დიდი სეზონია

ცნობილმა ბრიტანელმა ექსპერტმა და ანალიტიკოსმა **ჯეიმს ალენმა** ITV-ის ოფიციალურ ვებგვერდზე შემოგვთავაზა ახალი სეზონის საინტერესო პრევიუ...

ჯეიმს ალენი: „ამ კვირას იწყება ახალი სეზონი და ეს შესანიშნავი პერიოდია - ყველას ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვს და ყველაზე საინტერესო წინ გველოდება.

ზამთრის ტესტების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „რედ ბული“ და „ფერარი“ იბრძოლებენ ლიდერობისთვის. ისინი ინარჩუნებენ იმ ტემპს, რომლითაც გასული სეზონი დაასრულეს, მაგრამ საინტერესოა, ვინ გაუწევს ამ დუეტს კონკურენციას?

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ყველა აკვირდებოდა „მაკლარენისა“ და „მერსედესის“ გამოსვლას - წესით ორივემ უნდა იბრძოლოს ლიდერობისთვის, მაგრამ ტესტებზე გარკვეულ პრობლემებს წააწყდნენ.

„მაკლარენი“ სხვებზე გვიან შეუერთდა ტესტებს. მან იქ რთული მანქანა გამოიყვანა, რომელსაც არაერთი ინოვაციური ტექნიკური სიახლე გამოარჩევდა. ამან გუნდს ბოლიდის ნაკლები საიმედოობა მოუტანა, ასეთ პირობებში კი სისწრაფეზე მუშაობა ყოველთვის რთულია.

ვფიქრობ „მაკლარენი“ ახალ სეზონს იმაზე ცუდად დაიწყებს, ვიდრე ამას გუნდში იმედოვნებდნენ, მაგრამ მოსალოდნელია უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას სერიოზული პროგრესი. მთავარია, გუნდმა სეზონის სტარტზე არ დაკარგოს ბევრი ქულა.

ტესტების დასაწყისში „მერსედესიც“ აგებდა კონკურენტებთან, მაგრამ გუნდმა ეს მანქანის სერიოზული განახლებისთვის მზადებით ახსნა. პირველ ტესტებზე გერმანული ბოლიდის პირველი ვერსია თითქმის წამს აგებდა ლიდერებთან და ბევრმა „მერსედესის“ მორიგ ფიასკოზე დაიწყო ლაპარაკი. გუნდმა ძალიან ადრე შეწყვიტა გასულ წელს მანქანის დახვეწაზე ზრუნვა და უკვე ზაფხულში გადაერთო 2011 წლის ბოლიდის შექმნაზე. ნუთუ ისევ შეცდომა იქნა დაშვებული?

ბარსელონას ფინალური ტესტებისთვის ინჟინრებმა ბევრი ახალი ტექნიკური გადაწყვეტა შემოგვთავაზეს, რითაც გაუმჯობესდა მოჭიდების ძალა. მანქანა სწრაფია - მიხაელ შუმახერმა ბარსელონას ტესტებზე საუკეთესო დრო აჩვენა და ახლა ყველა ცდილობს ერთი რამის გარკვევას - ხომ არ აჯობა მანქანის დახვეწაში ყველას „მერსედესმა“?

ჩემი ვარაუდი ასეთია: „მერსედესის“ მანქანები ახლოს არიან ორ პოტენციურ ლიდერთან, მაგრამ ოდნავ მაინც ჩამორჩებიან. მელბურნში და უფრო მეტად მალაიზიაში გავიგებთ, რამდენად ზუსტად ასახავს ბარსელონას ტესტების შედეგები ძალთა რეალურ თანაფარდობას. კარგი იქნება შუმახერისა და როსბერგის ლიდერთა შორის ხილვა. მიხაელს კარგი შედეგები სჭირდება იმისთვის, რომ გაამართლოს დიდ სპორტში დაბრუნება, ნიკო კი დიდი ხანია ოცნებობს ფორმულა 1-ში პირველ გამარჯვებაზე. შესაძლოა, წლევანდელმა მანქანამ მისცეს მას ამ ოცნების რეალიზების საშუალება.

ასე რომ, მოუთმენლად ველოდები სეზონის დაწყებას. „პირელის“ საბურავზე გადასვლა შეცვლის რბოლების სცენარს. გაიზრდება პიტსტოპების რაოდენობა და სტრატეგიის მხრივ ეს იქნება ძალიან საინტერესო ჩემპიონატი.

პირველად 1970 წლიდან სტარტზე გავა მსოფლიოს ხუთი ჩემპიონი - ეს ყველაზე უკეთ გამოხატავს მომავალ სეზონში კონკურენციის სიმძაფრეს“.

მაკლარენის ერთგული

„მაკლარენის“ პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** უარყო ბოლო დროს პრესაში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს უახლოეს პერიოდში „რედ ბულში“ აპირებდეს გადასვლას. ცნობილია, რომ ავსტრიული გუნდის მეორე პილოტს **მარკ უებერს** ამ სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი და პრესა სწორედ მის შემცვლელად მოიაზრებს ბრიტანელ პილოტს.

„მაკლარენი“ - განსაკუთრებულია გუნდია, - ამბობს ჰემილტონი. - აქ შეკრებილნი არიან ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან. ჩემი გული ყოველთვის აქ დარჩება. არ ვაპირებ გუნდის დატოვებას“.

■ ■ ■

ამასობაში, 2011 წლის ჩემპიონატის სტარტამდე ცოტა ხნით ადრე „მაკლარენის“ ბოსმა **მარტინ უიტმარშმა** განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ავსტრალიის გრანპრიმდე იგეგმება ბრიტანული საჯინიბოს ახალი მანქანის კონსტრუქციაში სერიოზული ცვლილებები. შეგახსენებთ, რომ ადრე გუნდის ორივე პილოტმა - ლუის ჰემილტონმა და **ჯენსონ ბატონმა** უკმაყოფილება გამოთქვეს ახალი ბოლიდით. ჰემილტონმა ისიც კი განაცხადა, რომ ეს მანქანა წელს ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

„დღეისთვის მეც უკმაყოფილო ვარ ახალი ბოლიდით, - ამბობს უიტმარში. - ტესტების შედეგებით კმაყოფილი არავინ დარჩენილა. ავსტრალიის გრანპრიმდე შევიტანთ კონსტრუქციაში კარდინალურ ცვლილებებს. რა თქმა უნდა, რისკზე მივდივართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ - გუნდი სწორ გზას ადგას. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს რისკი გაამართლებს და მანქანა უფრო კონკურენტუნარიანი იქნება. სიმართლე გითხრათ, რამდენიმე წინა სიახლემ არ იმუშავა და ამიტომაც გვიწევს სწრაფად ბევრი რამის შეცვლა“.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მაკლარენს გააუმჯობესებენ